# საქართველოს ბიბლიოთეკა

1239
2003

№2 2003



ISSN 1512-0880

ჟურნალის თანმდგომთა საბჭო

ნოდარ ამაღლობელი
შოთა აფაქიძე
ლევან ბერძენიშვილი
თამაზ გამყრელიძე
სესილი გოგიბერიძე
მალხაზ ზაალიშვილი
დავით თარხან-მოურავი
ნანა კანდელაკი
ალექსანდრე კარტოზია
თეიმურაზ კომახიძე
ლია ნადარეიშვილი
თემურ ქლენტი
ვახტანგ სართანია
აკაკი სიხარულიძე
ბაკურ სულაკაური
ირაკლი ღარიბაშვილი
რევაზ ღლონტი
თეიმურაზ ჩხენკელი
ირინა ჭანტურიშვილი

ჟურნალის რედაქცია

**ალექსანდრე ლორია**-მთავარი რედაქტორი

**გურამ თაყნიაშვილი**-მთავარი რედაქტორის მოადგილე, პასუხისმგებელი მდივანი

**მზია რაზმაძე**-კომერციული დირექტორი

**გულნარა სტურუა**-სამეცნიერო-მეთოდური და კორესპონდენტებთან მუშაობის რედაქტორ-კოორდინატორი







ინდსაწარმო „ალი“

**დამფუძნებლები**: საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკა; საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია

**საბიბლიოთეკო კვირეული საქართველოში**

რედაქციის მისამართი:
თბილისი, 380007 გუდიაშვილის ქ. 7
საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა
ტელ. 93-26-82

*ჟურნალი გამოდის წელიწადში ოთხჯერ*

# საქართველოს ბიბლიოთეკა № 2 – 03

# შ ი ნ ა ა რ ს ი

ბიბლიოთეკა და ადამიანის უფლებები ........ 4

**ოფიციალური განყოფილება**

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება ........ 7

**საქართველოს საბიბლიოთეკო კვირეული**

საბიბლიოთეკო კვირეული საქართველოში (მიმოხილვა) ........ 8

**გვწერენ კვირეულის მონაწილენი**

ციალა ქველიძე – საბიბლიოთეკო დღეების აღსანიშნავად ........ 18
ნელი ნონიკაშვილი – აპრილის დაუვიწყარი დღეები ........ 21
ვენერა ძოწენიძე – დისპუტი – საქმიანი და სახალისო ფორმა ........ 23
ნუგეშა შუბითიძე – ერთი ლამაზი საღამო ........ 25
ც. ღევაძე – კვირეულის ერთი დღე ........ 26
ნ. ნაჭყებია – დღეს ვჭვრეტთ მომავალს ........ 27
თასო ცისკარიშვილი – კვირეული გეგმიურად წარიმართა ........ 29
ე. ბრეგვაძე – საბიბლიოთეკო კვირეული რუსთავში ........ 30
ნანა შუბითიძე – ბიბლიოთეკა ჩვენი მეორე ოჯახია ........ 34
მანანა ზარიძე – კვირეული ძალას იკრებს ........ 36
საბიბლიოთეკო კვირეული ფოთში ........ 37
ნ. არეშიძე – დღეები – ენერგიის წყარო ........ 40
დარეჯან კოტეტიშვილი – კვირეული მეაბრეშუმეობის ბიბლიოთეკაში ........ 42
ნანა გოგოხია-არჩვიშვილი – სასკოლო ბიბლიოთეკა მოსწავლე მკითხველთა სამსახურში ........ 44
ნ. ნეფარიძე – ბიბლიოთეკის კვირეული ლადო ასათიანი სახელობის სახელმწიფო საბავშვო ბიბლიოთეკაში ........ 46
ლია ჩხარტიშვილი – საბიბლიოთეკო კვირეული საბავშვო ბიბლიოთეკებში ........ 48
ბიბლიოთეკა – წიგნი – მკითხველი ........ 50
მარინა მოლებაძე – საბიბლიოთეკო დღეების აპოთეოზი ........ 51

**ისტორიის ფურცლებიდან**

ნინელი მელქაძე, ალექსანდრე ლორია – ტფილისის საჯარო ბიბლიოთეკის მატიანე: (გაგრძელება) ........ 52

**კორესპონდენციები**

ფირა გაჯიევა – ჩვენი ბიბლიოთეკის ყოველდღიურობა ........ 57
თეა იოსავა – მიეძღვნა დიდ მწერალს ........ 60
მოსწავლეთა ჯგუფი – კარგი წიგნი ადამიანის უახლოესი მეგობარია ........ 62

**გამოცდილების გაზიარება**

ინგა ფილაური – პროგრამა გრძელდება ........ 63
დარეჯან კოტეტიშვილი – საბიბლიოთეკო პრობლემები საერთაშორისო ასპექტით: (ანგარიში) ........ 65
სანამ ნერსესოვა – საბიბლიოთეკო ფონდების შევსების ერთ-ერთი გზა ........ 67

**ჩვენი შემოქმედება**

წაუკითხეთ პატარებს: ლია ბეჟანიშვილი – ლექსები ........ 69

**საცნობოდ საკითხავი**

გადარჩენილი ფურცლები ........ 71
ქაღალდის ნაირსახეობანი ........ 71

**ქრონიკა**

საქართველოს საბიბლიოთეკო ცხოვრება: მოვლენები, ფაქტები ........ 73

**კონწარას კლუბი**

კლუბის წევრები – ორიოდე სიტყვა ჩვენი სკოლების ნამეტანი „აქტივობის“ შესახებ ........ 75

# Библиотека Грузии, №2-03

## Содержание

Библиотека и права человека ............ 4

**Официальный раздел**

Указ президента Грузии ............ 7

**Неделя библиотеки в Грузии**

Неделя библиотеки в Грузии (обзор материалов) ............ 8

**Нам пишут участники недели**

Циала Квелидзе - В ознаменование дней библиотеки ............ 18
Нелли Ноникашвили - Незабываемые апрельские дни ............ 21
Венера Дзоценидзе - Диспут - деловая и занимательная форма ............ 23
Нугеша Шубитидзе - Один прекрасный вечер ............ 25
Ц. Девадзе - Один день недели ............ 26
Н. Начкебиа - Сегодня созерцаем будущее ............ 27
Тасо Цискаришвили - Неделя проведена по плану ............ 29
Э. Брегвадзе - Неделя библиотеки в Рустави ............ 30
Нана Шубитидзе - Библиотека наша вторая семья ............ 34
Манана Заридзе - Неделя набирает силу ............ 36
Неделя библиотеки в Поти ............ 37
Н. Арешидзе - Дни - источник энергии ............ 40
Дареджан Котетишвили - Неделя библиотеки в библиотеке Дома шелководства ............ 42
Нана Гогохиа-Арчвишвили - Школьная библиотека на службе читателей-учащихся ............ 44
Н. Непаридзе - Неделя библиотеки в Государственной детской библиотеке им. Ладо Асатиани ............ 46
Лия Чхартишвили - Неделя библиотеки в детской библиотеке ............ 48
Библиотека - книга - читатель ............ 50
Марина Модебадзе - Апофеоз дней библиотеки ............ 51

**Страницы истории**

Нинель Мелкадзе, Александр Лория - Летопись Тифлисской публичной библиотеки (Продолжение) ..... 52

**Корреспонденция**

Фира Гаджиева - Будни нашей библиотеки ............ 57
Теа Иосава - Посвящается великому писателю ............ 60
Группа учащихся - Хорошая книга - близкий друг человека ............ 62

**Обмен опытом**

Инга Пилаури - Программа продолжается ............ 63
Дареджан Котетишвили - Проблемы библиотек в международном аспекте: (отчёт) ............ 65
Санам Нерсесова - Один из путей пополнения фондов ............ 67

**Наше творчество**

Прочитайте маленьким: Лия Бежанишвили - Стихи ............ 69

**Для любознательных**

Спасённые страницы ............ 71
Разновидность бумаги ............ 71

**Хроника**

Библиотечная жизнь Грузии: события, факты ............ 73

**Клуб Концары**

Члены клуба - Два слова об излишней “активности” наших школ ............ 75

# Georgian Library №2-03

## Table of Contents:


The Library and Human Rights .......... 4

**Official Section**

The Command of the President of Georgia .......... 7

**The Library Week in Georgia**

The Library Week in Georgia (review) .......... 8

**Library Week Participants Write Us**

Tsiala Qvelidze - Celebrating Library Days .......... 18
Neli Nonikashvili - Unforgettable Days In April .......... 21
Venera Dzotsenidze - Dispute - Business and Fun Approach .......... 23
Nugesha Shubitidze - One Beautiful Evening .......... 25
Ts. Devadze - One Day of The Library Week .......... 26
N. Nachkebia - Envisaging Future Today .......... 27
Taso Tsiskarishvili - Library Week Carried On According To Plan .......... 29
W. Bregadze - Library Week In Rustavi .......... 30
Nana Shubitidze - Library Is Our Second Family .......... 34
Manana Zaridze - Library Week Takes Steps .......... 36
Library Week In Poti .......... 37
N. Areshidze - Days - The Source Of Energy .......... 40
Darejan Kotetishvili - Library Week At The Silk Library .......... 42
Nana Gogokhia-Archvoshvili - School Library In The Service Of School Children .......... 44
N. Neparidze - Library Week At The Children's State Library By Lado Asatiani .......... 46
Lia Chkhartishvili - Library Week At Children's Libraries .......... 48
Marina Modebadze - Apotheoses Of Library Days .......... 51

**From The History**

Nineli Mikeladze, Aleksandre Loria - The History Of Tbilisi Public Libraries: (Continued) .......... 52

**Correspondents**

Fira Gajieva - Everyday Life Of Our Library .......... 57
Tea Iosava - Dedicated to the Greatest Writer .......... 60
School Group - Good Book Is Man's Best Friend .......... 62

**Sharing Experience**

Inga Filauri - Program Continues .......... 63
Darejan Kotetishvili - Library Problems Internationally: (report) .......... 65
Sanam Nersesova - Library Collections .......... 67

**Our Art**

Reading For Children: Lia Bezhanishvili - Verses .......... 69

**Professional Reading**

Rescued Pages .......... 71
Varieties Of Paper .......... 71

**Chronicles**

Georgian Library Life: Events, Facts .......... 73

**Kontsara Club**

Club Members - Few Words On The "Hyperactivity" Of Our Schools .......... 75




საქართველოს პარლამენტის

# ბიბლიოთეკა და ადამიანის უფლებები

ბიბლიოთეკა, როგორც სოციალური ინსტიტუტი, საზოგადოების ორგანული ნაწილია, მისი აღმზრდელობითი, საგანმანათლებლო და ინფორმაციული ფუნქციები გარანტირებულია კანონით, პირდაპირ მითითებულია, რომ სახელმწიფო იცავს მოქალაქეთა უფლებებს საბიბლიოთეკო მომსახურების დარგში (მუხლი 4). თითოეულ მოქალაქეს უფლება აქვს უფასოდ ისარგებლოს ბიბლიოთეკის მომსახურებით სამუშაო ან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. საბიბლიოთეკო ქსელის აგების ორი პრინციპიც – საწარმოო და ტერიტორიული, ითვალისწინებს პიროვნების უფლებების რეალიზაციას ბიბილიოთეკებთან მიმართებაში. ამავე კანონის მე-7 მუხლი ყოველმხრივ განსაზღვრავს მკითხველთა უფლებამოსილებას საბიბლიოთეკო მომსახურების სფეროში. ბიბლიოთეკა სწორედ ის დაწესებულებაა, სადაც მკითხველი ღებულობს ყოველგვარ ინფორმაციას სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივი თუ ცენტრალური ორგანოების მუშაობის, სახელწმიფო მოწყობის, საკუთარი უფლებებისა და მოვალეობების შესახებ. ეს მისია ბიბლიოთეკებმა რომ შეასრულონ, უპირველს ყოვლისა, საჭიროა ისინი ფლობდნენ მასალებს მკითხველთა და ინფორმაციის მომხმარებელთა კანნიერი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებმად. ბიბლიოთეკაში ორგანიზებული დოკუმენტები თანაბრად ხელმისაწვდომია თითოეული მოქალაქისათვის. საბჭოური პერიოდისაგან განსხვავებით, ბიბლიოთეკებში აღარ არსებობს ე.წ. სპეციალური ფონდები, თითოეული ბეჭდური გამოცემა ყოველგვარი ხელოვნურად შექმნილი ბარიერების გარეშე გაიცემა მკითხველის მოთხოვნისთანავე. ამ მხრივ, დოკუმენტების ოპერატიული მიწოდების თვალსაზრისით, უპირატესობა ენიჭება საჯარო (მასობრივ) ბიბლიოთეკებს. ტერიტორიული პრინციპით მოქმედი ეს ბიბლოთეკები იცავენ არამარტო რეგიონის მაპროფილებელ მასალებს. მოქალაქე, რომელსაც სურს აქტიური ცხოვრებით ცხოვრობდეს, უნდა ერთვებოდეს სახელმწიფოს პოლიტიკური მოწყობის სისტემაში, იცოდეს საკუთარი უფლებები და მოვალეობები.

ბიბლიოთეკებმა მომხმარებელთა ეს მოთხოვნილებები რომ დააკმაყოფილონ, საჭიროა თვითონ ფლობდნენ დოკუმენტების შესაბამის მასალებს, ინფორმაციის წყაროებს, ოფიციალური დოკუმენტების ფონდს. როგორც ცნობილია, ბიბლიოთეკები მუშაობენ წერილობითი წყაროების ორგანიზებული ფონდებით. თუ ბიბლიოთეკა ასეთ ფონდებს არ ფლობს, ცხადია, ადგილობრივი მცხოვრებლები ნაკლებად იქნებიან ინფორმირებულნი ქვეყანაში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენების შესახებ. თანამედროვე ეტაპზე, როდესაც გამოკვეთილია სახელმწიფოს პოლიტიკური აღმშენებლობის ძირითადი მიმართულება – დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობა, საზოგადოების თითოეული წევრი კარგად უნდა იქნეს ინფორმირებული მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკური მოვლენების არსის შესახებ. როგორც საჯარო ბიბლიოთეკების ფონდების მდგომარეობის შესწავლა ცხადყოფს, მათი აბსოლუტურად დიდი ნაწილი ვერ ასახავს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს, ინფორმირებული მოქალაქის ჩამოყალიბება, აღზრდა, მისი სოციალური გააქტიურება შეუძლებელია ბიბლიოთეკაში გაწეული მუშაობის გარეშე. საჯარო ბიბლიოთეკები ახლოს იცნობენ თავიანთი მოსახლეობის შემადგენლობას, მათ სოციალურ ინტერესს, დამოკიდებულებებს აქტუალური პრობლემისადმი. ამ თვალსაზრისით სწორედ საჯარო ბიბლიოთეკები გვევლინებიან მოქალაქის კონსტიტუციური უფლე-

ბების გაცნობისა და დაცვის დაწესებულებებად.

ბიბლიოთეკების იურიდიული ლიტერატურით უზრუნველყოფის თვალსაზრისით ბევრი რამ გაკეთდა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში გაეროს განვითარების პროგრამის შესაბამისად სახალხო დამცველმა შექმნა „ადამიანის უფლებათა ბიბლიოთეკა“ და 15-20 სახელწოდების წიგნისაგან შედგარი პარტიები უფასოდ გადასცა დარგის მთავარ ბიბლიოთეკებს, რეგიონებში მოქმედ ცენტრალურ ბიბლიოთეკებს, სულ ასეთი გამოცემათა პარტია გადასცა 65 რეგიონის ცენტრალურ ბიბლიოთეკას, სადაც მათ მოაწყვეს გამოფენები. ამ წიგნებიდან აღსანიშნავია ორიგინალური ქართული გამოცემები და უცხოური ენიდან თარგმნილი მასალები, რომლებშიც ასახულია დამიანის უფლებები, ამ უფლებების დარღვევის აღკვეთის სამართლებრივი საფუძვლები. ბიბლიოთეკისათვის საჭირო მასალებია გამოქვეყნებული ჟურნალში „თქვენი უფლებები“. მკითხველი ამ წიგნებიდან გაეცნობა ადამიანის უფლებათა სფეროში ძირითადი საერთაშორისო სამართლებრივი აქტების ჩანაწერებია. ბიბლიოთეკებისათვის ეს საჭირო და აუცილებელია, მით უმეტეს ამ დროს, როდესაც ბიბლიოთეკებში ნაკლებად ან სრულებით არ შედის ახალგამოცემული ლიტერატურა. საჯარო ბიბლიოთეკები მოქმედი კანონმდებლობით უნდა ღებულობდნენ სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების საკანონმდებლო მასალებს (მუხლი 4), მათ შორის გამოუქვეყნებლებსაც, რათა ბიბლიოთეკაში მისული მოქალაქე ინფორმირებული იქნეს მმართველობის სტრუქტურის, ადგილობრივი ორგანოების მუშაობის შესახებ. ამის გარეშე მოქალაქის, მკითხველის გააქტიურება შეუძლებელია. ამ მხრივ საყურადღებო იყო საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 21 აპრილის ბრძანებულება: „სამთავრობო გამოცემების საქართველოს საბიბლიოთეკო ქსელში გავრცელების უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ“, სამწუხაროდ, და ბიბლიოთეკების საზიანოდ, აღნიშნული ბრძანებულება არ სრულდება. ამ ბრძანებულების რეალიზაცია, ფაქტიურად, ნიშნავდა საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის დაცვას, სადაც აღნიშნულია: ყველა მოქალაქეს აქვს უფლება გაეცნოს სახელმწიფო დაწესებულებაში არსებულ ოფიციალურ დოკუმენტებს. ეს დოკუმენტები რომ საყოველთაოდ ხელმისაწვდომი იყოს მოსახლეობისათვის, საჭიროა ისინი ბიბლიოთეკებს გადაეცეს.

ბიბლიოთეკა და ადამიანის უფლებები მრავალმხრივ საყურადღებო სპექტრს მოიცავს, ერთის მხრივ, ლაპარაკია თვითონ ბიბლიოთეკის, როგორც აღმზრდელობითი, საგანმანათლებლო და საინფორმაციო დაწესებულების არსებობაზე; ბიბლიოთეკების შენარჩუნება თანამედროვე ქართული საბიბლიოთეკო პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი პრობლემათაგანია. ბოლო 7-8 წლის მანძილზე საქართველოში დაიხურა ასობით საჯარო ბიბლიოთეკა. ისმის ლოგიკური კითხვა: ამ შემთხვევაში დაირღვა თუ არა პიორვნების, როგორც მოქალაქის უფლებები? ლაპარაკია საჯარო ბიბლიოთეკების ისეთი ქსელის მოწყობაზე, როდესაც დაცული იქნება თითოეული მოქალაქის საბიბლიოთეკო მომსახურების პრინციპი. საბიბლიოთეკო ქსელის სტატისტიკა, რომელსაც ამჟამად საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა და საქართველოს კულტურის სამინისტრო აწარმოებს, მეტყველებს იმაზე, რომ ბიბლიოთეკების გაუქმება, მათი ლიკვიდაცია ბევრ შემთხვევაში მოხდა მოსახლეობის ინტერესების საზიანოდ, საქართველოში საჯარო ბიბლიოთეკების არსებული ქსელი ნაკლებად შეესაბამება ამ სფეროში მოქმედ საერთაშორისო სტანდარტებს. უბიბლიოთეკოდ მოქალაქეს გაუჭირდება რაიმე ინფორმაციის მიღება, რომ აღარაფერი ვთქვათ მათ სოციალურ აქტიურობაზე, განათლებულობისა და წიგნიერების დონის ამაღლებაზე.

უკანასკნელი წლების მანძილზე მთელმა რიგმა საერთაშორისო ორგანიზაციებმა, როგორებიცაა იუნესკო, საბიბლიოთეკო დაწესებულებებისა და ასოციაციების საერთაშორისო ფედერაცია (IFLA), საბიბლიოთეკო ასამბლეა და სხვ. მიიღეს სახელმძღვანელო დოკუმენტი, სადაც ჩამოყალიბებულია ბიბლიოთეკის უფლებები, მო-

ვალეობები, მათი მომხმარებლებთან ურთიერთობის სამართლებრივი საფუძვლები. იუნესკოს მანიფესტი საჯარო ბიბლიოთეკის შესახებ ცალკე გამოიცა ქართულ ენაზე, იგივე მანიფესტი გამოაქვეყნა ჟურნალმა „საქართველოს ბიბლიოთეკა“ (№1, 2001), აშშ-ის საბიბლიოთეკო აცოაიციამ ჯერ კიდევ 1948 წელს მიიღო ქარტია ბიბლიოთეკების უფლებების შესახებ. ევროსაბჭოს კულტურის კომიტეტმა 1999 წელს შეიმუშავა რეკომენდაციები ევროპაში საბიბლიოთეკო კანონმდებლობისა და პოლიტიკის შესახებ (ტექსტი იხ. ჟურნ. „საქართველოს ბიბლიოთეკა“ №3, 2001). აღნიშნულ და სხვა დოკუმენტების მომხმარებელთა უფლებები, მოვალეობები. კანონი საქართველოში საბიბლიოთეკო საქმის შესახებ ერთგვარად არეგულირებს ადამიანის უფლებებს ინფორმაციის თავისუფლების მიღების, მისი გამოყენების შესახებ. საბიბლიოთეკო პროცესების ავტომატიზაცია მკითხველთათვის ხელმისაწვდომს ხდის იმ ფონდებს, რომლებიც არ არის დაცული მისი მომსახურების ბიბლიოთეკაში.

საბიბლიოთეკო კანონმდებლობა, რომელშიც განსაზღვრულია პიროვნების უფლებები, ორგანულ კავშირშია ისეთ კანონებთან, როგორებიცაა: კანონი კულტურის შესახებ, კანონი საავტორო უფლებების შესახებ, კანონი განათლების, ინფორმაციის, ადგილობრივი თვითმმართველობის და სხვ. კანონები, რომლებშიც განსაზღვრულია პიროვნების უფლებები ინტელექტური სიმდიდრის გამოყენების შესახებ.

საქართველოში ბიბლიოთეკა და ადამიანის უფლებების დაცვის იურიდიული საფუძვლები შემდგომ სრულყოფასა და დახვეწას მოითხოვს. საჭიროა შემუშავდეს ისეთი კანონქვემდებარე აქტები, რომლებიც ხელს შეუწყობს ამ სფეროში მუშაობის კონსტიტუციური უფლებების რეალიზაციას. ბიბლიოთეკაში მუშაობის გარდაქმნა თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით საშუალებას მისცემს მათ, დაიცვან ბიბლიოთეკის მკითხველთა და ონფორმაციის მომხმარებელთა უფლებები საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნილებათა შესაბამისად.

ბიბლიოთეკები ცივილიზებულ სამყაროში კარგად იცნობენ თავიანთ უფლებებს. ისინი ნამდვილი დემოკრატიის ინსტიტუტებად გვევლინებიან. ამ სისტემაში ყველაფერი ღიად, გამჭირვალედ სრულდება და წარმოებს. საჯარო ბიბლიოთეკები ადამიანის უფლებების დაცვის სადარაჯოზე დგანან. ჩვენი ქვეყნის ბიბლიოთეკები ამ მიმართულებით მთელი თავით ჩამორჩნენ. უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია თვითონ ბიბლიოთეკები, ბიბლიოთეკის მენეჯერები იცნობდნენ საკუთარ და ადამიანის უფლებებს საერთოდ ბიბილიოთეკებთან და ინფორმაციის ორგანოებთან დამოკიდებულებაში.

ბიბლიოთეკათა და ადამიანის უფლებების საკითხებს მიეძღვნა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში მიმდინარე წლის 10 ივნისს გამართული სემინარი. სემინარის ორგანიზატორი იყო საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია. სემინარი ორგანიზებული იყო საქართველოს სახალხო დამცველისაა პარატის ადამიანის უფლებათა საინფორმაციო-სადოკუმენტო ცენტრის და თბილისის სახელმწიფო უნივესიტეტის ბიბლიოთეკის მიერ განვითარების პროგრამის ფინანსური მხარდაჭერით. სემინარის მუშაობაში მონაწილეობდნენ თბილისის დიდი სამეცნიერო, უნივერსალური და საჯარო ბიბლიოთეკების ხელმძღვანელი მუშაკები, ჟურნალ „საქართველოს ბიბლიოთეკის“ სარედაქციო კოლეგია. ბიბლიოთეკებმა წამოჭრეს უამრავი საკითხი საკუთარი და მკითხველთა უფლებების დაცვის საკითხზე.

## საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება

**2003 წლის 25 აპრილი,** ქ. თბილისი

### საქართველოს პროფესიული დღეების დაწესების შესახებ

მიღებულ იქნეს სამინისტროების, უწყებების, არასამთავრობო და პროფკავშირული ორგანიზაციების წინადადებები პროფესიული დღეების შესახებ, დაწესდეს და ყოველწლიურად აღინიშნოს:

23 აპრილს – წიგნისა და საავტორო უფლებების დღე; აპრილის მე-3 კვირადღეს – მომსახურების სფეროს მუშაკის დღე; 30 აპრილს – ბიბლიოთეკარის დღე; 25 ივლისს – სტატისტიკის დღე; 21 ოქტომბერს – პოლიგრაფისტის დღე.

ედუარდ შევარდნაძე

# საქართველოს საბიბლიოთეკო კვირეული – 2003
## (მიმოხილვა)

 თავიდანვე შეიძლება აღინიშნოს, რომ წლევანდელი კვირეული უფრო მობილიზებული და ორგანიზაციული იყო, ვიდრე პირველი. კვირეულის მიზანი ნათლად იყო გამოკვეთილი: საზოგადოებრივი აზრის შემობრუნება ბიბლიოთეკებისაკენ, ბიბლიოთეკების დამფუძნებელთა ყურადღების გამახვილება კულტურის ამ სფეროსადმი, მოსახლეობის საბიბლიოთეკო მომსახურების მდგომარეობის წარმოჩენა, გზებისა და საშუალებების ძიება ამ დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმის შემდგომი სრულყოფისათვის.

საბიბლიოთეკო კვირეულის მესვეურნი ამჯერადაც ორივე ასოციაცია იყო: საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია და ინფორმაციის სპეციალისტთა ასოციაცია. შედგა ოპერატიული სამუშაო გეგმა, რომლის რეალიზაციაში დიდი წვლილი შეიტანა კვირეულის საორგანიზაციო კომიტეტმა (შტაბმა) ქ-ნ გულნარა სტურუას ხელმძღვანელობით. ისევე, როგორც გასულ წელს, ამჯერადაც კვირეულის წარმატებით ჩატარებაში თავისი წვლილი შეიტანა საქართველოს კულტურის სამინისტრომ, პირადად კულტურის მინისტრმა ქ-ნმა სესილი გოგიბერიძემ, რომელიც კვირეულის პერიოდში არ დაკლებია არც ერთ მნიშვნელოვან ღონისძიებას. ასევე არ შეიძლება არ აღინიშნოს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორის, ბ-ნ ლ. ბერძენიშვილის აქტიური მხარდაჭერისა და თანადგომის შესახებ.

რეგიონების დიდმა ნაწილმა ოპერატიულად გამოგზავნა ჩასატარებელი ღონისძიებების გეგმები, მათ მუდმივი კავშირი ჰქონდათ კვირეულის შტაბთან. კვირეულის ღონისძიებათა დაფინანსების მიზნით სპეციალური პროექტი წარედგინა ფონდს „ღია საზოგადოება საქართველო". გამოგზავნილი მასალების დამუშავების შემდეგ შედგა კვირეულის პროგრამა, სადაც აისახა საქართველოს ოცდაათამდე რეგიონის მიერ წარმოდგენილი მასალები. კვირეულის დაწყებამდე დაიბეჭდა სპეციალური პლაკატები და სხვა სახის თვალსაჩინო მასალა, გამოცხადდა ბიბლიოთეკართა წახალისების კრიტერიუმები, განისაზღვრა ნომინაციათა რაოდენობა.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ წელს კვირეულის ჩატარებაში უფრო მეტი აქტიურობა გამოიჩინეს საქართველოს სასკოლო ბიბლიოთეკებმა. როგორც თბილისში, ასევე რეგიონებში ისინი ატარებდნენ კომპლექსურ საბიბლიოთეკო ღონისძიებებს, ბევრგან იგრძნობოდა სიახლისადმი არა მარტო უბრალოდ ლტოლვა, არამედ მისი განხორციელების გზებისა და საშუალებების ძიება-მიგნების სურვილი.

კვირეული გაიხსნა 19 აპრილს თბილისის N1 კლასიკური გიმნაზიის ბიბლიოთეკაში. ბიბლიოთეკარებს, სტუმრებს, პრესის წარმომადგენლებს ვრცელი სიტყვით მიმართა კულტურის მინისტრმა სესილი გოგიბერიძემ; ლ. ბერძენიშვილმა დამსწრეთ გააცნო ეროვნული ბიბლიოთეკის თანამედროვე მდგომარეობა და ავტომატიზაციის პროცესის განვითარების გზები ბიბლიოთეკებში. პრესკონფერენციაზე გაიმართა საქმიანი სჯა-ბაასი საქართველოს საბიბლიოთეკო ცხოვრების აქტუალურ საკითხებზე, მოსწავლეთა, სტუდენტთა და ახალგაზრდობის საბიბლიოთეკო მომსახურების პრობლემებზე. ამავე დღეს გიმნაზიაში მოეწყო გამომცემლობა „დი-

ოგენეს" ბეჭდური პროდუქციის გამოფენა-გაყიდვა.

კვირეული წარმატებით ჩატარდა ქვეყნის დედაქალაქში. თბილისის საქალაქო საბიბლიოთეკო გაერთიანების (დირექტორი ც. კალმახელიძე) ბიბლიოთეკებში კვირეული აპრილის დასაწყისიდანვე დაიწყო. ბიბლიოთეკები საზოგადოების წინაშე წარსდგნენ როგორც კულტურული ცენტრები, ინფორმაციის მოპოვების, გაცვლისა და მოხმარების დაწესებულებები, რომლებიც, მიუხედავად მძიმე პირობებისა, საიმედოდ იცავენ და ქვეყნის სამსახურში აყენებდნენ ერის დიდ სულიერ სიმდიდრეს.

17 აპრილს N12 საქალაქო ბიბლიოთეკაში მოეწყო შეხვედრა პოეტ თამარ გუგუშვილთან, პოეტის შემოქმედების შესახებ საინტერესო ინფორმაციებით გამოვიდნენ ბიბლიოთეკის მკითხველები, არასამთავრობო ორგანიზაციის „სამგორის" წარმომადგენლები.

18 აპრილს 55-ე ფილიალში დანიშნული იყო შეხვედრა მწერალსა და კინორეჟისორთან გოდერძი ჩოხელთან. მწერალი ავადმყოფობის გამო ვერ დაესწრო ღონისძიებას. მისი შემოქმედების შესახებ ისაუბრეს ენათმეცნიერების ინსტიტუტის თანამშრომელმა დოც. ნ. ჭოხონელიძემ, ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა: ვ. ხვიჩიამ, ნ. გოგატიშვილმა, თ. ჩაგანავამ და სხვ.

იმავე დღეს ნაძალადევის რაიონის 25-ე და 41-ე საქალაქო ბიბლიოთეკებმა ჩაატარეს ლიტერატურული საღამო, მიძღვნილი კონსტანტინე გამსახურდიას დაბადებიდან 110 წლისთავისადმი.

19 აპრილს საინტერესო ღონისძიება ჩატარდა N7 შოთა რუსთაველის სახელობის საქალაქო ბიბლიოთეკაში. მასში აქტიური მონაწილეობა მიიღეს თეატრმცოდნემ დავით სოლომონიშვილმა, მთარგმნელმა გურამ გოგიშვილმა, ფილოლოგმა ოთარ სოზაძემ, პოეტებმა თამარ პაპიაშვილმა, შალვა მჭედლიშვილმა და სხვებმა.

22 აპრილს იოსებ ნონეშვილის დაბადებიდან 85-ე წლისთავის აღსანიშნავად საინტერესო საღამო მოეწყო N3 საქალაქო ბიბლიოთეკაში. შეხვედრაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს მოსწავლეებმა, სტუდენტებმა, პედაგოგებმა.

22 აპრილს N27-ე საქალაქო ბიბლიოთეკაში ჩატარდა შემოქმედებითი საღამო, რომელიც მიეძღვნა მწერალ რევაზ ინანიშვილის მემკვიდრეობას. შეხვედრაში მონაწილეობდა მწერლის მეუღლე როზა ინანიშვილი, ბიბლიოთეკის მკითხველები, პედაგოგები. შეხვედრაზე გამოითქვა აზრი 27-ე ფილიალს ეწოდოს რეზო ინანიშვილის სახელი.

23 აპრილს N18-ე საქალაქო ბიბლიოთეკაში მოეწყო მკითხველთა თვითშემოქმედების საღამო „ეს ჩემი ფანტაზიაა".

ამ დღეს ბიბლიოთეკაში მოეწყო მხატვარ ნინო სიდამონიძის ნამუშევრების გამოფენა. თავიანთი შემოქმედება წარმოადგინეს 71-ე სკოლის მოსწავლეებმა, ქართული ხალხური სიმღერები შეასრულა 142-ე სკოლის ვაჟთა ანსამბლმა. ღონისძიება გაახალისა N12-ე საშ. სკოლის ცეკვის ანსამბლმა „საყდრიონმა".

24 აპრილს N30-ე საქალაქო ბიბლიოთეკაში ჩატარდა ღონისძიება „ბიბლიოთეკა, წიგნი, მკითხველი". ღონისძიებაში აქტიური მონაწილეობა მიიღო მოსწავლე-ახალგაზრდობამ, ბიბლიოთეკის აქტიურმა მკითხველებმა, სტუდენტებმა.

6 მაისს N10-ე ბიბლიოთეკაში ჩატარდა ღონისძიება, რომელიც მიეძღვნა ნოდარ დუმბაძის დაბადებიდან 75-ე წელს. მოხსენებით გამოვიდა პოეტი ლია სტურუა, მწერალი აკაკი გეწაძე, პროფ. გ. ხაზალია და სხვ.

7 მაისს N23-ე ბიბლიოთეკამ თბილისის საბანკო-საფინანსო ინსტიტუტთან ერთად ჩაატარა პოეზიის საღამო თემაზე „ლექსო, ამოგთქომ". ღონისძიება გახსნა ინსტიტუტის რექტორმა ბონდო ზარნაძემ. ხალხურ პოეზიაზე ისაუბრეს პროფ. გიგი ხორნაულმა, მეცნიერ-თანამშრომელმა ნანა კოტეტიშვილმა, საღამო მიჰყავდა საბიბლიოთეკო გაერთიანების მეთოდისტს ნელი ქარიაშვილს. ღონისძიებაში აქტიური მონაწილეობა მიიღო კულტურის უნივერსიტეტის სტუ-

ლენტებმა ი. კაპანაძემ, ნ. ქიქოშვილმა. ინსტიტუტის ბიბლიოთეკის თანამშრომელმა ნატო კოპტონაშვილმა და სხვებმა. ღონისძიების მიმართ აღფრთოვანება გამოხატა მსახიობმა ნინო ჩხეიძემ.

8 მაისს N15-ე ბიბლიოთეკაში ჩატარდა მთაწმინდის რაიონის ბიბლიოთეკების ერთობლივი ღონისძიება თემაზე „გზა დავულოცოთ მომავალ თაობას“, შეხვედრის მონაწილეებმა გზა დაულოცეს თბილისი 23-ე, 47-ე, 50-ე და 117-ე სკოლა დამთავრებულებმა აკადემიკოსმა ნიკო მუმლაძემ მადლობა გადაუხადა მოსწავლეებს და ბიბლიოთეკარებს ასეთი ღონისძიების ორგანიზებისათვის.

იმავე დღეს N54-ე საქალაქო ბიბლიოთეკაში ჩატარდა ღონისძიება „ბიბლიოთეკა, წიგნი, მკითხველი“. ღონისძიებაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ 172-ე საშუალო სკოლის პედაგოგები. 40-ე და 172-ე სკოლის მოსწავლეებმა მადლიერებით მოიხსენიეს ბიბლიოთეკა და ბიბლიოთეკარები.

8 მაისს 56-ე საქალაქო ბიბლიოთეკამ თბილისი კერძო საერო-საშუალო სკოლა „ლედისიმედში“ ჩაატარა მეტად შინაარსიანი და საინტერესო ღონისძიება, რომლის მიზანს შეადგენდა ნოდარ დუმბაძის შემოქმედების უფრო ახლოს გაცნობა; მოსწავლეებმა დიდი სიყვარულით განასახიერეს ნ. დუმბაძის პროზის პერსონაჟები.

8 მაისს 35-ე საქალაქო ბიბლიოთეკაში ჩატარდა პოეზიის საღამო დევიზით: „ჩემს სამშობლოში მე ემიგრანტი?“ პოეზიის საღამოს ესწრებოდა პოეტი თინათინ ღვინიაშვილი, საღამოს ორგანიზებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს 152-ე საშუალო სკოლის მოსწავლეებმა პედაგოგ რუსუდან გალდავას ხელმძღვანელობით. საღამოზე თავისი ლექსები წაიკითხა პოეტმა დავით ტაკიძემ. კულტურის სამინისტროს მთავარმა სპეციალისტმა მარინა მოდებაძემ კულტურის მინისტრის მილოცვა გადასცა ბიბლიოთეკის გამგეს ნანა მანჯაფარაშვილს ბიბლიოთეკაში ხანგრძლივი და უმწიკვლო მუშაობისათვის.

10 მაისს მე-9 საქალაქო ბიბლიოთეკაში ჩატარდა ვაკის რაიონის ბიბლიოთეკების ერთობლივი ღონისძიება — პოეზიის საღამო. საღამო დაამშვენა პოეტების შარლოტა კვანტალიანის, ელა გოჩიაშვილის ლექსებმა. მკითხველის წინაშე წარსდგა წყნეთის საბავშვო სახლის პედაგოგი მზიური დათიშვილი-აფციაურისა, რომელმაც წაიკითხა საკუთარი ლექსები.

11 მაისს 45-ე საქალაქო ბიბლიოთეკაში ჩატარდა ღონისძიება „ბიბლიოთეკა, წიგნი, მკითხველი“. ღონისძიება მუსიკალურ ელფერს ატარებდა. პატარებმა შეასრულეს ქართული ხალხური სიმღერები, ფაქტიურად საღამო თავისი შინაარსით იყო ლექსის, სიმღერისა და ცეკვის ზეიმი. ღონისძიებას ესწრებოდნენ საქალაქო საბიბლიოთეკო გაერთიანების მეთოდისტები.

კვირეულის პროგრამით საინტერესო ღონისძიება ჩაატარეს 13 მაისს 53-ე ბიბლიოთეკაში N24-ე და 51-ე საქალაქო ბიბლიოთეკებმა. ღონისძიება მიეძღვნა კომპოზიტორ რევაზ ლაღიძის ხსოვნას, ესწრებოდნენ ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის სოლისტები: მზია დავითაშვილი, ჯემალ მდივანი, ელდარ გეწაძე.

20 მაისს 32-ე საქალაქო ბიბლიოთეკამ ჩაატარა საინტერესო ღონისძიება „ქართველი თავადაზნაურები მამულიშვილები — ქეთევან წამებული“.

30 მაისს 42-ე საქალაქო ბიბლიოთეკამ ჩაატარა საღამო თემაზე „ბიბლიოთეკაში“. საღამო მთლიანად ბავშვების მიერ წარმოდგენილ მონტაჟს დაეთმო. ბავშვები ამ ღონისძიებისათვის საგულდაგულოდ მოამზადა 190-ე სკოლის პედაგოგმა ლია ნარიჩაშვილმა.

როგორც ამ ზოგადი მიმოხილვიდან ჩანს, თბილისის ბიბლიოთეკებმა, რომელთაც დიდი გამოცდილება და ცოდნა გააჩნიათ საზოგადოებასთან ურთიერთობისა, კიდევ ერთხელ წარმოაჩინეს თავიანთი ინტელექტუალური შესაძლებლობები, ერთგულება და ენთუზიაზმი საყვარელი საქმისადმი.

საბიბლიოთეკო კვირეული საინტერესოდ და

ფართოდ აღინიშნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიბლიოთეკებში.

საინტერესო ღონისძიებები ჩატარდა რესპუბლიკურ საბავშვო ბიბლიოთეკაში, ბათუმის N1 ბიბლიოთეკა-ფილიალში, სახელმწიფო რესპუბლიკურ ბიბლიოთეკაში, ყველგან, სადაც კი პროფესიონალები ხვდებოდნენ ინტელიგენციისა თუ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს, იყო გულღია საუბარი ბიბლიოთეკისა და ბიბლიოთეკარების დღევანდელ ყოფით პრობლემებზე; ყველა ღონისძიებას თან ახლდა მკითხველთა დიდი სიყვარული და მხარდაჭერა.

კვირეულის დღეები ფართოდ და საინტერესო შეხვედრებით აღინიშნა ქუთაისის ბიბლიოთეკებში. ღონისძიებები დაგეგმილი იყო ქუთაისის სამეცნიერო-უნივერსალური ბიბლიოთეკის კვალიფიცირებული თანამშრომლების მიერ, რომელთა ძალისხმევით ბიბლიოთეკამ ბოლო დროს სულ უფრო მეტი პოპულარობა მოიპოვა ქუთაისის საზოგადოებაში. 24 აპრილს ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის სამეცნიერო-უნივერსალურ ბიბლიოთეკაში გაიმართა პოეტ ზურაბ კუხიანიძის წიგნის – „პოეზია – ტ. 1“ – წარდგენა. შეხვედრაში მონაწილეობდნენ ქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები: მწერალი თემურ ლანჩავა, სახალხო არტისტები: ერემო სვანაძე და ანზორ ხამხაძე, მსახიობი და პოეტი ნესტან კვეიძე, პროფ. პეტრე ვაჭრიძე, პუბლიცისტი ნუგზარ მჭედლიშვილი, საკრებულოს დეპუტატი ალექსანდრე ბაძგარაძე და სხვ.

24 აპრილს ქუთაისის მე-14 საქალაქო ბიბლიოთეკაში ჩატარდა საღამო-შეხვედრა მწერალ ციური მოღებაძესთან. პეტის ლექსები წაიკითხეს დეკლამატორებმა: ე. ქანთარიამ, ნ. გიორგაძემ, მ. გოგოლაშვილმა და სხვებმა.

იმავე დღეს ქუთაისის მე-11 საქალაქო ბიბლიოთეკაში ჩატარდა საინტერესო ღონისძიება „წიგნი წყაროა აზრისა და სიბრძნის, წიგნი მარადის დაუშრობელი“. იოსებ ნონეშვილის შემოქმედებაზე ისაუბრა ქრისტინე ცირეკიძემ. მკითხველებმა, მოსწავლე-ახალგაზრდობამ, შეკრებაზე მისულმა პენსიონერებმა პატივი მიაგეს დიდი პოეტის ხსოვნას.

სამეცნიერო-უნივერსალური ბიბლიოთეკის ეკონომიკური და ტექნიკური ლიტერატურის განყოფილებამ საგანგებო ღონისძიება მიუძღვნა ბიბლიოთეკის ყოფილ თანამშრომლებს, გარდაცვლილ და ბიბლიოთეკაში დამაშვრალ პიროვნებებს: ელეონორა გველესიანს, თამარ კოლუაშვილს, ნუნუ ტრაპაიძეს, რიმა კაპანაძეს და პოეტს, ბიბლიოთეკის პირველ დირექტორს ლილი ნუცუბიძეს.

21 აპრილს მე-17 საქალაქო ბიბლიოთეკაში მოეწყო კონკურსი თემაზე „სიყვარული აგვამაღლებს“. ქართველი პოეტების ლექსების კითხვაში ერთიმეორეს ეჯიბრებოდნენ ნორჩი დეკლამატორები. ჟიურიმ გამოავლინა და წაახალისა ნორჩი დეკლამატორები.

იმავე დღეს 25-ე საქალაქო ბიბლიოთეკაში შეხვედრა მოეწყვეს აფხაზეთიდან დევნილ პოეტს ნათელა მამარდაშვილს. ღონისძიებას ესწრებოდნენ აფხაზეთიდან ლტოლვილები, მე-16 საშუალო სკოლის პედაგოგები და მოსწავლეები, პოეტი ქალის ნიჭის თაყვანისმცემლები.

25 აპრილს მე-13 საბავშვო ბიბლიოთეკაში მოეწყო სალონური საღამო თემაზე „წიგნი ცოდნის გასაღები, წიგნი ცოდნის სამყარო“. წიგნისა და ბიბლიოთეკის როლსა და დანიშნულებაზე ისაუბრეს ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა და მკითხველებმა.

23 აპრილს მე-4 საბავშვო ბიბლიოთეკაში ღონისძიება მიეძღვნა ნოდარ დუმბაძის დაბადებიდან 75-ე წლისთავს. ღონისძიების თემა იყო „ერთი მოთხრობის დღე“. ბიბლიოთეკის მკითხველებმა, აქტივისტებმა წაიკითხეს ეპიზოდები ნ. დუმბაძის მოთხრობებიდან. ღონისძიების მომზადებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს მე-14 სკოლის პედაგოგებმა.

მე-20 საქალაქო ბიბლიოთეკამ კვირეულის პროგრამით ჩაატარა ღონისძიება „ო, ენავ ჩემო! დედაო ენავ!“ ღონისძიების მსვლელობაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ: N32-ე,

N24-ე სკოლის მოსწავლეები, ღონისძიებას უძღვებოდა ბიბლიოთეკის გამგე ნინო ლეკვეიშვილი.

საინტერესო ღონისძიებები ჩაატარა ქუთაისის მე-8 საქალაქო ბიბლიოთეკამ. ამ დღესთან დაკავშირებით ბიბლიოთეკაში მოეწყო გამოფენა „ერის სულიერი წამალთაგანი წიგნია". 23 აპრილს მე-7 საქალაქო ბიბლიოთეკასთა ერთად გაიმართა ლიტერატურული საღამო თემაზე „ქალი – სილამაზე და სიყვარული". ეს იყო არამარტო ქალისადმი მიძღვნილი, არამედ ქართული პოეზიისადმი მიძღვნილი საღამო, რომელსაც ესწრებოდა ტელე-რადიო-პრესის წარმომადგენლები, პედაგოგები, უმაღლესი სასწავლებლების ლექტორები.

საინტერესო შეხვედრები, დისკუსიები და სხვა სახის ღონისძიებები გამართეს ქ. რუსთავის ბიბლიოთეკებმა. კვირეული გაიხსნა ცენტრალურ საქალაქო ბიბლიოთეკაში 21 აპრილს. საინტერესო ღონისძიებები ჩატარდა საქალაქო ბიბლიოთეკებში, რომელთა თემატიკა მრავალფეროვანი და მიმზიდველი იყო.

ტრადიციების საუკეთესო გაგრძელება იყო ქალაქის ბიბლიოთეკებში ჩატარებული ღონისძიებები, რომელთაგან შეიძლება აღინიშნოს: „ქართული წიგნის მოამაგენი" (მე-3 საქალაქო) დიალოგი ახალგაზრდობასთან (მე-5 საქალაქო ბიბლიოთეკა) გიყვარდეთ ერთმანეთი, როგორც მე შეგიყვარეთ თქვენ (მე-4 საქალაქო ფილიალი, მე-17 სკოლა) ლექცია-საუბარი თემაზე „ბიბლიოთეკა და მკითხველი" (მე-9 საქალაქო ფილიალი), პოეზიის ხუთი წუთი „სიჭაბუკე და ლექსი ერთია" (მე-12 საბავშვო ბიბლიოთეკა), 9 აპრილისადმი მიძღვნილი ღონისძიება „რუსთაველის ასულები" (ახალგაზრდობის ბიბლიოთეკა) და სხვ.

ქ. ზუგდიდში საბიბლიოთეკო კვირეული ჩატარდა ქსელის ბიბლიოთეკებში. ნიშანდობლივი იყო ცენტრალურ ბიბლიოთეკაში შესრულებული სამუშაოები, რომლებიც განხორციელდა ფონდი „ღია საზოგადოება საქართველოს" ეკონომიკური მხარდაჭერით.

კვირეულის დღეებში ზუგდიდს ესტუმრნენ ამერიკელი სპეციალისტები: სტივენ ჯონსი– ქართველოლოგი, პროფესორი, და ქალბატონი ბონი იზმანი – ჯონსის სახელობის ბიბლიოთეკის დირექტორი. მათ მოინახულეს ცენტრალურ ბიბლიოთეკაში ახლახგახსნილი საბავშვო ოთახი და კმაყოფილნი დარჩნენ ნორჩთა საბიბლიოთეკო მომსახურებაში ამ ახალი ფორმის შემოღებით (უფრო დაწვრილებით ამის შესახებ იხ. გაზეთში „ზუგდიდი", 19 ივნისი, 2003). ზუგდიდის ცენტრალური ბიბლიოთეკა საზოგადოების წინაშე წარსდგა საანგარიშო მოხსენებით. გარდა ბავშვთა ოთახისა, ცენტრალურ ბიბლიოთეკაში ამოქმედდა მუსიკალური ცენტრი. საინტერესო იყო კ. გამსახურდიას დაბადებიდან 110 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება.

ქ. გორის საქალაქო საბიბლიოთეკო გაერთიანება (დირექტორი ნინო აბრამიძე), ისევე, როგორც გასულ წელს, ამჯერადაც საინტერესო და მრავალფეროვანი ღონისძიებებით წარსდგა გორელი მკითხველი საზოგადოების წინაშე, საინტერესოა აღინიშნოს, რომ გორში ორგანიზებული თითოეული შეხვედრა და სხვა სახის საბიბლიოთეკო ღონისძიება ტარდებოდა ქალაქის მერიის კულტურის სამსახურის აქტიური მხარდაჭერითა და თანადგომით. 24 ივნისს, კვირეულის პროგრამის დამთავრების შემდეგ ცენტრალურ საქალაქო ბიბლიოთეკაში ჩატარდა გორისა და გორის რაიონის საბიბლიოთეკო ქსელის მუშაკთა სემინარი. სემინარი ატარებდა დიალოგის სახეს. ამ დღეს სემინარულ მუშაობაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის პრეზიდენტი ირაკლი ღარიბაშვილი და საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკართმცოდნეობის ცენტრის უფროსი გურამ თაყნაშვილი. მათ უპასუხეს ბიბლიოთეკართა მრავალ შეკითხვას, ისაუბრეს თანამედროვე საბიბლიოთეკო პრაქტიკის აქტუალურ საკითხებზე.

ხაშურის ცენტრალიზებული საბიბლიოთეკო სისტემა (დირექტორი რუსუდან ენჯიბაძე) უკანასკნელი 3-4 წლის განმავლობაში გამოირჩევა თავისი აქტივობით, საინტერესო ღონისძიებების ორგანიზებით, რასაც თავისთავად მოსდევს მკითხველი საზოგადოების აქტიური მხარდაჭერა და თანადგომა, ამ მხრივ ბიბლიოთეკა ყოველთვის იზიდავს ადგილობრივ ხელისუფლების ორგანოთა ყურადღებას და ფაქტიურადაც გრძნობს მათ თანადგომასა და მხარდაჭერას.

3 აპრილს ცენტრალურმა რაიონულმა ბიბლიოთეკამ გახსნა კვირეული. კვირეულის ღონისძიებას დაესწრო ხაშურის თვითმმართველობის წარმომადგენლობა, კულტურისა და სხვ. სფეროების წარმომადგენლები, სტუმრები თბილისიდან – საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის, საქართველოს კულტურის სამინისტროსა და ფონდი ,,ჰარმონიის" წარმომადგენლები. ამ დღეს ფაქტიურად დაარსდა ბიბლიოთეკის მეგობართა საზოგადოება, ბიბლიოთეკის ამხანაგობა, რითაც ერთხელ კიდევ გამოვლინდა ხაშურელთა სიყვარული წიგნისადმი, კულტურისა და სულიერი ცხოვრებისადმი.

საინტერესო ღონისძიება ჩატარდა ტაშისკვის, ქვიშხეთის, მცხეთიჯვრის, ალის, ოსიაურის, გომის, სატვის, სურამის, ხცისის, ალის, ტეზრისა, საკანისუბნის და სხვა ბიბლიოთეკა-ფილიალებში.

კვირეულის საინტერესო პროგრამით წარსდგა მკითხველი საზოგადოების წინაშე ქ. გურჯაანის საბიბლიოთეკო სისტემა (დირექტორი თასი ცისკარიშვილი). ბიბლიოთეკა-ფილიალებში მოეწყო შეხვედრები, კონფერენციები, დისპუტები და სხვა მასობრივი ღონისძიებები. განსაკუთრებით აღსანიშნავი იყო მელაანის, კაჭრეთის, ქოდალოს, არაშენდის, ვაზისუბნის, ჩუმლაყის და სხვ. სოფლებში ჩატარებული ღონისძიებები. დამაგვირგვინებელი ღონისძიება იყო 19 ივნისს გურჯაანის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში გამართული ლიტერატურული საღამო, რომელიც მიეძღვნა ი. ნონეშვილის დაბადებიდან 85-ე წლისთავს. საღამოს ესწრებოდნენ რაიონის გამგებელი გ. ბიწკინაშვილი, თავისი მოადგილეებით, კულტურის განყოფილების გამგე ვ. დარჩიშვილი, გიმნაზიის დირექტორი ო. ჭილაშვილი, სტუმრები თბილისიდან: საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის პრეზიდენტი ირაკლი ღარიბაშვილი, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი ლ. თაქთაქიშვილი, ამავე ბიბლიოთეკის მეთოდური სამსახურის უფროსი გურამ თაყნიაშვილი, თბილისის საბიბლიოთეკო გაერთიანების დირექტორის მოადგილე ზ. პატარაშვილი, საქართველოს კულტურის სამინისტროს დეპარტამენტის დირექტორი ნ. მეიფარიანი. მნახველის თვალს იზიდავს გურჯაანის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში ახალგახსნილი კომპიუტერული ცენტრი 14 კომპიუტერით, მკითხველთა სამსახურშია ფრანგული კულტურის ცენტრი.

სენაკის საბიბლიოთეკო სისტემის ბიბლიოთეკები (დირექტორი ციური ხორავა) მომზადებულნი შეხვდნენ კვირეულის გამოცხადებას. ინფორმაციები გავრცელდა ტელევიზიითა და გაზეთების საშუალებით, ინფორმირებული იყო ადგილობრივი ხელისუფლება. იგრძნობოდა ახალგაზრდობის გააქტიურება. კვირეული გაიხსნა სოფ. ეკის მე-13 ფილიალში. მკითხველებმა დაათვალიერეს სოფლის დიდების მუზეუმი. მოეწყო ,,ქორწილი სამეგრელოში". ამ რიტუალმა მეტად დიდი აუდიტორია მოიზიდა, მის სანახავად მთელი სოფელი მოვიდა. შინაარსიანი ღონისძიებები ჩაატარეს ძველი სენაკის, მე-14 ბიბლიოთეკა ფილიალმა, სოფ. ნოსაძის მე-10 ფილიალმა. ეს ღონისძიებები ძირითადად მიეძღვნა კონსტანტინე გამსახურდიას დაბადებიდან 110-ე წლისთავს. შინაარსიანი იყო აგრეთვე შეხვედრები და მასობრივი ღონისძიებები ზანის მე-11 ბიბლიოთეკაში: ლეძაძამის №4-ე ბიბლიოთეკაში.

კვირეულის ზეიმით დახურვა შედგა სენაკის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში. აქ ჩატარდა ფართომასშტაბიანი ღონისძიება ,,ახალგაზრდობა, რწმენა, იმედი, მომავალი და სენაკელები". ღო-

ნისძიებას დაესწრნენ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, ინტელიგენცია, მოსწავლე-ახალგაზრდობა. კვირეულის დახურვამ ერთხელ კიდევ ცხადყო მოსახლეობის თანადგომა ბიბლიოთეკისადმი.

საინტერესო პროგრამით გამოირჩეოდა თელავის საბიბლიოთეკო გაერთიანება. კვირეული გაიხსნა 21 აპრილს. ამავე დღეს ცენტრალურ ბიბლიოთეკაში ჩატარდა ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიცია „ენა დედაა ერისა". მეორე დღეს ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში მოეწყო მხატვრების ირმა პოპიაშვილისა და მანანა ინაშვილის ნამუშევრების გამოფენა. საინტერესო ღონისძიებები ჩატარდა სოფ. არბოშიკის, მირზაანის, ჯაფარიძის და სხვ. ფილიალებში, სარაიონო საბავშვო ბიბლიოთეკამ და საქალაქო ბიბლიოთეკამ ჩაატარეს ერთობლივი ღონისძიება თემაზე „უკვდავი იაკობი". ჩატარდა სოფ. ჯაფარიძის ბიბლიოთეკა-ფილიალში. შეხვედრა მოუწყვეს ყოფილ გამგეებს, გაიხსენეს წარსული და ამაგდარი ბიბლიოთეკარები.

კვირეულის შემაჯამებელი ღონისძიება ჩატარდა ცენტრალური ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში. 8 მაისს აქ შეიკრიბა რაიონის ინტელიგენციის წარმომადგენლები, პედაგოგები, ბიბლიოთეკის აქტივი, პრესის მუშაკები. ცენტრალური ბიბლიოთეკის მეთოდისტმა ქუქუნა კაგიშვილმა ისაუბრა წიგნისა და ბიბლიოთეკის როლისა და დანიშნულებების შესახებ. ღონისძიებას უძღვებოდა რაიონის კულტურის სახლის დირექტორი ცარო მარტიაშვილი. კულტურის განყოფილების გამგემ ნელი გობეჯიშვილმა ილაპარაკა საბიბლიოთეკო კვირეულის შედეგების შესახებ. შეხვედრას ესწრებოდნენ საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის პრეზიდენტი ირაკლი ღარიბაშვილი და საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკათმცოდნეობის ცენტრის უფროსი გურამ თაყნიაშვილი. კვირეულის მასალები დეტალურად მიმოიხილა და გაზეთ შირაქში (12/V-03) დაბეჭდა ანა ბენაშვილმა.

ბოლო პერიოდში ერთგვარი აქტიურობით გამოირჩევა დუშეთის საბიბლიოთეკო სისტემა (გაერთიანების დირექტორი ლეილა ახალაშვილი, კულტურის განყოფილების გამგე ნელი თეთრუაშვილი). კვირეულის პროგრამით სისტემის ბიბლიოთეკებში ბევრი საინტერესო ღონისძიება ჩატარდა. აღნიშვნის ღირსია დაბა ფასანაურში ა.წ. 7 მაისს ჩატარებული მთიელთა ფოლკლორისადმი მიძღვნილი ღონისძიება სახელწოდებით „წარსულზე ფიქრი გვაწუხებს".

ღონისძიება ორგანიზებული იყო ფასანაურის სადაბო და სარაიონო ცენტრალურ ბიბლიოთეკების მიერ. საღამოზე წარმოდგენილი იყო ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშები, ბავშვთა შემოქმედება. ღონისძიებებში მონაწილეობდნენ ფასანაურის სამუსიკო, საშუალო სკოლების პედაგოგები, მოსწავლეები, ექიმები, მხატვრები და სხვ. საღამოზე ცეკვას სიმღერა ცვლიდა. ეს იყო მთიულური პოეზიისა და ხალხური ზეპირსიტყვიერების ზეიმი. საღამოზე საკუთარი ლექსი წაიკითხეს ნანა აბულაძემ, ანა აბულაძემ, მაყვალა გუდაშვილმა და სხვ.

15 მაისს ამავე რაიონის სოფ. აბანოსხევის ბიბლიოთეკა-ფილიალში ჩატარდა საკრებულოს ბიბლიოთეკების ერთობლივი ღონისძიება „მარად და ყველგან საქართველოვ, მე ვარ შენთანა!" ღონისძიებაში მონაწილეობდნენ: ბულაჩაურის, ჭოპორტის, ლაფანაანკარის, დავათის, წითელსოფლის ბიბლიოთეკები, ლაფანაათკარის კლუბი. ღონისძიებებს ეწვივნენ პედაგოგები, მოსწავლეები, საკრებულოების წარმომადგენლები. ამ ბიბლიოთეკის მუშაობა ყოველთვის გამოირჩეოდა პროფესიონალობითა და საქმის სიყვარულით, ეს ღონისძიებებიც მკითხველთა თანადგომის დასტური იყო. მოსწავლეებმა, პედაგოგებმა შესანიშნავი ოსტატობით წაიკითხეს ლექსები სამშობლოზე, სიყვარულსა და ერთგულებაზე. ღონისძიებას ესწრებოდნენ: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის სამეცნიერო-მეთოდური სამსახურის უფროსი გურამ თაყნიაშვილი, რაიონის კულტუ-

რის განყოფილების გამგე ნელი თეთრუაშვილი, საბიბლიოთეკო სისტემის დირექტორი ლეილა ახალაშვილი.

23 აპრილს კვირეულის პროგრამით ბორჯომის საქალაქო საბავშვო ბიბლიოთეკაში ჩატარდა ნ. დუმბაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო, „მზიანი გულის მწერალი“. ამ ღონისძიებისათვის ბავშვები საგულდაგულოდ მოამზადა ბიბლიოთეკარმა ნაირა იჩქიტიძემ; ხოლო ცენტრალურ ბიბლიოთეკაში გაიმართა ისტორიული კონფერენცია თემაზე „ბორჯომის ეროვნული პარკი – ერის საუნჯე“. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ: ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი ლევან გოცირიძე, პედაგოგები, ინტელიგენციის წარმომადგენლები, წიგნისა და ბიბლიოთეკების მეგობრები, სტუდენტი ახალგაზრდობა. კონფერენციაზე საპატიო სიგელები გადასცეს ბიბლიოთეკის ღვაწლმოსილ თანამშრომლებს. ორივე ღონისძიებაში იგრძნობოდა როგორც მკითხველთა, ასევე ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთა მხარდაჭერა და თანადგომა ბიბლიოთეკისადმი. (იხ. გაზ. „ბორჯომი“, 2 მაისი, 2003).

ქარელის საბიბლიოთეკო გაერთიანებაში (დირექტორი თინა გოგოლაძე) გაიმართა ქართველ მწერალთა საიუბილეო საღამოები.

ოთარ ჭელიძე – 70, იოსებ ნონეშვილი – 85, გურამ ფანჯიკიძე – 70, ნოდარ დუმბაძე – 75. ღონისძიებებში აქტიური მონაწილეობა მიიღეს ადგილობრივმა ინტელიგენციამ, ბიბლიოთეკის აქტივისტებმა, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლობამ.

აპრილის პირველ ნახევარში კვირეულის პროგრამის დიდი ნაწილი მიეძღვნა გურამ ფანჯიკიძის შემოქმედების განხილვას აბროლაურის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში (დირექტორი ციური ჯაფარიძე). ცენტრალურ ბიბლიოთეკაში მოეწყო გამოფენა „მარადისობაში გადასული ერისკაცი“.

ასპინძის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში მოეწყო შეხვედრა რაიონის ხელმძღვანელ პირებთან; განხილვები და პოეზიის საღამოები ჩატარდა ტოლოგას, საროს, ნაქალაქევის, იაგორის, ბიბლიოთეკა-ფილიალებში.

სიღნაღის რაიონის საბიბლიოთეკო გაერთიანების ცენტრალურ ბიბლიოთეკაში (დირექტორი ლია ხატიშვილი) შეხვედრა მოუწყვეს ადგილობრივ პოეტებს. შედგა პრეზენტაცია ჟ. საამიშვილის წიგნისა „ძველი სიღნაღი“.

ჭიათურის საქალაქო საბიბლიოთეკო გაერთიანებაში მოეწყო კულტურის მუშაკთა ამაგდარი თანამშრომლების პენსიაზე გაცილება, ბიბლიოთეკარებმა, მკითხველებმა მადლობა გადაუხადეს ბიბლიოთეკარებს, რომლებიც წლების მანძილზე უმწიკვლოდ ემსახურებოდნენ თავიანთ მკითხველებს.

ბაღდათის რაიონის საბიბლიოთეკო დაწესებულებებში (ცენტრალური ბიბლიოთეკის დირექტორი ალექსანდრე ყიფიანი) ჩატარდა პოეზიის საღამოები, მიძღვნილი ი. ნონეშვილის, ნ. ბარათაშვილის, ლ. ასათიანის შემოქმედებისადმი.

ორგანიზებულად ჩატარდა საბიბლიოთეკო კვირეული თერჯოლის რაიონის საბიბლიოთეკო სისტემაში. (დირექტორი ნონა არეშიძე). ლიტერატურული საღამოები, დისპუტები, შეხვედრები გაიმართა ქვედა სიმონეთის, ჩახარის, ძევრის, სიქთარკას, ეწერის, ბარდუბნის, სუფოთის, საზანოსა და სხვა ბიბლიოთეკა-ფილიალებში. კვირეული დაიხურა თერჯოლის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში 8 მაისს. ამ დღეს ჩატარდა დ. კლდიაშვილის შემოქმედებისადმი მიძღვნილი ლიტერატურულ-მხატვრული კომპოზიცია.

წიგნის პრეზენტაციები გაიმართა კვირეულის პროგრამით სამტრედიის საბიბლიოთეკო სისტემაში (დირექტორი ლამარა დუნდუა). ცენტრალურ ბიბლიოთეკაში მოეწყო ვალერიან ბიბილეიშვილის წიგნის „აქ ცხოვრობდა დიდი ნიკო“ პრეზენტაცია: თემატური საღამოები გაიმართა კულაშის, ჯიხაიშის, ღანირის, ბაშის ბიბლიოთეკებში.

ადიგენის საბიბლიოთეკო სისტემაში (გაერთიანების დირექტორი ვ. ლომაშვილი) მო-

ეწყო შეხვედრები ღვაწლმოსილ ბიბლიოთეკარებთან, რაიონის გამგეობის წევრებთან, ლიტერატურული შინაარსის ღონისძიებები გაიმართა სასკოლო ბიბლიოთეკებში.

კვირეულის პროგრამით შინაარსიანი ღონისძიებები ჩატარდა ოზურგეთის საბიბლიოთეკო სისტემაში (დირექტორი ლიანა ბაქანიძე). სოფლების: ღვაბზუს, მშვიდობაურის ბიბლიოთეკებში მოეწყო მხატვრული კითხვის საღამოები.

კონგრესები. დასკვნითი შეხვედრა გაიმართა 29 და 30 აპრილს. კვირეულის პროგრამამ ცხადყო, ბიბლიოთეკისადმი ინტერესის ზრდა, ხოლო ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა თვალნათლივ დაინახეს ბიბლიოთეკების უკეთესად მოწყობის საჭიროება.

მცხეთის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში (დირექტორი თ. გარსევანიშვილი) კვირეულის პროგრამით გაიმართა პროზის საღამო, რომელიც მიეძღვნა ი. ნონეშვილის ხსოვნას. საღამოს ესწრებოდნენ ი.ნონეშვილის ოჯახის წევრები. ღონისძიებათა მომზადებაში მონაწილეობდნენ მცხეთის საბავშვო და საქალაქო ბიბლიოთეკები. საღამოს ესწრებოდა საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის გამგეობის წევრი გულნარა სტურუა.

საბიბლიოთეკო კვირეულის ნიშანდობლივი მომენტი მიმდინარე წელს იყო ამ პროცესში სხვადასხვა უწყებათა ბიბლიოთეკების აქტიური მონაწილეობა. რეგიონებში მოქმედი საჯარო, სასკოლო, საბავშვო, უმაღლესი სასწავლებლების და სხვა ბიბლიოთეკები ატარებდნენ ერთობლივ ღონისძიებებს. კოორდინირებული მუშაობა იგრძნობოდა განსაკუთრებით თბილისის საქალაქო ბიბლიოთეკებში. კვირეულის პროგრამით ბევრი საინტერესო ღონისძიება ჩაატარეს სასკოლო ბიბლიოთეკებმა. სამწუხაროდ, ჟურნალს ნაკლებად მოეპოვება საჭირო მასალა ამ მუშაობის გაშუქებისათვის. აღნიშვნის ღირსია თბილისის 146-ე საშუალო სკოლის ბიბლიოთეკა, სადაც ბავშვებმა წარმოადგინეს ბიბლიოთეკასთან და წიგნთან დაკავშირებული სცენარები, წაიკითხეს ლექსები, მხატვრულ ფორმაში გამოამჟღავნეს წიგნის სიყვარული.

კვირეულის პერიოდში ბევრი საინტერესო ღონისძიება გაიმართა თბილისის უმაღლესი სასწავლებლების ბიბლიოთეკების ინიციატივით. 19 აპრილს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში გაიხსნა ჰიბრიდული (წიგნად – ციფრული ბიბლიოთეკა), აღჭურვილი უახლესი კომპიუტერული ტექნიკით. ღონისძიებები ჩატარდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, პედაგოგიური, ენისა და ლიტერატურის, კულტურისა და ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკებში, მეცნიერებათა აკადემიის სისტემის ბიბლიოთეკებში.

კვირეულის საზეიმო დახურვა გაიმართა 30 აპრილს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში. დახურვას დაესწრნენ საქართველოს კულტურის მინისტრი, ბიბლიოთეკარები, რეგიონალური საბიბლიოთეკო გაერთიანების დირექტორები. დახურვაზე კულტურის მინისტრმა დამსწრე საზოგადოებას გააცნო საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება საქართველოში ბიბლიოთეკარის დღის დაწესების შესახებ.

ამიერიდან ეს დღე აღინიშნება ყოველი წლის 30 აპრილს.

კვირეულის შესახებ საინტერესო წერილები დაიბეჭდა გაზეთებში.

საზეიმო დახურვაზე სპეციალური ჟიურის გადაწყვეტილებით ფულადი ჯილდო და ფასიანი საჩუქრები გადაეცათ ნომინაციებში გამარჯვებულ ბიბლიოთეკარებს:

ახალგაზრდა ბიბლიოთეკარის პრიზები გადაეცათ: ელიზა მაისურაძეს – ასპინძის ცენტრალური საბიბლიოთეკო სისტემა.

მაია მიქაბერიძეს – ქუთაისიდან.

ამაგდარი ბიბლიოთეკარის პრიზები გადაეცათ: გრიშა კიპაროიძეს – რესპუბლიკის დამსახურებულ ბიბლიოთეკარს, რევაზ გორგილაძეს – ბიბლიოთეკარ კონსულტანტს.

ინფორმირებული ბიბლიოთეკარის პრიზი გა-

დაეცათ: ლილი გორდელაძეს – თბილისის საქალაქო საბიბლიოთეკო გაერთიანება, დინარა წიკლაურს – დუშეთის რ-ნის აბანოსხევის ბიბლიოთეკის გამგეს.

საუკეთესო კლასიფიკატორის პრიზი გადაეცა დოც. ოთარ ოსაძეს – თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიური უნივერსიტეტი.

საუკეთესო კომპლექტატორის პრიზი გადაეცა რაისა გაზდელიანს – საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა.

ნოვატორი ბიბლიოთეკარის პრიზი გადაეცათ: ლალი შეყილაშვილსა და სერგი დათუაშვილს – საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, ნაზი ელიავას – სენაკის რ-ნის სოფ. ეკის ბიბლიოთეკის გამგე.

საუკეთესო ორგანიზატორის პრიზი გადაეცათ: მაია მიქაბერიძეს – საქართველოს პარლემენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, სანამ ნერსისოვას – თბილისის 104-ე საშუალო სკოლის ბიბლიოთეკის გამგე.

სწრაფი მომსახურებებისათვის – სპეციალური პრიზის გადაეცა თ. დოლიძეს – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკა.

საუკეთესო ბიბლიოგრაფის პრიზი გადაეცა ილო გორგაძეს – საქართველოს სახელმწიფო წიგნის პალატა.

ფულადი ჯილდო გადაეცათ სტუდენტებს – მომავალ ბიბლიოთეკრებს: ნინო ახვლედიანს, ნინო კობახიძეს – თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი, იოსებ კაპანაძეს, ქეთევან კონკებაშვილს – თბილისის კულტურისა და ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტი.

გარდა ამისა, საქართველოს კულტურის სამინისტრომ ფულადი ჯილდო და ფასიანი საჩუქრები გადასცა საქართველოს სხვადასხვა რეგიონის 10 ბიბლიოთეკარს.

კვირეულის ღონისძიებებმა საზოგადოებრიობისა და ადგილობრივი ხელისუფლების ყურადღება მიიქცია და მოწონება დაიმსახურა. იგრძნობდა, წიგნიერებისაკენ შემობრუნების სურვილი, განსაკუთრებით ბავშვებში, მოსწავლე ახალგაზრდობაში, ხოლო ბიბლიოთეკარემა გამოავლინეს შესაბამისი ენთუზიაზმი, ერთგულება საკუთარი მოწოდებისა და პროფესიისადმი.

საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია და ინფორმაციის სპეციალისტთა ასოციაცია ერთგვარად აჯამებენ კვირეულის შედეგებს, გამოაქვთ დასკვნები, მსჯელობენ პერსპექტივაზე. არ შეიძლება არ აღინიშნოს საქართველოს კულტურის სამინისტროს დაინტერესებისა და თანადგომის შესახებ. კვირეულის პროგრამით წარმოდგენილ ღონისძიებებში აქტიურ, საქმიან მონაწილეობას ღებულობდნენ: საკუთრივ კულტურის მინისტრი, წიგნთა და ბიბლიოთეკის დეპარტამენტის თავმჯდომარე ნინო მეიფარიანი, მთავარი სპეციალისტები: იზა დემეტრაშვილი, მარინე მოდებაძე.

ჟურნალის სარედაქციო კოლეგია მადლიერებას გამოხატავს კოლეგების, მკითხველი აქტივისტების მიმართ, რომლებმაც სპეციალური წერილები გამოგვიგზავნეს რედაქციაში. ამ წერილებში მათ გამოავლინეს წიგნისა და ბიბლიოთეკისადმი, ბიბლიოთეკარისადმი ერთგულება და სიყვარული. ასეთი თანადგომა ტონს აძლევს საბიბლიოთეკო დარგის მთავარ მამოძრავებელ ძალას – ბიბლიოთეკარებს.

მიმოხილვა მოამზადა
ზურაბ თაყნიაშვილმა.



საქართველოს

გვწერენ კვირეულის მონაწილენი

ციალა ქველიძე
მეც. აკად. ცენტრ. სამეც. ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარი

# საბიბლიოთეკო დღეების აღსანიშნავად

საბიბლიოთეკო დღეები საქართველოში მეცნიერებათა აკადემიის სისტემის ბიბლიოთეკების მუშაკებისათვის ახალი შემოქმედებითი ძალის გამოვლენის იმპულსად იქცა. ღონისძიებები, რომლებიც ტარდებოდა სისტემის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში, ატარებდა არა მარტო საზეიმო ხასიათს, არამედ, ძირითადად, შრომითი და



ინფორმაციული გაცვლა-გამოცვლის ნიშნით იყო აღბეჭდილი. საბიბლიოთეკო კვირეულის დღეებში სისტემის ბიბლიოთეკების საქმიანობას კოორდინირებას უწევდა და ხელმძღვანელობდა ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექცია და სამეცნიერო-მეთოდური განყოფილების თანამშრომელი ც. ქველიძე.

საბიბლიოთეკო კვირეულის გახსნა სისტემის ბიბლიოთეკარებს მიულოცა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორმა, აკადემიკოსმა მალხაზ ზაალიშვილმა. ღონისძიება, რომელიც მიეძღვნა მიმდინარე წლის დასაწყისში ამერიკის შეერთებულ შტატებში ქართველი ბიბლიოთეკის დარგის სპეციალისტთა მოგზაურობას, წარმართა ბიბლიოთეკის სამეცნიერო-მეთოდური განყოფილების თანამშრომელმა ც. ქველიძემ. დამსწრეთ თავიანთი შთბეჭდილებები და მოსაზრებები გაუზიარეს თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის კათედრის დოცენტმა ინგა ფილაურმა, საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის პრეზიდენტმა ირაკლი ღარიბაშვილმა და საქართველოს ინფორმაციის სპეციალისტთა ასოციაციის აღმასრულებელმა დირექტორმა გიორგი შათირიშვილმა. მათმა გამოსვლამ დიდი ინტერესი გამოიწვია. მომხსენებლებს ბევრ შეკითხვაზე მოუწიათ პასუხის გაცემა.

შეიძლება ითქვას, რომ საბიბლიოთეკო კვირეული გაცილებით ადრე, 1 აპრილს დაიწყო. ამ დღეს აქ გაიხსნა გერმანული სამეცნიერო-ტექნიკური ლიტერატურის გამომცემლობა „შპრინგერის“ სამეცნიერო ლიტერატურის გამოფენა. სტენდზე გამოიფინა 700 დასახელების წიგნი: მათემატიკაში, ფიზიკაში, ტექნიკაში, ინფორმატიკაში, ბიოლოგიაში, მედიცინაში, სამართალსა და ეკონომიკაში. გამოფენის გახსნას დაესწრო საერთაშორისო ინფორმაციის ცენტრის დირექტორი





გრიშაშვილობაზე. პატარა სტუმრები

ბატონი პეტერ ჰელფერიხი (ბერლინი) და ამავე ცენტრის მოსკოველი დირექტორი ქალბატონი ოლგა კრასიკოვა. მომავალში გათვალისწინებულია კიდევ 750 წიგნის მიღება. გამოფენა მოამზადა გეორგიკის განყოფილების გამგემ თინა იმნაიშვილმა და საერთაშორისო გაცვლის განყოფილების თანამშრომელმა ეთერ ნუცუბიძემ.

საბიბლიოთეკო დღეებთან დაკავშირებით მოეწყო ფოტოგამოფენა „საქართველოს საბიბლიოთეკო კვირეული - 2002 წელი“. ამ დღეებში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემის ბიბლიოთეკარებმა მოამზადეს სისტემის ინსტიტუტების ახალი წიგნების და პერიოდული გამოცემების გამოფენები. ღონისძიებას მიეძღვნა ცენტრალური ბიბლიოთეკის ისტორიის ამსახველი ფოტოგამოფენა.

23 აპრილი ჩვენი სასიქადულო პოეტის – იოსებ გრიშაშვილის ხსოვნის დღედ ითვლება. ძველ



მოსწავლე ახალგაზრდობის რესპუბლიკური სასახლის მედუდუკეთა ანსამბლი „მერცხალი“

ხარფუხში, მის ყოფილ ბინაზე ამ დღეს ყოველწლიურად იმართება „გრიშაშვილობა“. გამონაკლისი არც წლევანდელი აპრილი იყო. ოღონდ ეს შეხვედრა ამჯერად საბიბლიოთეკო დღეებთან დაკავშირებით მოეწყო. აკადემიის სისტემის ბიბლიოთეკარების გარდა აქ იყვნენ სტუმრები: პროფესორ-მასწავლებლები, სტუდენტები, მოსწავლეები. გრიშაშვილის შესახებ მოგონებებით გამოვიდნენ: პავლე ფირფილაშვილი, ალექსანდრე ლორია, ვალერიან მამუკელაშვილი.

ზეიმში მონაწილეობა მიიღო მოსწავლეთა და ახალგაზრდობის სასახლის მედუდუკეთა ახალგაზრდულმა ანსამბლმა „მერცხალმა“ ზაურ მერებაშვილის ხელმძღვანელობით. მათ მიერ შესრულებული მუსიკალური ჰანგები აცოცხლებდა ძველი თბილისის სურათებს.



სტუმრად გრიშაშვილის სახლ-მუზეუმში

საბიბლიოთეკო კვირეულის დღეებში ბიბლიოთეკამ შეხვედრა მოუწყო შრომის ვეტერანებს, ადამიანებს, რომლებიც ცენტრალურ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში მუშაობდნენ. ესენი არიან: ლონდა ჩუდეცკაია, ლეილა მაისაშვილი, ეთერ ბერძენიშვილი, ეთერ აბაზაძე, ნაზი სიხარულიძე, მზია ჭელიძე, ოთარ ოსაძე, ალა ოთაროვა, ნაზი ახვლედიანი, თინა მარღალეიშვილი, თალიკო ყურაშვილი, გულიკო ღვალიშვილი, ნათელა ამაშუკელი, ნაზი ტაბიძე.

საღამო განსაკუთრებული სითბოთი და სიყვარულით გამოირჩეოდა. ღვაწლმოსილ ბი-



შეხვედრა ვეტერანებთან.

ბლიოთეკარებს, ვეტერანებს მიესალმნენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორი, აკადემიკოსი მალხაზ ზაალიშვილი, დამსახურებული ბიბლიოთეკარი ლ. ბაბილუა და სხვები. ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილემ ნ. ფირცხალავამ ვეტერანებს გადასცა მადლობის სიგელები.

შეიძლება ითქვას, რომ ეს შეხვედრა იყო აგრეთვე სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიური უნივერსიტეტის ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის კათედრის ძირითად ბირთვთან შეხვედრა, ვინაიდან ქალბატონი მზია ჭელიძე, ალა ოთაროვა და ბატონი ოთარ ოსაძე – ბიბლიოთეკის ყოფილი თანამშრომლები – დღეს აგრძელებენ მოღვაწეობას უნივერსიტეტის ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის კათედრაზე და ახალგაზრდა სპეციალისტებს ამზადებენ,

გამოითქვა აზრი, რომ სასურველია მომავალშიც ამგვარი შეხვედრა მოეწყოს და ეს საბიბლიოთეკო კვირეული ტრადიციულად დამკვიდრდეს.

მეტად საინტერესო იყო ბიბლიოთეკის სამეცნიერო-მეთოდური ჯგუფის მიერ მოწყობილი სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია. კონფერენცია გახსნა ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილემ ნანა ფირცხალავამ. მანვე წაიკითხა მოხსენება თემაზე „აკადემიკოსი ექვთიმე თაყაიშვილი და ემიგრირებული ქართული ხელნაწერები და წიგნები“. დოც. ალექსანდრე ლორიამ თავისი მოხსენება კადრების მომზადების თანამედროვე სპეციფიკურ საკითხებს მიუძღვნა, ბიბლიოთეკის სწავლულმა მდივანმა დალი სულაძემ წაიკითხა მოხსენება თემაზე „მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკის უცხოური ფონდები“, გამოკვლევა – „ბავშვთა მომსახურების სისტემა საქართველოში“ იყო ნატო მჭედლიშვილის მოხსენების თემა. სპეციალისტთა სჯაბაასმა, პოლემიკამ დაგვარწმუნა, თუ რაოდენ დიდი ინტერესი აქვთ ჩვენს ბიბლიოთეკარებს როგორც თეორიის, ისე პრაქტიკის უმნიშვნელოვანესი საკითხებისადმი.

საბიბლიოთეკო კვირეულის მომზადებასა და ჩატარებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის V კურსის სტუდენტებმა, რომლებიც საბიბლიოთეკო კვირეულის პერიოდში საწარმოო პრაქტიკას გადიოდნენ სამეცნიერო-მეთოდურ განყოფილებაში.

ნელი ნონიკაშვილი
კასპის რ-ნის კულტურის სფეროს ორგანიზატორი

# აპრილის დაუვიწყარი დღე

ლამაზ-ლამაზი ყვავილებით მორთული დარბაზი ხალხით იყო გაჭედილი. ყვავილების სურნელთან ერთად იღვრებოდა ქართული მუსიკის ჰანგები. ეს სასიამოვნო განწყობილება კასპის რაიონულ ცენტრალურ ბიბლიოთეკაში განაპირობა იმან, რომ აღინიშნებოდა ორი მნიშვნელოვანი ღონისძიება: ქართული სახელმწიფო ენის დღე და წიგნის – „კასპელთა პოეზიის" პრეზენტაცია, რომელიც მიეძღვნა საბიბლიოთეკო კვირეულს.



ღონისძიებას ესწრებოდნენ გამგეობის წარმომადგენლები, ქართული ენის სახელმწიფო პალატის კასპის რაიონის განყოფილების უფროსი, რაიონული გაზეთის კორესპონდენტი, კულტურის განყოფილების თანამშრომლები, რაიონის საბიბლიოთეკო გაერთიანების მუშაკები, ქალაქის სკოლების პედაგოგები, მოსწავლეები, წიგნის ავტორები, პოეტები – ბიბლიოთეკის აქტიური მკითხველები. როგორც კულტურის სფეროს ღონისძიებათა ორგანიზატორმა, საუბარი მქონდა რა ქართული ენის განვითარების შესახებ, ხაზი გავუსვი იმას, რომ ენა საუნჯეა, მას „დედა ენა" უწოდა ხალხმა და შვილივით შეიყვარა. ხაზგასმით აღინიშნა სკოლის მასწავლებელთა ღვაწლი ქართული ენის სამსახურში. მასწავლებლის სიტყვა წმინდა ლამპრად უნდა უძღოდეს შთამომავლობას წინ, ვითარცა ნაკურთხი ჯვარი.

საქართველოს ენის სახელმწიფო პალატის კასპის განყოფილების უფროსმა ნანა მერაბაშვილმა რაიონის მასშტაბით ჩატარებული ღონისძიებების შესახებ ისაუბრა, განსაკუთრებით გამოიკვეთა აზერბაიჯანელ მოსახლეობასთან საქმიანი კონტაქტები.

მე-3 საშუალო სკოლის კლასგარეშე მუშაობის ორგანიზატორმა, ფრანგული ენის მასწავლებელმა მედეა პარკაძემ ისაუბრა ქართული ენისა და ფრანგულის შესწავლა-ურთიერთობის შესახებ, თუ რა მეთოდებს იყენებს თავის გაკვეთილებზე.

ზეიმზე ოთხი სკოლის მოსწავლეებმა წარმოადგინეს საზეიმო პროგრამა, მოვისმინეთ მრავალი ენის სადიდებელი.

კასპში გამოიცა II წიგნი „კასპელთა პოეზია", რომელშიც შესულია კასპისა და კასპის რაიონის მკვიდრთა პოეტური შემოქმედება. წიგნის ირგვლივ მოკლე მიმოხილვის შემდგომ სიტყვა გადავეცით შემდგენელ ვახტანგ კედელაშვილს, რომელმაც ვრცლად ილაპარაკა ავტორებზე, მათ ნაწარმოებებზე. ღრმა, შინაარსიანი მოხსენება გააკეთა და თანამომხსენებელმა – პედაგოგმა თამარ გაბოძემ. ლექსთა პირველი კრებულის შესახებ წიგნის შესავალშივე მაღალ შეფასებას იძლევა ბეგლარ ნოზაძე.

გვინდა აღვნიშნოთ, რომ გერისო კელაპტრიშვილისა და ვახტანგ კედელაშვილის შრომა უთუოდ დიდად დასაფასებელია, მათ ხომ რაიონის პოეტთა მიერ გულის ამოძახილი შეკრიბეს და დაუტოვეს შთამომავლობას.

შთამბეჭდავი იყო თითოეული პოეტის გამოსვლა. №2 სკოლის პედაგოგის პოეტის ლია ზარიძის აზრით, ეს წიგნი კარგი მაგალითია ჩვენი ახალგაზრდობისათვის, პედაგოგი თამარ გა-



ბოძე უზომოდ გახარებულია, რადგან აღსრულდა აუხდენელი ნატვრა კრებულის გამოცემისა; მეტეხის სასოფლო ბიბლიოთეკის გამგე მანანა ქოქაშვილი და წიგნის „აშურიანის გამოძახილის" ავტორი გივი კალატოზიშვილი მადლობას უხდიან კრებულის შემდგენლებს, მე-2 და მე-4 საშუალო სკოლის პედაგოგები ნათელა კენჭუაშვილი და გულნარა გიგაური შენიშნავენ რამდენიმე უზუსტობას სტრიქონებში, თუმცა წიგნის ბევრი დადებითიც აღნიშნეს, განსაკუთრებით წიგნის გაფორმებასა და შედგენაზე. კავთისხეველი ახალგაზრდა პოეტი, პედაგოგი ნინო ქსოვრელი და სამთავისის სასოფლო ბიბლიოთეკის გამგე თამარ ბეროზაშვილი თავიანთი ლექსებით ორგანულად შეერწყნენ საერთო განწყობილებას და ხალისი შემატეს ღონისძიებას.

ამომწურავი და ღმაშინაარსიანი შეფასება მისცა ჩატარებულ ღონისძიებას ცენტრალური ბიბლიოთეკის მეთოდური განყოფილების გამგემ ლენა გუგულაშვილმა, რომელმაც გაიხსენა მრავალი ღირშესანიშნავი დღისადმი მიძღვნილი ლამაზი ღონისძიება, მაგრამ ეს დღე სულ სხვაა, აქ ყველა ასაკის მონაწილისათვის შესაძლებელია გამოავლინოს თავისი თავი. მომსახურების განყოფილების ბიბლიოთეკარმა ეკატერინე კიტრიაშვილმა დადებითად შეაფასა ეს ღონისძიება, იგი მიესალმება მომავლისათვის დაგეგმილ მწერალთა იუბილეების მოწყობასაც.

რაიონის საბიბლიოთეკო გაერთიანების დირექტორმა ქეთევან ნუგზარაშვილმა მოკლედ შეაფასა ჩატარებული ღონისძიებები, რომლებიც მიეძღვნა საბიბლიოთეკო კვირეულს. ილაპარაკა რაიონის სასოფლო ბიბლიოთეკების მიერ გაწეულ მუშაობაზე საბიბლიოთეკო კვირეულთან დაკავშირებით. განსაკუთრებულად გამოყო რენეს, კოდისწყაროს, ზემო ხანდაკის, ხოვლეს, დოესის, ახალქალაქის, ქვემო ჭალის, კავთისხევის, ნოსტეს სასოფლო ბიბლიოთეკების მიერ ჩატარებული ღონისძიებები და იმედი გამოთქვა, რომ რაიონის სხვა დანარჩენი ბიბლიოთეკებიც მიიღებენ მონაწილეობას საბიბლიოთეკო კვირეულში და უფრო გაშლიან მუშაობას, მიუხედავად ბევრი ხელისშემშლელი პირობებისა. აღნიშნა აგრეთვე წიგნის „კასპელთა პოეზიის" გამოცემის დიდი მნიშვნელობა და სოფლის ბიბლიოთეკებს ამ გამოცემის 150 ეგზემპლიარი გადასცა, რაც მთელი რაიონის მოსახლეობას მისცემს საშუალებას, ისარგებლონ ამ წიგნით. მან ანსამბლ „მზეკაბანთან" ერთად შეასრულა რამდენიმე ქართული ხალხური სიმღერა ფანდურის თანხლებით და ამით დიდი სიამოვნება მიანიჭა დამსწრე საზოგადოებას. მუსიკის ფონზე დარბაზში მყოფი პოეტები ენთუზიაზმით ენთებოდნენ და საკუთარ ლექსებს კითხულობდნენ. ასე დაუსრულებლად გაგრძელდა პოეტთა გადაძახილი, არ წყდებოდა მუსიკის ხმა... და გვიხარია – „რომ ჩვენს მიწაწყალს საკმის სურნელი ასდის"...

ვენერა ძოწენიძე
ქუთაისის №3 საქალაქო ბიბლიოთეკის გამგე

# დისპუტი – საქმიანი და სახალისო ფორმა

2003 წლის 22 აპრილს ქუთაისის №3 საქალაქო ბიბლიოთეკაში ჩატარდა საქართველოს ბიბლიოთეკების კვირეულის დღეებისადმი მიძღვნილი ლიტერატურული დისპუტი რუბრიკით – „წიგნი წყარო ცოდნისა", – თემა: „ვინ არის დათა თუთაშხია, არის თუ არა იგი დადებითი გმირი?" (ჭაბუა ამირეჯიბის ამავე სახელწოდების რომანის მიხედვით).

დისპუტის ჩატარებას წინ უძღოდა მოსამზადებელი სამუშაოები – შედგა სამუშაო გეგმა, განაწილდა დავალებები ბიბლიოთეკის მუშაკებთან ერთად საბიბლიოთეკო საბჭოსა და ახალგაზრდა მკითხველთა კლუბის წევრებზე.

ღონისძიების მიზანი იყო, კიდევ უფრო აემაღლებინა მკითხველთა შორის წიგნის სიყვარული და გაეღვივებინა წაკითხულისადმი კრიტიკული მიდგომით შეფასების უნარი, მიეცა მკითხველისთვის თავისუფალი და დასაბუთებული ინდივიდუალური აზრის გამოთქმის საშუალება.

დისპუტში მონაწილეობდა მკითხველთა ფართო წრე – სტუდენტები, მასწავლებლები, დიასახლისები და სხვა დაინტერესებული პირები, რაც მეტად საინტერესოსა და ამაღლებულს ხდიდა დისპუტს.

ღონისძიების წარმართვა დამეკისრა მე – როგორც ამ ღონისძიების ორგანიზატორს, შევეცადე ტრადიციული მისალმების შემდეგ დამსწრეთათვის შემეხსენებინა საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის მიერ კვირეულის ჩატარების გადაწყვეტილება და განმემარტა კვირეულის არსი და მიმდინარეობა. შემდეგ მოკლედ ვისაუბრე ჭაბუა ამირეჯიბის რომანის „დათა თუთაშხიას" მიმართ მკითხველთა იმ დიდი ინტერესისა შესახებ, რამაც განაპირობა ღონისძიების თემად ზემოთ დასახელებული საკითხის შერჩევა და აღვნიშნე, რომ ხსენებული რომანი არის ქართული პროზის ბოლო ათწლეულების უმნიშვნელოვანესი მონაპოვარი და იგი ნამდვილად იმსახურებს მკითხველი საზოგადოების ცხოველ ყურადღებასა და ინტერესს.

ნაწარმოების მაღალი ღირსების შესახებ აღნიშნეს დისპუტის მონაწილეებმაც. თითოეულმა მათგანმა ისაუბრა იმის შესახებ, თუ როგორ შემოვიდა დათა თუთაშხია მათ ცნობიერებაში, როგორ ხიბლავს მათ მისი სწორუპოვარი ვაჟკაცობა, სიმართლის სიყვარული, სიკეთისათვის თავდადება, დინჯი, გაწონასწორებული ხასიათი, ღირსეული თავდაჭერა, გონიერი სიტყვა-პასუხი და მრავალი სხვა. ყველა მათგანს თავისი ნათქვამის დასასდასტურებლად რომანიდან მოჰყავდა არგუმენტები. ისინი ერთხმად აღიარებდნენ დათა თუთაშხიას დადებით ლიტერატურულ გმირად.

გამოითქვა საწინააღმდეგო მოსაზრებაც, რომლის მომხრენი დათას პიროვნებას უარყოფით ჭრილში განიხილავდნენ. უმთავრესად ლაპარაკობდნენ მისი ხასიათის უარყოფით ცვლილებებზე – გულგატეხილობასა და საზოგადოებისაგან განდგომაზე. მიაჩნდათ, რომ ღურუს დუქანში მომხდარ ფაქტზე თავშეკავება უპატიებელი დანაშაული იყო ღვთაებრივი მისიით დატვირთული გმირისათვის. „დათას საქციელი ერთი ჩვეულებრივი გაჯავრებული კაცის საქციელია, და სიკეთისათვის მებრძოლი გმირი სადღაა?" – კითხულობდნენ ისინი და გარდა ამ შემთხვევისა, კიდევ სხვა დეტალებს ასახელებდნენ ამჯერად, სიყვარულის ფაქტზე ყურადღების გამახვილებით მოითხოვდნენ, არ ეცნოთ დათა თუთაშხია დადებით ლიტერატურულ გმირად.

ამ შეხედულებათა საპასუხოდ მყისვე ხაზგასმით აღინიშნა, რომ დათა განკერძოებული პიროვნების სახითაა წარმოდგენილი ავტორის მიერ და ამდენად, როგორც ჩვეულებრივი ადამიანისათვის, მისთვისაც არაფერია ამ ქვეყნიური უცხო, მათ შორის არც ნამალევი სიყვარული და არც რომელიმე არასასიამოვნო მოვლენაზე თავის არიდება. მართალია, დურუს დუქანში ჩვენ ვხედავთ გულგატეხილსა და საზოგადოებისაგან განდგომილ დათას, მაგრამ ეს ის მომენტია, როცა მას ჯერ კიდევ თავისი ქცევისათვის ანგარიში ვერ მიუცია, სულიერ ორთაბრძოლას განიცდის, გადაწყვეტილება ვერ მიუღია და სამოქმედო გზა ვერ შეურჩევია. ამდენად, მთავარი გმირისათვის ბრალის დადება ამ მიზეზების გათვალისწინების გარეშე, არა მარტო მიუღებელი და უსამართლოა, არამედ ავტორის ჩანაფიქრისა და წიგნის დედა-აზრის საწინააღმდეგოცაა, მით უფრო, რომ რომანის მომდევნო თავებში ჩვენს წინაშე სულ სხვანაირი დათა დგას. აქ იგი უკვე საბრძოლველად შემართული გმირია, რომელიც უმოქმედობას ველარ ეგუება და სწორედ ამ მოქმედებასა და მოძრაობაში იხატება მისი სულის, ნებისმყოფისა და გონების ძლიერების ერთობლიობა. ხაზგასმით ითქვა, რომ განსაკუთრებით შეუდარებელია დათა სიცოცხლის უკანასკნელ წამებში — ბოროტებაზე ფსიქოლოგიურად გამარჯვებული, სიკეთის ჩადენის სურვილითა და თავგანწირვის უნარით გაბრწყინებული დათას სულიერი სიმაღლე მიუწვდომელი და ჩვეულებრივია მოკვდავისათვის.

თუმცა კამათი მწვავედ მიმდინარეობდა, მაგრამ ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტებისა და არგუმენტების მეშვეობით მოპაექრეთა მიერ თანდათან სრულყოფილად გამოიკვეთა ის აზრი, რომ მიუხედავად ზოგიერთი ადამიანური ცდომილებისა, დათა თუთაშხია ავტორისეული დატვირთვითა და თავისი პიროვნული მთლიანობით, აგრეთვე იმ თვისებათა გათვალისწინებით, რაც მას, როგორც კეთილშობილ რაინდს, ახასი-



ათებს, აუცილებლად იმსახურებს რომანის დადებით გმირად დასახვას და ბოლომდე რჩება მკითხველის უსაყვარლეს ლიტერატურულ პერსონაჟად.

დისპუტის შეჯამებისას ნათლად გამოჩნდა, რომ მკითხველთა გადამჭრელი უმრავლესობა დაეთანხმა დათა თუთაშხიას პიროვნების დადებით შეფასებას და აღნიშნა, რომ დათა თუთაშხია თავისი კაცურ-კაცობით, შემართებით, სიდარბაისლითა და უბადლო ვაჟკაცობით, თავდაჭერითა და სიტყვა-პასუხით, მიმნდობი, კეთილი ხასიათით, ჭირსა და ლხინში თანაგრძნობითა და სხვა მრავალი კეთილშობილ თვისებათა გამოვლინებით, ქართველი კაცის, ქართული ჯიშის თვისებათა კრებსითი გამოვლინებაა და ჭაბუა ამირეჯიბის ამ მრავალწახნაგოვანი რომანის მთავარი პერსონაჟიც, ჩვენი დისპუტის საერთო აზრით, სამართლიანად იქნა აღიარებული დადებით ლიტერატურულ გმირად.

ნუგეშა შუბითიძე
ხაშურის მე-8 საავტორო სკოლის პედაგოგი

# ერთი ლამაზი საღამო

ხაშურში, კოსტავას ქუჩა №4-ის ერთ მყუდრო ბინაში თავმოყრილი წიგნები მკითხველებს ელიან... ოთახში შესვლისთანავე საოცარი სიმყუდროვის გრძნობა დაგეუფლება ადამიანს. თვალში გეცემა წარწერები: „ბიბლიოთეკა – ესაა ადამიანი ყველა სულიერი სიმდიდრის საგანძური", „წიგნი ადამიანური საქმიანობის ყველაზე უფრო დღეგრძელი ნაყოფია". უნებურად დიდი ადამიანის სიტყვები გაგახსენდება „...ჯადოსნურ კარიბჭეს რომ გასცდებით, თქვენ აღმოჩნდებით მშვენიერ ქვეყანაში, სადაც ვერ აღწევს ბაზარი და მოუსვენრობა, ყველაფერი მდაბალი და უხამსი უკან დაგრჩათ. აქ თქვენ მოლოდინში დგანან თქვენი კეთილშობილი, მდუმარე მეგობრები".



ხაშურის სარაიონო საბავშვო ბიბლიოთეკა

აქ მომუშავე ქალბატონებს კარგად აქვთ გაცნობიერებული წიგნის როლი, როგორც მოზარდის აღზრდის საქმეში, ასევე ზრდასრული ადამიანისათვისაც. მართლაც, საოცარია წიგნი. ის არა მხოლოდ თანამედროვეებს აკავშირებს ერთმანეთთან, არამედ სხვა თაობებსაც. ათასი ცეცხლი და ვარამი გამოუვლია ამ წიგნებს, მადლიერ ხელსაც სჭერია და მტრის ხელშიც გაუვლიათ. ასე მოაღწიეს ჩვენამდე, და დღეს უკვე ბიბლიოთეკის წიგნთსაცავებში დაცულ წიგნებში უამრავ ინფორმაციას წავაწყდებით წარსულსა თუ აწმყოზე.

ეს მყუდრო, ყვავილებით გალამაზებული ოთახი საბავშვო ბიბლიოთეკას ეკუთვნის, რომლის ხელმძღვანელია ქალბატონი მანანა აღაჯანოვი. აქ ამ ოთახში ბევრი თბილი სიტყვა თქმულა, ბევრი სასიამოვნო წუთები გაუტარებიათ ადამიანებს. დღეს ჩატარებული ზეპირი ჟურნალი: „ბიბლიოთეკა გუშინ, დღეს, ხვალ" ბიბლიოთეკების კვირეულის გამოხმაურება იყო. ღონისძიებაში მონაწილეობა საუკეთესო მკითხველებმა მიიღეს. მათ მსმენელებს უზარმაზარი ინფორმაცია მიაწოდეს ბიბლიოთეკების შესახებ. ისაუბრეს წიგნის მნიშვნელობასა და დანიშნულებაზე. ასეთი დიდი ინფორმაციის შეკრებაში ლომის წილი მიუძღვით თანამშრომლებს: ხათუნა ლაცაბიძეს, თამრიკო შუბითიძეს, ნუნუ წიქარიშვილს. უფროსების გამოსვლებს ბავშვები ლექსებით ალამაზებდნენ. დაჯილდოვდა ბიბლიოთეკის საუკეთესო მკითხველი მე-3 საშუალო სკოლის IV კლასისი მოსწავლე გოდერძი კობაძე. მონაწილე ბავშვთა უმრავლესობა ხაშურის მე-8 საავტორო სკოლის მოსწავლეები იყვნენ.

კიდევ ერთი ლამაზი საღამო დარჩა წარსულში, მაგრამ მისი კვალი იქ მყოფ ადამიანთა მეხსიერებას დიდხანს დარჩება. აქ მომუშავე ქალბატონები კი კიდევ მრავალ ღონისძიებას ჩაატარებენ. მათ ხომ მომავალი თაობის აღზრდის საქმეში ერთობ მძიმე მისია აქვთ დაკისრებული. მათ მიერ სწორად შერჩეულმა წიგნმა მკითხველის გულში უნდა შეაღწიოს. მომავალი თაობის აღზრდა ხომ ყველა დროისა და ქვეყნის საზრუნავია.

დღეს, როცა საქართველოს თავისუფალი, შეუზღუდავი თაობა სჭირდება, პედაგოგთან, მშობლებთან ერთად ბიბლიოთეკასაც დიდი მნიშვნელობა აქვს. მან უნდა შეძლოს მოსწავლეთა აალება, თავდავიწყება, ქართული სიტყვის მადლთან ზიარება.

ც. ღევაძე,
ბრილის ბიბლიოთეკის გამგე

# კვირეულის ერთი დღე

ბ ამორჩეული დღე იყო 19 აპრილი ბრილის ბიბლიოთეკისათვის. ბიბლიოთეკას და მის მკითხველს არ დაუშურვებია შრომა და გარჯა იმისათვის, რომ საბიბლიოთეკო კვირეულის მიზანი და ამოცანა სრულყოფილად განხორციელებულიყო.

საღამოს მოწყობას წინ მთელი რიგი სამუშაოები უძღოდა: ეზოს დასუფთავება-გამწვანება, წიგნების დასუფთავება, მოწესრიგება თაროებზე, სამკითხველო დარბაზის დეკორირება, გამოფენების გადახალისება, იმ ახალი ალბომების სრულყოფა, რომელთა სათაურებია: „ბრილზე – ასე წერენ", „ბრილის ისტორია", „თვითშემოქმედების ალბომი", „მივიწყებული ალბომი" – უმთავრესი და მნიშვნელოვანი რაც კვირეულთან დაკავშირებით გაკეთდა, ბიბლიოთეკის ექსლიბრისია. სურათზე, რომელმაც ერთგვარად შეავსო და გაალამაზა სამკითხველო დარბაზი, ცოდნის სამყაროა ასახული. ბოლოს ჯერი სტუმრების მოწვევაზე მიდგა. მოსაწვევ ბარათებს პოეტ ალ. ამორაძის ლექსიდან („შედევრების სამეფოში") ამოღებული ცოტატა ამშვენებდა:

„წმინდა ტაძარო, საუნჯეთა დიდო სავანევ,
შემოველ, შენი იდუმალი მიხმობს ზარები.
წმინდანთა აზრი შეუმცდარი მაწრთობს, მამაღლებს,
გონიერთათვის ღია არის შენი კარები."

ამ დღეს ჩვენი ბიბლიოთეკა აქტიურ მკითხველებთან ერთად, სხვა მრავალ სასურველ სტუმარსაც ელოდა. სოფლად ბიბლიოთეკა ის ერთადერთი დაწესებულებაა სკოლის შემდეგ, რომელსაც საზოგადოების განათლება და კულტურის ამაღლება აკისრია. და ჩვენც ვცდილობთ, დაკისრებული ვალდებულება პირნათლად შევასრულოთ. საზოგადოებას მოხსენდა ბიბლიოთეკის მიერ ჩატარებული მუშაობის შესახებ, ვისაუბრებთ მომავლის გეგმებზე, შევეხეთ პრობლემებსაც, რომელთა ნაწილობრივ მოგვარება იქვე აგვიტქვა ცენტრალური საბ. სისტემის დირექტორმა რუსუდან ენჯიბაძემ. არც ის პიროვნებები დაგვავიწყდება, რომლებიც ერთ დროს საბიბლიოთეკო საქმეს ჩვენს სოფელში ერთგულად, დიდი სიყვარულით უძღვებოდნენ – ანგელინა ქართველიშვილი, რომელმაც პირველმა აზიარა ჩვენი სოფლის მკვიდრნი წიგნსა და ბიბლიოთეკის სიყვარულს, ის დღესაც დიდი ინტერესით ადევნებს თვალყურს ჩვენს საქმიანობას. აწ განსვენებული როზა გოგიჩაიშვილი 47 წელი ემსახურა თავის სოფელს, და სოფელიც სიყვარულით იგონებს მას. ჩვენი ბიბლიოთეკის მეგობარმა, პედაგოგმა ნინო მურმანიშვილმა, საკუთარი ლექსით ლამაზად გაიხსენა ის:

ფიქრებს საგორავი ვეღარ დაუღევი,
გულს დიდი ტკივილი დამიგროვდა,
მე თქვენი გაღიმება გამახსენდა,
მე თქვენი გაღიმება მომაგონდა.

– სტუმრებს შორის იმყოფებოდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ესთეტიკისა და კულტუროლოგიის კათედრის გამგე დოც. აკაკი ყულიჯანიშვილი, ავტორი წიგნისა „კულტუროლოგია".

ბატონმა აკაკიმ ვრცლად ისაუბრა ერისა და კულტურის პრობლემების შესახებ. საუბრის ბოლოს ხაზგასმით აღნიშნა, რომ ასეთ პატარა სოფლებში ჩატარებული ღონისძიებები, თუნდაც ის ყოველივე, რაც თქვენ გაგიკეთებიათ ალბომების სახით, თუნდაც ის ტოპონიმების გარკვევა, რაც მომავალში განგიზრახავთ, დიდი წვლილის

შეტანაა იმ საქმეში, რასაც ქართული კულტურა ჰქვია.

საინტერესოდ დასრულდა საღამო, თუმცა კითხვა-პასუხი ბატონ აკაკისა და დარბაზს შორის ამით არ დასრულებულა, ის შემდგომაც გაგრძელდა, რაც ისევ ქართველი ერის ღირსეულ ტრადიციებსა და კულტურას ეხებოდა.

დამშვიდობებისას სტუმრებს „სამახსოვრო ბარათი 2003" გადაეცათ, რომლის ერთ-ერთ გვერდზეც აღბეჭდილიყო ჩვენი აქტიური მკითხველის, საბიბლიოთეკო საქმის გულშემატკივრის კახაბერ ლონლაძის სიტყვები:

„ცოდნის სამყაროს მყარი ნათელი
იყოს საზრდელი ჩვენი სულისა"

ნ. ნაჭყებია
ჩხოროწყუს რაიონის საბიბლიოთეკო სისტემის დირექტორი

# დღეს ვჭვრეტთ მომავალს

ქვეყნის მასშტაბით გამოცხადებულმა საბიბლიოთეკო კვირეულმა დევიზით „თქვენი ბიბლიოთეკა" დიდი გამოხმაურება გამოიწვია ჩვენი რაიონის ბიბლიოთეკებში. მიმდინარე წლის 21-27 აპრილი ნამდვილად იქცა საბიბლიოთეკო მუშაობისა და მომსახურების ხარისხის ამაღლების კვირეულად.

კვირეულში მონაწილეობდა რაიონის 22 ბიბლიოთეკა. მიუხედავად ეკონომიურად მძიმე პირობებისა, რომელმაც უარყოფითი გავლენა მოახდინა წიგნმომარაგებაზე, ჩვენმა ბიბლიოთეკარებმა წარმატებით გაართვეს თავი მკითხველთა მომსახურების საქმეს, რაც მთავარია, ამაღლდა მათთან ურთიერთობის კულტურა, გაიზარდა მოთხოვნილება ინფორმაციაზე.

კვირეულის პერიოდში ბიბლიოთეკების უმრავლესობა მოსახლეობას თავისი მოპოვებული სახსრებით შეძენილი პერიოდიკითა და წიგნებით ემსახურებოდა. ამ პერიოდში წიგნის პროპაგანდისათვის, იმისათვის, რომ ბიბლიოთეკების მკითხველებად გამხდარიყო მოსახლეობის რაც შეიძლება მეტი ნაწილი, გამოყენებული იყო ინფორმაციისა და რეკომენდაციის მთელი არსენალი.

კვირეულის პერიოდში ბიბლიოთეკებში მოეწყო სხვადასხვა სახის ღონისძიებები: გამოფენები აქტუალურ საკითხებზე, პოეზიის საღამოები, წიგნის განხილვები, ვიქტორინა-კონკურსები, შეხვედრები ინტელიგენციის წარმომადგენლებთან. ყოველი ღონისძიების მიზანი იყო, ნათლად წარმოჩენილიყო მოსახლეობის საბიბლიოთეკო მომსახურების პრობლემები, ის პრობლემები, რომლებიც ბოლო 10 წლის მანძილზე არსებობს საბიბლიოთეკო ქსელში, და, საუბედუროდ, დღესაც გრძელდება. საბიბლიოთეკო მუშაკების მინიმალური ეკონომიური მდგომარეობა უდაბლეს დონეზეა დასული. არის ხელფასების დავალიანებები, რაც თავისთავად აფერხებს მუშაობასაც. უსახსრობის გამო ვერ ხერხდება ახალი პერიოდიკითა და წიგნებით ბიბლიოთეკების დაკომპლექტება, საბიბლიოთეკო

ქსელი განიცდის საბიბლიოთეკო ტექნიკის ნაკლებობას.

რაიონის საბიბლიოთეკო გაერთიანების დირექცია, კულტურის განყოფილების მეთაურობითა და ხელმძღვანელობით, ყოველ ღონეს ხმარობს, რომ მთავრობის ყურადღება მიაპყროს რაიონის ბიბლიოთეკების სადღეისო მოთხოვნილებებსა და მდგომარეობას.

კვირეულის პერიოდში საინტერესო მუშაობა გასწია რაიონის მეთავე ბიბლიოთეკამ, რომელმაც საქართველოს მწერალთა კავშირის ჩხოროწყუს ლიტერატურული გაერთიანება „მუზის ყივილ"-თან ერთად მოაწყო ლიტერატურული საღამოები. ჩატარდა ქალთა დღისადმი მიძღვნილი კაფე-საღამო, შესანიშნავი ღონისძიებანი მიეძღვნა ქართული ენისა და სიყვარულის დღეების აღნიშვნას.

ხშირია ვიქტორინა-კონკურსები და საინტერესო საბავშვო დილები თუ ზღაპრების დღეები რაიონის საბავშვო ბიბლიოთეკაში, რომელსაც ძველთაგანვე საქვეყნოდ ჰქონდა განთქმული სახელი თავისი შესანიშნავი ღონისძიებებით (გამგე ნ. ქობალია).

კვირეულის პერიოდში კარგი მუშაობით გამოირჩეოდა რაიონის საქალაქო ბიბლიოთეკა, რომელმაც ლიტერატურული საღამოებითა და ლამაზი პოეზიის წუთებით აღნიშნა ცნობილი ქართველი პოეტებისა და მწერლების საიუბილეო თარიღები (გამგე ნ. ქებურია).

შეხვედრებითა და კაფე-საღამოებით აღინიშნა ქალთა დღეები, ასევე იძულებით გადაადგილებულ პირებთან შეხვედრები ახუთის, კირცხის, ხაბუმისა და ლესიჭინეს სასოფლო ბიბლიოთეკებში (გამგეები: ლ. სანაია, ქ. ჭითანავა, მ. როდონაია, ნ. ზუბადალაშვილი).

რაიონის ბიბლიოთეკებმა კვირეულის პერიოდში აქტიური პროპაგანდა გაუწიეს რელიგიურ თუ ისტორიულ თემებზე არსებულ ლიტერატურას. „აქტიური პროპაგანდა, აქტიური მხარდაჭერა ყოველთვის აქტუალურისა და კარგისა", — აი, ეს იყო დევიზი რაიონის საბიბლიოთეკო სისტემის მუშაკებისა.

კვირეულის პერიოდში მაღალი პროფესიული მუშაობისათვის, წიგნის პროპაგანდისა და მკითხველთა კარგი მომსახურებისათვის კულტურის განყოფილებისა და საბიბლიოთეკო დირექციის გადაწყვეტილებით, მადლობა გამოეცხადათ მეთავე ბიბლიოთეკის თანამშრომლებს: ქ. წურწუმიას, ქ. დარასელიას, ც. ვეკუას, მ. ჭყონიას, ნ. გულუას, საქალაქო ბიბლიოთეკის გამგეს ნ. ქებურიას, საბავშვო ბიბლიოთეკის გამგეს ნ. ქობალიას და ბიბლიოთეკარს ნათელა ბერაძეს.

სასურველია, მომავალშიც გაგრძელდეს მსგავსი საბიბლიოთეკო კვირეულები, რომლებიც გააქტიურებენ როგორც საბიბლიოთეკო მუშაობას, ასევე მოგვცემენ საშუალებას, გავაანალიზოთ ის პრობლემები, რომლებიც დღესდღეობით არსებობს საბიბლიოთეკო საქმეში.

თასო ცისკარიშვილი
გურჯაანის რაიონის ც/ბიბლიოთეკის დირექტორი

# კვირეული გეგმიურად წარიმართა

გურჯაანის რაიონის საბიბლიოთეკო ქსელში 21-27 აპრილს ჩატარდა საბიბლიოთეკო კვირეული, რომელიც ჩვენი მუშაკებისათვის პროფესიული შთაგონების კვირეული იყო. რაიონის თითქმის ყველა ბიბლიოთეკა იღებდა მონაწილეობას კულტურულ ღონისძიებებში, რომელიც ერთმანეთის მიყოლებით ეწყობოდა; საბიბლიოთეკო კვირეული ჩვენს მუშაკებს ნათლად აჩვენებს, თუ რისი გაკეთება შეგვიძლია. მთავარია გვქონდეს ერთმანეთის ნდობა და საქმისადმი სიყვარული, მონდომება და ენთუზიაზმი. ჩვენს ვითარებაში ეს ძნელია, მაგრამ ამას მოითხოვს დღეს ჩვენგან ქვეყნისათვის სამსახური და ამას ვერ გავექცევით.

შედგა კვირეულის გეგმა, ინფორმაციის გაკეთება ტელევიზიით, დაიწერა გაზეთში, თვითოლეულ ჩასატარებელ ღონისძიებაზე შედგა ოპერატიული გეგმა, მოეწყო გამოფენები, სარეკომენდაციო სიები, თემატური კარტოთეკები, გაიცა მკვითხველზე შესაბამისი ლიტერატურა, ჩატარდა საუბრები, საზოგადოება დაუახლოვდა ბიბლიოთეკას, რაც უმთავრესი მიზანია კვირეულის.

ჩუმლაყის სასოფლო ბიბლიოთეკაში ჩატარდა პოეზიის სალმო, ღონისძიებას დაესწრო სოფლის მოწინავე საზოგადოება, მონაწილეობდნენ სხვადასხვა კატეგორიის მკითხველები.

არაშენდის სასოფლო ბიბლიოთეკაში კულტურის სახლთან ერთობლივად ჩატარდა პოეზიის საღამო ი. გრიშაშვილის შემოქმედების მიხედვით.

სოფელ გურჯაანის სასოფლო ბიბლიოთეკაში ი. ნონეშვილის დაბადებიდან 85-ე წლისთავს მიეძღვნა ლიტერატურული საღამო, რომელსაც დაესწრო სოფლის ინტელიგენცია, მოსწავლე-ახალგაზრდობა.

ველისციხის სასოფლო ბიბლიოთეკა ერთგვარად გამხსვილებულია თავისი 15.000 წიგნადი ფონდით. ეს სოფელი რაიონში ყველაზე დიდია მოსახლეობის რაოდენობით. ღონისძიებამ „დიდი გალაკტიონი" მრავალი ადამიანი შემოკრიბა ბიბლიოთეკაში. ღონისძიება გულთბილ ვითარებაში ჩატარდა, ის სოფლის ზეიმად იქცა.

მელაანის სასოფლო ბიბლიოთეკამ გამართა ნ. დუმბაძის შემოქმედებისადმი მიძღვნილი საღამო.

კაჭრეთის, მახარაძის ბიბლიოთეკებმა შეხვედრა მოუწყვეს თანამემამულე პოეტს რევაზ გეთიაშვილს.

ქოდალოს სოსოფლო ბიბლიოთეკამ მკითხველებს შეახსენა შ. ნიშნიანიძის პოეზია, რასაც ადგილობრივი მოსახლეობა დიდი ინტერესით შეხვდა.

ობიექტური მიზეზების გამო გადაიდო ღონისძიებები ვაზისუბნის ბიბლიოთეკებში. ნანიანის, ჭანდრის, ქირკოკის, კალაურის ბიბლიოთეკებში, მაგრამ აქაც გრძელდება ის საქმიანობა, რაც სხვა ბიბლიოთეკების მიერ არის წამოწყებული.

ფაქტიურად, უკვე მომზადდა ი. ნონეიშვილის საიუბილეო საღამო, გაკეთებულია გამოფენა, შედგენილია გეგმა, სარეკომენდაციო სია და სხვა. საყურადღებოა, რომ ბიბლიოთეკაში დაიწყო რემონტი და მკითხველის შემოსვლა გართულებულია. ეს ფაქტი თავისთავად მნიშვნელოვანია, მივესალმები კიდეც. რაც შეეხება ღონისძიებებს, კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას, ამ მიმართულებით ბიბლიოთეკა კიდევ უფრო გაააქტიურებს თავის საქმიანობას პოეტის ოჯახთან ერთად.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ კვირეული დანიშნული იყო დიდი მარხვის ბოლო მძიმე კვირაში, რამაც ერთგვარად თავისი გავლენა იქონია, განსაკუთრებით მომარხულე მრევლზე, მაგრამ მიუხედავად ამისა, გეგმა მთლიანად შესრულდა, თუმცა, ვფიქრობთ, შემდგომში ამგვარ მოვლენებსაც უნდა გაეწიოს ანგარიში.

ე. ბრეგვაძე

# საბიბლიოთეკო კვირეული რუსთავში

კვირეულისათვის მზადება ჯერ კიდევ მარტის თვიდან დავიწყეთ. კულტურის განყოფილების გამგის ნ. კუპატაძის უშუალო ხელმძღვანელობით მოეწყო შეხვედრა ქალაქის მერიის პირველ მოადგილესთან თ. ღალაქიშვილთან, კომუნალური სამსახურის უფროსებთან, მუნიციპალური სამსახურის უფროსებთან, მუნიციპალიტეტის თავმჯდომარეებთან. საუბრის თემა იყო „ბიბლიოთეკისა და



**შეხვედრა პოეტ მარინა ცხვედიაშვილთან და მისი წიგნის „სულის სარკმლიდან" პრეზენტაცია.**

ბიბლიოთეკართა სატკივარი". ამ შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა ბიბლიოთეკების მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაზე, დაფინანსებაზე. წამოყენებულ იქნა წინადადება, დახმარებოდნენ ბიბლიოთეკებს.

ადგილობრივ გაზეთში „რუსთავი" დაიბეჭდა მასალა კვირეულის შესახებ; მკითხველებს გავაცანით მისი არსი და მნიშვნელობა, მოვუწოდეთ აქტიური მონაწილეობა მიეღოთ კვირეულის პროგრამის შედგენაში, რამაც უფრო საინტერესო და შინაარსიანი გახადა იგი. პირველ რიგში მოწესრიგდა საბიბლიოთეკო ფონდები, საკატალოგო და საკარტოთეკო მეურნეობა, გამოფენები შეივსო ახალი მასალებით. მკითხველებს გავაცანით კვირეულის პროგრამა. გაკეთდა გამოფენა „წიგნი და ბიბლიოთეკა".

21 აპრილს ყველა საქალაქო და საბავშვო ბიბლიოთეკაში საზეიმოდ გაიხსნა საბიბლიოთეკო კვირეული. №1 საბავშვო ბიბლიოთეკაში ჩატარდა მკითხველად კურთხევის ცერემონია. ამ დღეს ბიბლიოთეკაში ჩაეწერა I-II კლ. 50 მოსწავლე. საბავშვო ბიბლიოთეკამ „ბუნების კარი" (გამგე ლ. აბრამიშვილი), ფოლკლორის სკოლასთან (დირექტორი მ. გულაღაშვილი) ერთად წარმოადგინა ლიტერატურულ-მხატვრული კომპოზიცია „ქართული ფოლკლორი". ამ ღონისძიებაში აქტიურ მონაწილეობას იღებენ №4, №5, №8, №23 და კერძო სკოლის „მნათობის" მოსწავლეები. სტუმრების შემოსვლას ბავშვთა ანსამბლი „მრავალჟამიერის" სიმღერით შეეგება. ისაუბრეს ქართული ფოლკლორის განვითარების ისტორიაზე. ლექსს სიმღერა ცვლიდა, ლეგენდას ცეცხლოვანი ცეკვები, შაირები და სალაღობოები.

22-23 აპრილს №1 საბავშვო ბიბლიოთეკამ №8 და №9 საბავშვო ბაღში ჩაატარა გასვლითი ღონისძიება დევიზით „ზღაპარი ესტუმრა ბავშვებს". აქვე მოეწყო გამოფენა „იყო და არა იყო რა"; ბავშვებს წაუკითხეს ზღაპრები, გაიმართა სახალისო ვიქტორინა „ვინ, რა, რატომ". საბავშვო ბიბლიოთეკა „ბუნების კარში" დილა მიეძღვნა აკ. წერეთელს – „ჩონგური საქართველოა, სიმები ჩვენ ვართ ყველაო". №4 საშ. სკოლის III კლასელებმა ხატის წინ სანთლებით ხელში წარმოადგინეს „აკაკის აკვნის" ინსცენირება. ამ ღონისძიებაში 35 ბავშვი მონაწილეობდა.

22 აპრილს №2, №3, №4 და №10 საქალაქო ბიბლიოთეკებმა შეხვედრა მოუწყვეს მარჯანი-



ლიტერატურული მუსიკალური კომპოზიცია „წიგნები, რომლებიც არ კვდებიან"

შვილის პრემიის ლაურეატს, გამოჩენილ მსახიობს, რუსთავის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელს, რეჟისორ გოგი ქავთარაძეს, შეხვედრამ საინტერესო ვითარებაში ჩაიარა. დაისვა მრავალი შეკითხვა, ბატონმა გოგიმ ამომწურავი პასუხები გასცა. მან ბიბლიოთეკისაგან სამახსოვრო საჩუქარი მიიღო, თავად კი მის შესახებ დაწერილი წიგნები გადასცა ბიბლიოთეკებს საჩუქრად. დაარიგა ავტოგრაფები, გადაიღო სამახსოვრო სურათები. ბიბლიოთეკაში გაკეთდა ფოტოსტენდი „ბობოქარი ხელოვანი".

23 აპრილს ცენტრალურ ბიბლიოთეკაში №11 საბავშვო ბიბლიოთეკასთან ერთად შეხვედრა მოეწყო პოეტ მარინა ცხვედიაშვილთან, ამასთან ჩატარდა მისი წიგნის „სულის სარკმლიდან" პრეზენტაცია. უამრავმა მკითხველმა მიიღო ამ ღონისძიებაში მონაწილეობა. პოეტს მიესალმნენ მწრლები და ჟურნალისტები, გ. ჯახუა, თ. სიცმაშვილი, ი. ჭიჭინაძე, ბ. ზაალიშვილი, საქართველოს მწერალთა კავშირის ქვემო ქართლის განყოფილების თავმჯდომარე მ. ჭოლოკავა და სხვ. საღამომ გულთბილ ვითარებაში ჩაიარა. პოეტმა ბიბლიოთეკას თავისი ლექსების კრებული გადასცა საჩუქრად.

ამავე დღეს საბავშვო ბიბლიოთეკა „ნაკადულში" (გამგე ა. ხაჩიძე) მოეწყო ინტელექტუალური თამაში, რომელშიც მონაწილეობას ღებულობდნენ ბიბლიოთეკის მკითხველები ქართული გიმნაზიის (დირექტორი ნ. მოსიძე) და №17 სკოლის (დირექტორი გ. მუმლაძე) VII კლასის მოსწავლეები. ბავშვებმა ღრმა ცოდნა გამოამჟღავნეს. გაიმარჯვეს ქართული გიმნაზიის მოწავლეებმა. გამარჯვებულებს გადაეცათ პრიზები.

№10 ფილიალში (გამგე ნ. ამისულაშვილი) ჩატარდა ვიქტორინა-კონკურსი „ვინ უკეთ იცნობს ჩვენი ქალაქის ისტორიას". ღონისძიებაში მონაწილეობდნენ კლასიკური გიმნაზიისა და №2 საშ. სკოლის XI კლასელები. გამოვლინდა გამარჯვებულები.

24. აპრილს №1 საბავშვო ბიბლიოთეკაში, №16 საშ. სკოლასთან ერთად ჩატარდა ლიტ. დილა: „წიგნო, ლულუნა მტრედი ხარ". ღონისძიებაზე მიწვეული იყო პოეტი ს. ახვლედიანი, რომელმაც თავისი ლექსებით დააინტერესა მსმენელები.

ამავე დღეს საბავშვო ბიბლიოთეკა „ბუნების კარში" მოეწყო ორი თაობის შემოქმედებითი შეხვედრა დევიზით „უფროსები ბავშვებისათვის – პატარები დიდებისათვის". პოეტებმა ე. გოშაძემ და ლ. ბეჟანიშვილმა თავიანთი ლექსები წაუკითხეს პატარებს. პატარებმა გ. ქეთელაურმა (№4 საშ. სკოლა II კლ.) ქ. ტაბაღუამ (№5 საშ. სკოლა XI კლ.) და ნ. კვარაცხელიამ (№23 სკოლა VIII კლ.) თავიანთი შემოქმედება გააცნეს დიდებს. შემდეგ გაიმართა კონკურსი მხატვრულ კითხვაში – „ჩვენი წიგნი, ჩვენი დედა". კონკურსში გაიმარჯვეს მოსწავლეებმა: რ. ოთანაშვი-



საბავშვო ბიბლიოთეკა, №11 ფილიალი, ქ. რუსთავი



ფოლკლორის საღამო ქ. რუსთავში

ლმა და ნ. სულეიმანიშვილმა. მათ საჩუქრად გადაეცათ წიგნები.

ამავე დღეს ახალგაზრდობის ბიბლიოთეკაში (№5. გამგე რ. ინგოროყვა) სკოლა „ჩირაღდანთან" ერთად (დირექტორი დ. კაპანაძე, პედაგოგი ლია პაიჭაძე) ჩატარდა ლიტერატურული კომპოზიცია „წიგნები, რომლებიც არ კვდებიან". იგი მოიცავდა პერიოდს დამწერლობის წარმოშობიდან თანამედროვე მწერლობამდე. ეს იყო არაჩვეულებრივად ლამაზი, ნამდვილი თეატრალიზებული სპექტაკლი; სულს ატკბობდა შოთა რუსთაველის, ნ. ბარათაშვილის, გრ. ორბელიანის, ვაჟას, აკაკის, ილიას, დიდი გალაკტიონის პოეზიის სტრიქონები. აქვე წარმოადგინეს გ. ლეონიძის „ნატვრის ხის" მონტაჟი. ახალგაზრდებმა განსაკუთრებულად გაუსვეს ხაზი იუბილარ მწერალთა შემოქმედებას. წაიკითხეს ი. ნონეშვილის ლექსები, ღიმილნარევი სევდით გაიხსენეს მათთვის საყვარელი მწერალი ნ. დუმბაძე, წარმოადგინეს ნაწყვეტი „მე, ბებია, ილიკო და ილარიონიდან". ღონისძიებას ესწრებოდნენ ახლაგაზრდობის დეპარტამენტის თავმჯდომარე ლ. ტოპრაკაშვილი, მსახიობი ზურა ინგოროყვა, სკოლა „ჩირაღდნის" პედაგოგები, მშობლები, მოსწავლეები.

ამავე დღეს საბავშვო ბიბლიოთეკაში „დილა" (გამგე ქ. მელიქიძე) და მე-6 საქალაქო ბიბლიოთეკაში (წამყვანი ბიბლიოთეკარი ც. ოსიტაშვილი) მოეწყო ლიტ. მხატვრული კომპოზიცია – შეხვედრა მურმან ლებანიძის პოეზიასთან „სამშობლოს სიყვარულში დახარჯული გულის პოეტი". ღონისძიებაში აქტური მონაწილეობა მიიღეს №18 საშ. სკოლის მოსწავლეებმა (დირექტორი მ. მეცხვარიშვილი, პედაგოგი ე. აბულაშვილი). წაიკითხეს ლექსები, შეასრულეს მ. ლებანიძის ლექსებზე შექმნილი სიმღერები. №6 საქალაქო და №8 საბავშვო ბიბლიოთეკებმა მოაწყვეს ექსკურსია წმინდა ნიკოლოზის სახ. ეკლესიაში და რუსთავის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

24 აპრილს საბავშო ბიბლიოთეკა „ნაკადულში" ჩატარდა მ. ფაშურიშვილის (რუსთაველი პოეტი) წიგნის „ლექსები, გამოცანები, იუმორი" პრეზენტაცია.

25 აპრილს №3 საქალაქო ბიბლიოთეკაში (გამგე ნ. თევდორაძე) მოეწყო შეხვედრა რუსთაველ მწერლებთან, ხოლო №4 საქალაქო ბიბლიოთეკაში (გამგე მ. გოგსაძე) თემატური საღამო „ჩემი სამომავლო პროფესია"; კლასიკურ გიმნაზიასთან ერთად №12 საბავშვო ფილიალში გაიმართა დილა „გიყვარდეთ წიგნი". მონაწილეობდნენ №10 საშ. სკოლის II-IV კლ. მოსწავლეები, მოეწყო გამოფენა „ჩვენი ნორჩი ხელებით", გამოფენილი იყო ბავშვთა ნამუშევრები.

26 აპრილს №1 საბავშვო ბიბლიოთეკაში ჩატარდა დისპუტი „იცი თუ არა შენ", №11-ში („ბუნების კარი") ვიქტორინა-კონკურსები: „ქართული წიგნის მესვეტენი", №23 სკოლასთან ერთად. №12 ბიბლიოთეკა „ჯეჯილში" – „10 შეკითხვა წიგნის სამყაროდან".

29 აპრილს №2 საქალაქო ბიბლიოთეკაში (გამგე ლ. ხარბედია) მხარეთმცოდნეობის მუზეუმთან ერთად გაიმართა საღამო „ჰიმნი რუსთავს", ვიქტორინა-კონკურსი „ქართული წიგნთსაცავები საზღვარგარეთ" (საბ. ბიბლიოთეკა „ბუნების კარი", №23 სკოლა), №12 ბიბლიოთეკა „ჯეჯილში" პოეზიის ხუთი წუთი: „სიჭაბუკე და ლექსი ერთია"; ბავშვებმა წაიკითხეს თავიანთი საყვარელი პოეტების ლექსები. საბავშვო ბიბლიოთეკა „დილამ" შეხვედრა მოუწყო საბავშვო მწერლებს, ახალგაზრდობის ბიბლიოთეკაში ჩატარდა ნ. დუმბაძისადმი მიძღვნილი

ლიტ. საღამო: „მზიანი გულის მწერალი", სკოლა „ჩირაღდანთან" ერთად. საბავშვო ბიბლიოთეკა „ბუნების კარში" მოეწყო ნორჩ მხატვართა კონკურსი რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის" პერსონაჟების სურათებზე. №3 საქალაქო ბიბლიოთეკაში შედგა რუსთაველი მწერლების ნაწარმოებთა ბიბლიოგრაფიული მიმოხილვა ავტორთა მონაწილეობით.

29 აპრილს №1 საბავშვო ბიბლიოთეკაში მოეწყო ხელნაწერი ჟურნალის „ზღაპარ იყო, ზღაპარ იყო" პრეზენტაცია. ჟურნალი თვითონ ბავშვებმა დასურათეს. ბოლოს გაიმართა გართობა-თამაშობანი. ამ დღეს 27 ახალი მკითხველი შეემატა ბიბლიოთეკას.

30 აპრილს მოეწყო მწერალ გ. ჯახუას წიგნის „ცხენი თუ მოგიპარავს" პრეზენტაცია, №16 სკოლის VII-VIII კლ. მოსწავლეებთან ერთად.

კვირეულის განმავლობაში სისტემატურად ტარდებოდა საუბრები გამოფენებთან, კატალოგებთან, კარტოთეკებთან; შეკეთდა დაზიანებული წიგნები. დაბრუნებულ იქნა დაგვიანებული წიგნები. წიგნების მკითხველებს ვაცნობდით საცნობარო ლიტერატურით სარგებლობის წესებს.

უნდა აღინიშნოს, რომ ყველა მთავარ ღონისძიებაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ კულტურის განყოფილების გამგე ნ. კუპატაძე და კულტურის, სპორტისა და ტურიზმის დამოუკიდებელი პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარე ნ. ძიგუა და აი, 5 მაისს ცენტრალურ ბიბლიოთეკაში თავი მოიყარეს ქალაქის საზოგადოებამ, მკითხველებმა, მწერლებმა, პედაგოგებმა, წარმოება-დაწესებულების ხელმძღვანელებმა.



კვირეულის საზეიმო დახურვა. ქ. რუსთავის საბიბლიოთეკო გაერთიანების დირექტორს ქალაქის მერი მერაბ ტყეშელაშვილი საპატიო სიგელს გადასცემს.



საბავშვო ბიბლიოთეკა „დილა", №7 ფილიალი

ღონისძიება გახსნა კულტურის განყოფილების გამგემ ნ. კუპატაძემ. კვირეულის შედეგებზე ისაუბრა გაერთიანების დირექტორმა ე. ბურკვაძემ, ბიბლიოთეკის მუშაკებს მიესალმა ქალაქის მერი ბატონი მ. ტყეშელაშვილი. მან საპატიო სიგელით დააჯილდოვა საბიბლიოთეკო გაერთიანება და თანადგომა და დახმარება აღუთქვა ბიბლიოთეკას. ბიბლიოთეკის მუშაკებს აგრეთვე მიესალმნენ გაზეთ „რუსთავის" რედაქტორი ლ. ბარათელი, მწერალი მ. ჭოლოკავა, ჟურნალისტი თ. სიყმაშვილი. პოეტი მ. ცხვედიაშვილი, საქართველოს რესპუბლიკური საბავშვო ბიბლიოთეკის დირექტორი ინგა არგუტინსკაია, საქართველო საბიბლიოთეკო ასოციაციის წარმომადგენლები მზია რაზმაძე, დიმა ბუცხრიკიძე, საბავშვო ბიბლიოთეკის მკითხველი ქ. ტაბაღუა.

ღონისძიებაზე მოწვეულები იყვნენ ბიბლიოთეკის ყოფილი მუშაკები, რომლებიც ამჟამად პენსიაზე იმყოფებიან: ლია ოზბეთელაშვილი, ესმა გვიმრაძე, ეთერ დავითაშვილი.

დასასრულ, კულტურის განყოფილების გამგემ ნ. კუპატაძემ, კულტურის მუშაკთა პროფკავშირების თავმჯდომარემ ნ. ძიგუამ ფასიანი საჩუქრებით, დიპლომებით და მადლობის სიგელებით დააჯილდოვეს ბიბლიოთეკის მუშაკები,

რომლებიც სხვადასხვა ნომინაციებში გამარჯვებულები გამოვლინდნენ.

საბიბლიოთეკო კვირეული საკმაოდ მასშტაბური და დატვირთული იყო. ჩვენ კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, თუ როგორ უყვარს ქართველ კაცს წიგნი და ბიბლიოთეკა, თუ როგორ ახარებდათ ჩვენი წარმატება და გული სტკიოდათ იმის გამო, რომ წიგნი ნაკლებად შემოდის ბიბლიოთეკაში, ვერ ვიწერთ პერიოდულ გამოცემებს. მართალია, დღევანდელობის სიმწვავემ ჩვენს საცავებშიც შემოიხედა, მაგრამ მკითხველთა შორის მაინც არის ბიბლიოთეკის მიმართ დიდი სიყვარული, თანადგომა და დახმარების სურვილი, რომელმაც არაერთ მკითხველს თავისი წიგნობრივი ფონდიდან ბიბლიოთეკისათვის გადაალებინა წიგნები.

უნდა აღინიშნოს, რომ მთელი კვირეულის განმავლობაში ტელევიზიაში შუქდებოდა ბიბლიოთეკებში ჩატარებული ღონისძიებები. გაზეთ „რუსთავში" დაიბეჭდა 2 წერილი კვირეულის მიმდინარეობისა და შედეგების შესახებ.

დამთავრდა ზეიმი, მაგრამ ზეიმი ისევ გრძელდება, რადგან წიგნი თვითონ არის ზეიმი, და სიხარული, ადამიანის სულში გაცოცხლებული.

ნანა შუბითიძე
თბილისის მე-18 ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარი

# ბიბლიოთეკა ჩვენი მეორე ოჯახია

„წიგნები ჭკვიანი და გულითადი მეგობრები არიან, რომლებიც სწორ გზას გვიჩვენებენ, გვიცავენ შეცდომებისაგან, მათთან ერთად მარტო არა ხარ ბავშვობაში, სიჭაბუკესა და სიჭარმაგეში, ძლიერი ხარ", – ეს სიტყვები მწერალ ვანდა ვასილევსკაიას ეკუთვნის.

ეს სულისკვეთება დევს ჩემშიც და ჩემს კოლეგებში, რომელთა შესახებ მინდა მოგითხროთ. ჩვენი ბიბლიოთეკა ჩვენს მეორე ოჯახს წარმოადგენს, სადაც მართლაც ოჯახური საქმეების მსგავსად დაუსრულებელ, საკმაოდ მძიმე საქმიანობას ვეწევით, მაგრამ საკუთარი სურვილით, სიხარულით, შინაგანი მოწოდებით. ჩვენი საქმე სულიერებას გვაზიარებას და რომ ასე არა, ალბათ ვერ გადავლახავდით იმ სიდუხჭირეს, რომელსაც თითოეული ჩვენთაგანი განიცდის...

მე-18 ბიბლიოთეკა გლდანის დასახლებაში ერთ-ერთი პირველი და უძველესი ბიბლიოთეკაა, რომელიც მოსახლეობის დამკვიდრებისთანავე გადმოვიდა თავისი ფონდით და საშტატო ერთეულით დავით აღმაშენებლის გამზირიდან (მაშინ 25 ნომერი იყო), ამჟამად კი თბილისის ბიბლიოთეკების გაერთიანების მე-18 ფილიალად იწოდება (გლდანი, მე-8 მ/რ. 23-ე კორპ.).

ბიბლიოთეკაში მკითხველთა მოზიდვისა და წიგნის პროპაგანდისათვის ბევრი რამ კეთდება, რაც უპირველეს ყოვლისა, წიგნობრივი ფონდის მოვლით, დაცვით, გამდიდრებით იწყება და უარების მაქსიმალური შემცირებით მთავრდება.

ბიბლიოთეკის გამგე, რესპუბლიკის დამსახურებული ბიბლიოთეკარი, შრომის ვეტერანი ნათელა ჭყონიაა. ეს სულით-ხორცამდე თბილისელი, კეთილსინდისიერი ქალბატონია, რომელსაც უყვარს ფუტკარივით შრომა. მან კარგად

იცის წიგნის და კარგი მკითხველის ფასი. ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზის მუშაკი ნინო სისუაშვილი შრომის ვეტერანია. წიგნის გაცემას ემსახურებიან პირველი კატეგორიის ბიბლიოთეკარები: ნანა შუბითიძე-ბიაშვილი, მანანა ჯაფარიძე და ლამარა ბერაძე.

გლდანის ბიბლიოთეკების ტრადიცია მეგობრობაა. ვმეგობრობთ და ვთანამშრომლობთ გვერდით მყოფ წ/გაცვლითი ფონდის თანამშრომლებთან (გამგე იზოლდა ღარიბაშვილი, ბიბლიოთეკარები: მარინა გაფრინდაშვილი, ლია მარიამიძე, მაყვალა ვაჭრიძე და მანანა მიქაძე).

დღევანდელ გაუსაძლის დროში ვცდილობთ და ვშრომობთ იმისათვის, რომ ახალგაზრდობა არ ჩამორჩეს კითხვას, მათ უკეთესი პირობები შევუქმნათ სულის გადარჩენისათვის, რაც თავად საზოგადოების გადარჩენის საწინდარია. ამ მიზნით, ბიბლიოთეკაში ხშირად იმართება შინაარსიანი ღონისძიებები: ლიტერატურული საღამო, წიგნის პრეზენტაცია, პოეზიის საღამო, შეხვედრა და ა.შ.

ბიბლიოთეკის კვირეულთან დაკავშირებით 2003 წლის 23 აპრილს ჩავატარეთ მკითხველთა თვითშემოქმედების საღამო სათაურით „ეს ჩემი ფანტაზიაა". დარბაზის ინტერიერში მკითხველთა მიერ შესრულებული მეტად საინტერესო ნამუშევრები გამოვფინეთ. უჩვეულო გამოცოცხლება იგრძნობოდა იმ დღეს ბიბლიოთეკაში. ლამაზად მოწყობილ და ყვავილებით სავსე დარბაზში წარმოდგენილი იყო მხატვარ ნინო სიდამონიძის ტილოები, მე-12 საშ. სკოლის შრომითი პროფილის მოსწავლეთა ნამუშევრები. ამავე დროს შეკრებილ საზოგადოებას გავაცანით მკითხველების: ბესო ბესალაშვილის, სპარტაკ მელიქიშვილის, 71-ე საშ. სკოლის მოსწავლეების: ანა ქამუშაძის, თეონა ახვლედიანის ნაწერები. შემოქმედ ახალგაზრდებს მომავალი კეთილი გზა დავულოცეთ.

შთაბეჭდილებებით დატვირთულმა ახალგაზრდებმა ბიბლიოთეკის ალბომში ამ დღის მოსაგონრად ჩანაწერები გააკეთეს, რაც ბიბლიოთეკის დღევანდელი ცხოვრების ისტორიად დარჩება. ღონისძიებას უძღვებოდა ბიბლიოთეკის აქტიური მკითხველი, სამუსიკო სკოლის პედაგოგი ლია ზედგინიძე. მოწვეულ სტუმრებს შორის იყო 142-ე საშ. სკოლის ვაჟთა მეჩონგურეთა ანსამბლი პედაგოგ მალხაზ ჩილინდრიშვილის ხელმძღვანელობით და მე-12 სკოლასთან არსებული ცეკვის ანსამბლის „საყდრიონის" ბავშვები (ქორეოგრაფი ციური ბიაშვილი).

ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს თბგ-ს მეთოდისტებმა: ნელი ჯარიაშვილმა, ლუიზა ქუმელაშვილმა, თინათინ ჩაგანავამ, მკითხველებმა და მოწვეულმა სტუმრებმა.

ასეთი მშვენიერი დღეები არცთუ ისე იშვიათია ჩვენს ბიბლიოთეკაში, რასაც მომხმარებელთა მატება, მათი დაინტერესება მოჰყვება ხოლმე და ახალ-ახალი შემოქმედებითი შთაგონების წყარო ხდება. ასევე გვახალისებს მკითხველთა მიერ ჩაწერილი სამადლობლები. „დიდად კმაყოფილი ვარ მე-18 ბიბლიოთეკის თანამშრომელთა მომსახურებით. მადლობა აღნიშნული ბიბლიოთეკის დირექციას, რადგან უზრუნველყოფილნი ვართ საინტერესო წიგნებით", – აღნიშნავს მკითხველი ეთერ სუხიაშვილი. „თქვენი ხელით წიგნის ბაღს მიქსოვდით და დამილეთ თქვენს გულებში ბინა, ამან ისე დამიტოვა კვალი, ლამის სევდას მართლა მიეძინა", – საკუთარ ლექსს გვიძღვნის მკითხველი ვარა ზვერიაშვილი.

ხშირად ასეა: სადღაც ჩუმად, უპრეტენზიოდ (თითქმის უხელფასოდ!) ცხოვრობ, შრომობ, გიყვარს შენი საქმე, გიყვარს სიცოცხლე და ყოველივე ეს ხდება იმიტომ, რომ გრძნობ, როგორ სჭირდები ადამიანებს.

მანანა ზარიძე
მცხეთის სარაიონო ბიბლიოთეკის მეთოდისტი

# კვირეული ძალას იკრებს

ისევე, როგორც გასულ წელს, პირველი საბიბლიოთეკო კვირეულის დროს, წელსაც მცხეთის რაიონში ჩვეული ენერგიით და მონდომებით ჩატარდა საბიბლიოთეკო კვირეული. ჩატარდა მრავალი საინტერესო საბიბლიოთეკო ღონისძიება: შეხვედრა, თემატური საღამო, პოეზიის საღამო, გაკვეთილი ბიბლიოთეკაში, მხატვართა



გამოფენა და ა.შ.

ცენტრალურ ბიბლიოთეკაში მოეწყო:

მცხეთელი კერამიკოსების ნამუშევრების გამოფენა, მოწვეული იყო სასულიერო პირი, რომელმაც ისაუბრა დიდ საეკლესიო დღესასწაულებზე, ჩატარდა ბიბლიოგრაფიული მიმოხილვა გურამ ფანჯიკიძის დაბადების 70 წლისთავთან დაკავშირებით, თემატურ-ლიტერატურული საღამო წიგნის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, პოეზიის საღამო, რომელიც მიეძღვნა იოსებ ნონეშვილის ცხოვრებასა და შემოქმედებას.

ბიბლიოთეკაში სტუმრად იყვნენ პოეტის ოჯახის წევრები.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ბავშვებთან მუშაობას – სარაიონო საბავშვო ბიბლიოთეკაში კვირეული 21 აპრილს დაიწყო. ამ დღეს მაყვალა მრევლიშვილის სახელობის სარაიონო საბავშვო ბიბლიოთეკამ ტრადიციული ღონისძიება ჩაატარა სახელწოდებით „ჩვენი ბიბლიოთეკა“. მასში მონაწილეობდნენ N1 ბაგა-ბაღის აღსაზრდელები და N1 საშუალო სკოლის II კლასის მოსწავლეები. პატარებმა წაიკითხეს მ. მრევლიშვილის ლექსები, მოისმინეს ჩვენი თანაქალაქელი დიდი ქალბატონის ბიოგრაფია. საბავშვო ბიბლიოთეკაში საინტერესო გამოფენაც მოეწყო. ამჯერად ტყუპი ძმების ლაშა და გიორგი ცერცვაძეების ფერწერულმა ნამუშევრებმა დაამშვენა ბიბლიოთეკის კედლები. კვირეულის პროგრამით მოეწყო შეხვედრა საბავშვო პოეტ ალ. დიღებაშვილთან.

მასობრივ ღონისძიებებში ბიბლიოთეკამ ახალი ფორმა გამოიყენა – „გაკვეთილი ბიბლიოთეკაში“, რომელიც მიეძღვნა ნ. დუმბაძის 75 წლისთავს.

გაკვეთილი ჩაატარა ლ. გოთუას სახელობის არასრული საშ. სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა მარინა ბენგლიანმა. ღონისძიების ეს ფორმა მოწონებული იქნა. განათლების განყოფილებამ სურვილი გამოთქვა, ეს ფორმა სასკოლო ბიბლიოთეკებშიც დანერგონ.

30 აპრილს ძველი ქანდის სასოფლო ბიბლი-



ოთეკაში (გამგე მ. თათარაშვილი) კვირეულის პროგრამით გაიმართა ღონისძიება „მამული, ენა, სარწმუნოება“, რომელშიც ძირითადად ძველი ქანდის სკოლის ქართველი და ასირიელი მოსწავლეები მონაწილეობდნენ.

30 აპრილს მისაქციელის სასოფლო ბიბლიოთეკამ შეხვედრა მოუწყო მწერალ ალ. ღიღიბაშვილს.

24 აპრილს ქსოვრისის სასოფლო ბიბლიოთეკაში ჩატარდა პოეზიის საღამო: „გ. ლეონიძის ცხოვრება და შემოქმედება“

23 აპრილს ვაზიანის სასოფლო ბიბლიოთეკამ ნ. დუმბაძის ცხოვრებასა და შემოქმედებას მი-



უძღვნა თავისი ღონისძიება.

კვირეულის დღეებში მონაწილეობა მიიღო მცხეთის რაიონის ქსელში შემავალმა ყველა ბიბლიოთეკა-ფილიალმა.

# საბიბლიოთეკო კვირეული ფოთში

საუცხოო ტრადიცია იკიდებს ფეხს საქართველოში – ქვეყნის მასშტაბით ყოველწლიურად ჩატარდეს საბიბლიოთეკო კვირეული. ამ შესანიშნავი იდეის ორგანიზატორი და სულისჩამდგმელები, რა თქმა უნდა, ბევრ კონკრეტულ მიზანს ისახავდნენ. ამაზე საუბარი შორს წაგვიყვანდა, მაგრამ ერთი რამ უდავოა: კვირეულის ყოველმა დღემ დაუვიწყარი წუთები აჩუქა წიგნის მოყვარულთ. ქართული სიტყვის ზეიმი, წიგნის ზეობა, აღმაფრენა – სხვა რა შეიძლება უწოდო ქ. ფოთში ჩატარებულ საბიბლიოთეკო კვირეულის შთამბეჭდავ დღეებს (საბიბლიოთეკო გაერთიანების დირექტორი ნ. ჭელიძე). ერთი ახალგაზრდა ფოთელი პოეტის თქმისა არ იყოს, აქ „სა-



ქართველო იღვრებოდა ლამაზ ღიმილად“. სადლა იყო ორი ბანაკი: ბიბლიოთეკა და მკითხველი. ქართველობა ბჭობდა თავის წარსულზე, დღევანდელობაზე, ეძებდა სამომავლო გზებს. როგორ უმსუბუქებდა განვლილი გზითა და სულ ახალი, მოუშუშებელი ჭრილობებით გამოწვეულ ტკივილებს ქართული პოეზიის შელ-



ვრები, განუმეორებელი ქართული ჰანგები. ქალაქის ბიბლიოთეკების სასახელოდ ერთი ფაქტიც კი კმარა: როგორც უწინ ქუდზე კაცს, ისე მოუხმეს მკითხველს. დანარჩენი „ვეფხისტყაოსნის" შემქმნელმა ერმა- შემოქმედმა წარმართა. ასე იყო მთელი კვირეულის მანძილზე. ბიბლიოთეკებში ჩატარებული ღონისძიებები გახლდათ შეხვედრები ყველა თაობის წარმომადგენლებისა, რომელთა საუბრის, მსჯელობის საგანს ბიბლიოთეკართა მიერ მიწოდებული თემა წარმოადგენდა, მკითხველთა მიერ მრავალმხრივ რომ იშლებოდა. ეს იყო ჭეშმარიტად დაუვიწყარი დღეები. ადამიანზე წიგნის ზემოქმედების უძლეველობა კიდევ ერთხელ დადასტურდა.

21 აპრილს ქ. ფოთის N1 ბიბლიოთეკაში დამსწრე საზოგადოება დაატყვევა ქართულმა ფოლკლორმა (ბიბლიოთეკის გამგე ნ. ნადარეიშვილი). პატარა დეკლამატორთა მიერ წაკითხული ხალხური პოეზიის მარგალიტები ღრმად სწვდებოდა გულში მსმენელთ.

22 აპრილს ქალაქის N7 და N8 ბიბლიოთეკებმა (გამგეები ნ. სანაძე და მ. შამათავა) გ. დოჩანაშვილის შემოქმედება აქციეს მკითხველი საზოგადოებისათვის განხილვის საგნად, რამაც საინტერესო ვითარებაში ჩაიარა.

23 აპრილს N6 ბიბლიოთეკაში ჩატარებულ ღონისძიებას (ბიბლიოთეკის გამგე შ. კობახიძე) „ბურჯი ეროვნებისა" სხვა რა შეიძლება ეწოდოს, თუ არა ქებათაქება ქართული ენისა, „დედაენისა", სასწაულების სამყაროში რომ შეჰყავს პატარა ქართველი და უფრთხილდება, ზამთრის სუსხმა არ დაზაროს მისი ნაზი სული. ეს განწყობილება სუფევდა იმ დაუვიწყარ დღეს ბიბლიოთეკაში.

24 აპრილს ცენტრალურ ბიბლიოთეკაში შეხვედრა მოეწყო პოეტ თენგიზ რამიშვილს. დიდი ინტერესით ისმენდა დამსწრე საზოგადოება ბ-ნ თენგიზის ლექსებს, რომელთა ლირიკული გმირი იმ დღეების გმირიც გახლდათ – თავად პოეტი. აღმაფრენითა და გზნებით აჰყვა მკითხველი თ. რამიშვილის სიტყვის ძალას. ქართველი კაცი, პოეზიის მზით გათანგული, ხომ ყოველთვის მწვერვალებს ეტანებოდა. ასე იყო იმ დღესაც.

25 აპრილს ვაჟას პოეზიით სუნთქავდა ყველა N2 ბიბლიოთეკაში (გამგე ა. ინაური).

30 აპრილს N3 ბიბლიოთეკაში (გამგე ი. მერელაშვილი) ჩატარდა ღონისძიება: „კ. გამსახურდია – „ლანდებთან ლაციცი". ამაღელვებელი და სულისშემძვრელი იყო ეს თემა მკითხველი საზოგადოებისათვის. იმ დღეს ამან განაპირობა ხალხმრავლობა ბიბლიოთეკაში და მისი აქტიური მონაწილეობა აღნიშნული თემის ირგვლივ გამართულ სჯა-ბაასში.

1 მაისს კი ცენტრალური ბიბლიოთეკის დარბაზში საზეიმო ვითარებაში მოეწყო ქ. ფოთში ჩატარებული საბიბლიოთეკო კვირეულის დახურვა, რომელსაც საზოგადოებრიობის წარმომადგენლებთან ერთად ესწრებოდნენ ქალაქის კულტურის სამსახურიდან მობრძანებული საპატიო სტუმრები. მათ სიგელებითა და ფასიანი საჩუქრებით დააჯილდოვეს ბიბლიოთეკარები, მკითხველები კვირეულის მაღალორგანიზებულ



დონეზე ჩატარებისა და აქტიური მონაწილეობისათვის. კვირეულის დახურვის ცერემონიალს დაემთხვა N5 ბიბლიოთეკის მიერ (გამგე ქ. ფანცხავა) ჩატარებული ლიტერატურული საღამო „საუნჯე სათნოებისა" („ფრესკის ღიმილი"). ...და კვლავ ფიქრები ჩვენი მამულის წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე, ქართული სიტყვის მადლზე, ძალაზე, რომელიც ყველგან ხმიანობს, სადაც კი გაჰქუხს რუსთველის „ვეფხისტყაოსანი" – „გმირობის და უკვდავების ზღვა – პირი", „სიბრძნისა და სილამაზის წიგნი".

2003 წლის აპრილის მიწურულს ქ. ფოთში ჩატარებული საბიბლიოთეკო კვირეულის მესვეურთ და მონაწილეებს თამამად შეუძლიათ განაცხადონ მთელი ქვეყნის გასაგონად, რომ საქართველოს კარიბჭესთან მტკიცედ დგას საიმედო ციხიონი: ქრათული წიგნი და ქართველი მკითხველი. ამ არაჩვეულებრივ დღეებში ქალა-



ქის საბიბლიოთეკო გაერთიანებამ ერთხელ კიდევ გადასძახა სრულიად საქართველოს:

„ეჰეი, სიმღერით ყელს იღადრავს შენი
მგოსანი,
ვაზით და ფრესკით ჩემი მხარე მარად
იცნობა
და საქართველოს ციხეებზე მზის შუბოსანი,
დგას მეციხოვნე მარადისობა!"

ნ. არეშიძე
თერჯოლის საბიბლიოთეკო გაერთიანების დირექტორი

# დღეები — ენერგიის წყარო

*რედაქციისაგან:*

*საყოველთაოდ ცნობილია, რომ თერჯოლის რაიონი გამოირჩევა საბიბლიოთეკო სისტემის კარგი მუშაობით. ეს მნიშვნელოვანწილად განპირობებულია რაიონის ხელმძღვანელობისა და ცენტრალური ბიბლიოთეკის დირექტორის მაღალი პროფესიული და გულმოდგინე საქმიანობით. მოწოდებული მასალიდან ჩანს, რომ რაიონში საბიბლიოთეკო დღეებს ჰქონდა არა მარტო საქმიანი, საზეიმო ხასიათიც, რაც დამახასიათებელი უნდა იყოს ამ ღონისძიებისათვის. განსაკუთრებით დასაფასებელია ის, რომ ადგილობრივმა მმართველობითმა ორგანოებმა გამონახეს საშუალებები, მათივე ინიციატივით აღენიშნათ ბიბლიოთეკის მუშაკთა ღვაწლი — დაეჯილდოვებინათ განსაკუთრებით გამორჩეული სპეციალისტები. თერჯოლელთა ეს ინიციატივა უდავოდ მისაბაძია.*

საქართველო ბიბლიოთეკების კვირეული „თქვენი ბიბლიოთეკა", რომელიც დაგეგმილი იყო საქართველოს საბიბლიოთეკო და ინფორმაციის სპეციალისტთა ასოციაციების მიერ, თერჯოლის რაიონში ჩატარდა 20 აპრილიდან 27 აპრილამდე. მან მოიცვა მთლიანად რაიონის საბიბლიოთეკო სისტემა და სასკოლო ბიბლიოთეკები. შემუშავდა კვირეულის ჩასატარებელი გეგმა-პროგრამა. შეიქმნა საორგანიზაციო კომიტეტი და 20 აპრილიდან დაიწყო კიდევაც რაიონის საბიბლიოთეკო ქსელში კვირეულისადმი მიძღვნილი ღონისძიებები. ღონისძიებები იყო თემატურად მრავალფეროვანი, ძირითადად ლიტერატურულ-მხატვრული და ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიციები. ამას გარდა ტარდებოდა საღამოები — თეოლოგიური საღამო, მკითხველთა კონფერენციები და სხვა. საჩვენებელი ღონისძიება ჩატარდა 5 სოფელში, რომლებსაც რაიონიდან ესწრებოდნენ საორგანიზაციო კომისიის წევრები და გამგეობის წარმომადგენლები. სკოლებში მივლინებული იყვნენ ცენტრალური და საბავშვო ბიბლიოთეკის მუშაკები, რაიონის და საკრებულოს წარმომადგენლები. ღონისძიებები ყველა სოფელში საჩვენებელ ღონისძიებების დონეზე ჩატარდა. 12 მაისს თერჯოლის საბავშვო ბიბლიოთეკამ ჩაატარა თეოლოგიური საღამო თემაზე „ენა, მამული, სარწმუნოება", ხოლო 15 მაისს თერჯოლის ც/ ბიბლიოთეკაში ჩატარდა შემაჯამებელი ღონისძიება. განხილული იქნა სოფლების ბიბლიოთეკების მიერ ჩატარებული ღონისძიებები, ღირსეულთ გადაეცათ სამადლობელი სიგელები და ჯილდოები, შემაჯამებელი მუშაობის შემდეგ ც/ ბიბლიოთეკის მუშაკებმა, მკითხველთა აქტივისტებმა წარმოადგინეს ლიტერატურულ-მხატვრული კომპოზიცია „დიდი ჰუმანისტი მწერალი და საზოგადო მოღვაწე დ. კლდიაშვილი."

მოეწყო ექსკურსიები დ. კლდიაშვილის სახლ-მუზეუმში, სადაც კულტურის სახლის მუშაკებმა წარმოადგინეს ესკიზები დ. კლდიაშვილის ნაწარმოების მიხედვით. რამდენადაც საბიბლიოთეკო კვირეული სიმბოლურად წიგნის საერთაშორისო დღეს დაემთხვა, ჩატარებულ ღონისძიებებში წინა პლანზე იყო წამოწეული ის მიზნები და მისია, რასაც საბიბლიოთეკო ასოციაცია ამ კვირეულის ჩატარებაში ითვალისწინებდა. ეს გახლდათ ის, რომ უკეთ შევისწავლოთ ჩვენი მკითხველების მოთხოვნილებები, გავაუმჯობესოთ მომსახურება და ხელი შევუწყოთ ბიბლიოთეკებთან საზოგადოების თანამშრომლობას, ახალი ფორმების დანერგვას, ბიბლი-

ოთეკების კულტურის, განათლების, განვითარებისა დასვენების კერებად გადაქცევას.

შეიძლება ითქვას, რომ რაიონში კვირეულმა საყოველთაო სახალხო ზეიმის სახე მიიღო და მართლაც პროფესიულ დონეზე ჩატარდა, რისთვისაც საორგანიზაციო კომიტეტის რაიონულმა გამგეობამ და საკრებულომ მადლობა გამოუცხადა კვირეულის ორგანიზატორებს. განსაკუთრებული ხიბლითა და მაღალი დონით გამოირჩეოდა შემაჯამებელი ღონისძიება, რომელიც გაამდიდრა და საინტერესო გახადა საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციიდან ჩამოსულმა სტუმრებმა.

ც/ ბიბლიოთეკის, კულტურის რაიონის განყოფილების, კუტურის სამინისტროს და საბიბლიოთეკო ასოციაციის წარმომადგენლებმა დააჯილდოვეს რაიონის საბიბლიოთეკო მუშაკები, ღვაწლმოსილი ბიბლიოთეკარები, სოფლის საკრებულოს თავმჯდომარეები, რომლებიც განსაკუთრებულ ყურადღებას და დახმარებას უწევდნენ მათ ტერიტორიაზე მდებარე ბიბლიოთეკის მუშაკებს, ასეთები არიან: სერგო კირკიტაძე, ტარიელ ფანჩულიძე, სამახსოვრო სიგელებით დაჯილდოვდნენ ერთგული მკითხველები: რუსუდან უსუფაშვილი, თინათინ იამანიძე, ნიკოლოზ ქოჩიაშვილი. კულტურის სამინისტრომ დააჯილდოვა ც/ ბიბლიოთეკის მთავარი ბიბლიოთეკარი დ. კვატაია, ღვანკითის სას. ფილიალის გამგე ს. აბულაძე, ზედა სიმონეთის ბიბლიოთეკის გამგე ზინა ქოჩიაშვილი. რუსოთის ბიბლიოთეკის გამგე ნ. ღიბრაძე.

საბიბლიოთეკო ასოციაციამ წარმატებული მუშაობისათვის დააჯილდოვა ც/ ბიბლიოთეკის მომსახურების განყოფილების გამგე ნარგიზი წიწილაშვილი, მეთოდური ბიბლიოგრაფიული განყოფილების გამგე მავრა გურაბანიძე, დაკომპლექტება-დამუშავების განყოფილების გამგე მანანა ჭანტურიძე, სოფ. ძირის ბიბლიოთეკის გამგე მადონა აბულაძე.

ღონისძიებებმა თავისი შინაარსით და მრავალფეროვნებით ძალზედ მადლიერი და კმაყოფილი დატოვა როგორც მონაწილე, ისე სტუმარი და მასპინძელი. შეიძლება ითქვას, რომ იგი კულტურის მუშაკთა, ბიბლიოთეკართა და, საერთოდ, რაიონის ინტელიგენციის ნამდვილ ზეიმად იქცა.

კვირეულის ასე კარგად მომზადებასა და ჩატარებაში საბიბლიოთეკო მუშაკებს მხარში ედგა კულტურის გამგე ლია ხუსკივაძე, რომელმაც თავისი ენერგიული საქმიანობით და ავტორიტეტით მრავალი პრობლემის მოგვარებაში დაეხმარა საორგანიზაციო კომიტეტს.





დარეჯან კოტეტიშვილი
ბიბმცოდნ. და ბიბლიოგრ. კათედრის უფროსი მასწავლებელი

# კვირეული მეაბრეშუმეობის ბიბლიოთეკაში

1883 წლის 26 აპრილს მეფის რუსეთმა გამოსცა კანონი კავკასიის სოფლის მეურნეობის წარმოების განვითარების შესახებ. ამ კანონის შესრულებაზე ზრუნვა დაევალა სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს.




ქონების მართვის მინისტრებმა მიხეილ ოსტროვსკიმ მოინახულა კავკასია. მან გადაწყვიტა, რომ თბილისში შექმნილიყო სპეციალური დაწესებულება – მეაბრეშუმეობის სადგური, რომლის ამოცანა იქნებოდა დაემზადებინა ჯანსაღი გრენა და მოსახლეობისათვის ესწავლებინა მეაბრეშუმეობის საქმის მოწყობა. მინისტრმა დაავალა ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე შავროვს, ეზრუნა გადაწყვეტილების განხორციელებისათვის.

ნ.ნ. შავროვი დაიბადა 1858 წელს ქალაქ ნიკოლაევში, ხერსონის გუბერნიაში. ლიცეუმის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო მოსკოვის საიმპერატორო უნივერსიტეტში ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის ბუნებისმეტყველების



განყოფილებაზე. მისი დამთავრების შემდეგ, მუშაობა დაიწყო თბილისის კონტროლის პალატაში, შემდეგ სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროში. 1885 წელს ორი წლით მივლინებული იყო მეაბრეშუმეობის შესასწავლად იტალიაში, საფრანგეთში, ავსტრია-უნგრეთსა და გერმანიაში.

შავროვი საზღვარგარეთიდან დაბრუნების შემდეგ – 1887 წელს, დანიშნულ იქნა კავკასიის მეაბრეშუალების სადგურის გამგედ.

მეაბრეშუამეობის სადგურის დაარსებისთანავე მან საფუძველი ჩაუყარა ბიბლიოთეკა-მუზეუმს.

ბიბლიოთეკა თავდაპირველად დაკომპლექტდა საზღვარგარეთის ქვეყნებიდან შემოწირული ლიტერატურით, რასაც მოწმობს 80 ქალაქში 26 ენაზე გამოცემული უძველესი წიგნები. ამჟამად ბიბლიოთეკა რეგულარულად არ ღებულობს ახალ ლიტერატურას, მაგრამ ბიბილიოთეკის გამგე ქ-ნ ლილი შეძლებისდაგვარად ავსებს ბიბლიოთეკის ფონდს, ახალი ლიტერატურით.

1979 წლიდან ბიბლიოთეკას ხელმძღვანელობს საქართველოს საპატიო ბიბლიოთეკარი ლილი ჯანგველაძე. ის ცდილობს ბიბლიოთეკის უნიკალური ფონდი გააცნოს ფართო საზოგადოებას. აწყობს შეხვედრებს გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეებთან, მწერლებთან, პროფესიონალებთან, ნოვატორებთან და სხვა დარგის გამოჩენილ სპეციალისტებთან.



მეაბრეშუმეობის ბიბლიოთეკამ ახლახანს მონაწილეობა მიიღო საქართველოს ბიბლიოთეკის კვირეულში.

22 აპრილს ბიბლიოთეკის კვირეული საზეიმოდ გახსნა ბიბლიოთეკის დირექტორმა ლ. ჯანგველაძემ.

მეაბრეშუმეობის სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი აკადემიკოსი გიორგი ნიკოლეიშვილი მიესალმა ღონისძიების მონაწილეებს და გააცნო ინსტიტუტის სტრუქტურა და გეგმები.

ბიბლიოთეკის ისტორიის მოკლე მიმოხილვა გააკეთა მთავარმა ბიბლიოთეკარმა მადონა ბოგვერაძემ.

დარბაზში სტენდზე გამოფენილი იყო უნიკალური წიგნები, რომლებმაც სტუმრების დიდი ყურადღება მიიპყრო. კერძოდ, 1601 წელს ბერძნულ ენაზე გამოცემულმა ეტრატის ყდიანმა წიგნმა, რომლის ავტორია პატრიარქი ფოტიუსი; 2816 გვერდიანმა ინგლისური ენის ლექსიკონმა, რომელიც გამოცემულია 1935 წელს ნიუ-იორკში და ლონდონში; ინგლისურ ენაზე მებაღეობის ლექსიკონმა, რომელიც დაბეჭდილია ჯვარისნიშნიან ქაღალდზე; ბრინჯის მერქნისაგან დამზადებულ ქაღალდზე დაბეჭდილმა ჩინურმა გრავიურებმა, რომლებიც ასახავს მეაბრეშუმეობის წარმოაების პროცესს; კავკასიის მეაბრეშუმეობის სადგურის მიერ გამოცემულმა ორტომეულმა ცნობარმა, რომელიც მოიცავს 1887-1900 წწ. და სხვა.

მეაბრეშუამეობის ბიბლიოთეკის კვირეულის ღონისძიებას ესწრებოდნენ: აფხაზეთის კულტურისა და განათლების მუშაკები, სააქციო საზოგადოება „საქაბრეშუმის" თანამშრომლები, ქ. სოხუმის სუპტროპიკული მეურნეობის სამეცნიერო ბიბლიოთეკის თანამშრომლები, მეაბრეშუმეობის სასწავლო კვლევითი ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები. სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტიდან ჩემთან ერთად გახლდათ ბიბლიოთეკის დირექტორი თინათინ ჯაჭვაძე. ბიბლიოთეკას საჩუქრად გადავეცი ჩემი ძმის – პროფ. ფარნაოზ კოტეტიშვილის ავტორობით გამოცემული წიგნები – „ილია ჭავჭავაძის პოეზიის პოეტიკა" (თბ., 1996) და „ქართული პროზის პოეტიკა" (თბ., 2002).

მეაბრეშუამეობის ბიბლიოთეკაში საქართველოს ბიბლიოთეკის კვირეულის სათანადო დონეზე ჩატარებისათვის იზრუნა მეაბრეშუამეობის საკოორდინაციო ცენტრის „აბრეშუმის სახლის" გენერალურმა დირექტორმა ზაურ ასათიანმა.



ნანა გოგოხია-არჩვიშვილი
თბილისის 182-ე სკოლის ბიბლიოთეკარი

# სასკოლო ბიბლიოთეკა მოსწავლე მკითხველთა სამსახურში

ცივილიზებული საზოგადოება ბიბლიოთეკის გარეშე არასოდეს ყოფილა. პიროვნების აღზრდა-ჩამოყალიბებაში წიგნი და კითხვა უდიდეს როლს ასრულებს. წიგნი ადამიანთა ურთიერთობის ჯაჭვის ისეთი რგოლია, რომელიც არასოდეს იჟანგება. მასში იმდენი სინათლეა, ყველას გადასწვდება, ვინაც მოინდომებს ამ სინათლის მადლით გონების განათებას. წიგნები იძლევიან ცოდნას, წიგნები კი, უპირველეს ყოვლისა, სასკოლო ბიბლიოთეკაშია თავმოყრილი. წიგნი და ბიბლიოთეკა არა მარტო სასწავლო დისციპლინების ათვისებაში ეხმარება მოზარდებს, არამედ ხელს უწყობს სულიერი სამყაროს გამდიდრებას. ცოდნა, რომელიც სკოლაში მიიღება, მუდმივად უნდა შეივსოს კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურის მეშვეობით. სწორედ სასკოლო ბიბლიოთეკის ძირითადი ამოცანაც ეს გახლავთ.

სასკოლო და კლასგარეშე საკითხავი მასალა მოსწავლეს უნდა მიეწოდოს ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით, პრინციპით – „მარტივიდან – რთულისაკენ“. მოზარდი თაობის მომზადება მრავალმხრივია, უწინარეს ყოვლისა, მოითხოვს, რომ მოსწავლეები სკოლაში სრულყოფილად დაეუფლონ მშობლიურ ენასა და ლიტერატურას. ამ მიმართულებით სასკოლო ბიბლიოთეკის ამოცანაა, შეუქმნას მოსწავლეებს სიტყვების საჭირო მარაგი. რაც უფრო მდიდარია მოსწავლეთა ლექსიკური მარაგი, მით უფრო წარმატებით შეუძლია მათ დაეუფლონ ყოველ დისციპლინას.



ქ. თბილისის №182-ე საშუალო სკოლის ბიბლიოთეკას 30 კვ.მ. ფართობი უჭირავს. წიგნადი ფონდი მთლიანად დამუშავებულია ათწილადი კლასიფიკაციის სქემის მიხედვით. დიდი ხანია დავამთავრეთ რეინვენტარიზაცია. ფონდი განლაგებულია ასაკობრივი პრინციპის მიხედვით: I-II; III-IV; V-VI; VII-VIII კლასები. მოწყობილი გვაქვს ლიტერატურის გამოფენები „ჩვენი საუკუნე გვიცავს უახლესი“, „ენა, მამული, სარწმუნოება“, „დედა ენის შემოქმედი“, „ოდესმე დიდი ყოფილა საქართველო“ და სხვა. გვაქვს სარეკომენდაციო სიები.

განვითარებულმა საზოგადოებამ კარგად იცის წიგნის და განსაკუთრებით ბიბლიოთეკის ფასი. მას კარგად მოეხსენება, რაც არის ბიბლიოთეკის მისია, და იცის მისი ღვაწლი ადამიანის გონებისა და თვალსაწიერის გამდიდრების საქმეში. სკოლის ბიბლიოთეკას უმნიშვნელოვანესი როლი აკისრია ბავშვების სულიერი სამყაროს ჩამოყალიბებაში. სწორედ – სკოლის ბიბლიოთეკას მიუძღვის ლომის წილი ბავშვთა განვითარებასა და შემეცნებაში. იგი განაპირობებს მოზარდების გაცნობიერებულ, მდიდარ, სულიერი სამყაროს მქონე ადამიანებად ჩამოყალიბებას.

სკოლის ბიბლიოთეკას გააჩნია ბიბლიოთეკის საბჭო, რომელიც შედგება 5 წევრისაგან. მათ ევალებათ ბიბლიოთეკისთვის მნიშვნელოვანი საქმეების მოგვარება და აქტუალური საკითხების განხილვა. სკოლის ბიბლიოთეკას ჰყავს აქტიური მკითხველები, რომელთა შემადგენლობაც წარმოდგენილია აქტიურ მკითხველთა დაფაზე.

სამკითხველო დარბაზი გაფორმებულია მოსწავლის ლილი სარკიაშვილის ნახატებით.

ა/წ 23 აპრილს, წიგნის საერთაშორისო დღეს, 182-ე საშ. სკოლის მოსწავლეებმა სკოლის ბიბლიოთეკის თაოსნობით კიდევ ერთხელ წარმოაჩინეს ბიბლიოთეკისა და ბიბლიოთეკარის ღვაწლი მოსწავლეთა განვითარების საქმეში.

გაიმართა ლიტერატურული დილა. „წიგნთან ერთად, წიგნის სიყვარულით“.

ღონისძიება მრავალწახნაგოვნად განვითარდა. საუბარი შეეხებოდა არა მარტო წიგნებსა და მათ სარგებლობას, არამედ ბავშვებმა გამოავლინეს ვოკალური და ქორეოგრაფიული ნიჭიერება. დიდი მოწონება დაიმსახურეს მოცეკვავეებმა – მოსწავლე ელგუჯა ჯანდელიანმა, და-ძმა გიორგი და ნატო ბადრიაშვილემა და აგრეთვე მომღერალთა გუნდმა.

თავიანთი დიდი სიყვარული წიგნებისა და ბიბლიოთეკის მიმართ წარმოაჩინეს ბავშვებმა ლექსებისა და მოხსენების კითხვით.

დიდი მოწონება დაიმსახურეს: სოფიო ბოლქვაძემ ლექსებით ტ. ტაბიძის „ჩემი წიგნი“ და გ. წერეთლის „წიგნი – ცოდნის წყარო“, მოსწავლეებმა ნათია ონიანმა, ლამარა სამაშვილმა, ნათია ბერუჩაშვილმა, გიორგი ჩაფიძემ, გიორგი ძიძიკაშვილმა, მარიტა კოჭლამაზიშვილმა, ჯულიეტა სხილაძემ, მარიამ ჩუბინიძემ და სხვებმა. I-II კლ. ბავშვებმა მხატვრულად წარმოთქვეს ლექსები წიგნებზე.

გარდა ამისა, სოფიო ბოლქვაძემ, ნათია ონიანმა, ლამარა სამაშვილმა და ნათია ბერუჩაშვილმა გააკეთეს საინტერესო მოხსენებები წიგნისა და ბიბლიოთეკის მნიშვნელობასა და დანიშნულებაზე.



**თბილისის 182-ე საშუალო სკოლაში**

ჩვენს ლიტერატურულ დილას ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრები დახელოვნების ინსტიტუტიდან, ჩვენი სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე აღმზრდელობით დარგში მაია ჩიკვაიძე და სხვა მასწავლებლები.

მოწვეული სტუმრები არ იშურებდნენ საქებარ სიტყვებს ჩვენი სკოლის ნიჭიერი მოსწავლეების მიმართ, რაც ჩვენ ხალისს და ენთუზიაზმს გვმატებს.

ჩვენს ლიტერატურულ დილას „წიგნთან ერთად, წიგნის სიყვარულით“, უმნიშვნელოვანესი მისია ჰქონდა დაკისრებული – მას უნდა დაეცვა არა მარტო სკოლის პრესტიჟი, არამედ წარმოეჩინა ბიბლიოთეკის როლი და მნიშვნელობა ამ მისიას ბავშვებმა მშვენივრად გაართვეს თავი.

მოწვეულ სტუმრებს დასწრებისათვის, აგრეთვე ღონისძიების ორგანიზატორებს მთელი სკოლის სახელით მადლობა გადაუხადა აქტივის თავმჯდომარემ სოფიო ბოლქვაძემ.

მშვენივრად ჩაიარა ამ ლამაზმა ღონისძიებამ. იგი ნამდვილად დიდხანს ემახსოვრებათ მის მონაწილეებს.

ნ. ნეფარიძე
სახელმწიფო საბავშვო ბიბლიოთეკის განყოფილების გამგე

# ბიბლიოთეკის კვირეული ლადო ასათიანის სახელობის სახელმწიფო საბავშვო ბიბლიოთეკაში

ბიბლიოთეკის კვირეულს და აწ უკვე ტრადიციად ქცეულ ბიბლიოთეკის დღეს (30 აპრილი) ბიბლიოთეკის კოლექტივმა შემოქმედებითად დატვირთული კვირა მიუძღვნა.

კვირეულის შესახვედრად ბიბლიოთეკაში გაცხადალისდა გამოფენები, დაიგეგმა და მომზადდა რამდენიმე მასობრივი ღონისძიება, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი, მაგრამ ერთი საერთო მიზნით გაერთიანებული –

1) ლიტერატურული დილა – „ქართული სიტყვის თილისმა" (ი. ნონეშვილი – 85) – 7 აპრილი, სოფ. დიღომის საბავშვო ბიბლიოთეკა

2) ლიტერატურული დილა – „გახსენება – 9 აპრილი" – 10 აპრილი, სახელმწიფო საბავშვო ბიბლიოთეკა

3) ლიტერატურული დილა – „ეს სიყვარული საუბრობს ღმერთთან" (სიყვარულის დღისადმი) – 15 აპრილი – სახელმწიფო საბავშვო ბიბლიოთეკა

4) ლიტერატურული დილა – „ქართული ლექსის მეჯლისი" (ი. ნონეშვილი – 85) – 18 აპრილი – 179-ე სკოლა

5) შეხვედრა პოეტებთან – ბიტა აბშილავა, ლალი ჯაფარაშვილი – 22 აპრილი – სახელმწიფო საბავშვო ბიბლიოთეკა.

6) წიგნის პრეზენტაცია – „ქართული მითების სამყარო" – 23 აპრილი – სახელმწიფო საბავშვო ბიბლიოთეკა.





7) მუსიკალური შოუ – „იმღერე რამე" – 24 აპრილი – სახელმწიფო საბავშვო ბიბლიოთეკა.

8) ლიტერატურული კომპოზიცია – „გაზაფხულია ჩემს ქვეყანაში" (ალ. მირცხულავა – 100) – 24 აპრილი – მწერალთა კავშირი, დიდუბის პანთეონში.

9) გვიზიარებენ გამოცდილებას –

– საქ. საბიბლიოთეკო ასოციაციის პრეზიდენტი – ი. ლარიბაშვილი.

– საინფორმაციო ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი – გ. შათირიშვილი.

– მ. გელოვანის სახ. ახალგაზრდობის ბიბლიოთეკის დირექტორი – ო. შოთაშვილი.

30 აპრილი – სახელმწიფო საბავშვო ბიბლიოთეკა.

ბიბლიოთეკის თითოეულ თანამშრომელს კარგად აქვს გაცნობიერებული კლასგარეშე კითხვის დიდი მნიშვნელობა მოზარდის მხატვრული გემოვნების განვითარებაში; ამიტომაც იქცა ღონისძიების გამაერთიანებელ ძირითად ღერძად მკითხველთაგან ესთეტიკური მსჯელობის უნარის გამოვლენა-ჩამოყალიბება, მათი მაღალი ზნეობრივ-მორალური თვისებების დამკვიდრება.

* * *

თავისთავად ღონისძიებების მომზადება-წაყვანა – ლიტერატურული დილების – „ქართული სიტყვის თილისმა", გახსენება „9 აპრილი", „ქართული ლექსის მეჯლისი", „გაზაფხულია ჩემს ქვეყანაში" და შეხვედრა პოეტებთან – საშუალე-

ბას აძლევდა თითოეულ ბიბლიოთეკარს, ქცეულიყო ინტელექტუალურ დირიჟორად, რათა მოზარდი მკითხველისათვის თანაბრად მიეწოდებინა ზღვა მასალა მამულის, ენისა და სარწმუნოების შესახებ.

დაუვიწყარ დღედ იქცევა ალბათ N1 ბავშვთა სახლის აღსაზრდელებისათვის ბიბლიოთეკაში პოეტებთან შეხვედრა – ბიჭტა აბშილავასა და ლალი ჯაფარაშვილთან. მათი ცხოვრებისეული გამოცდილება და შემოქმედებითი მრავალფეროვნება მაგალითი იქნება ყველა მოზარდისათვის – მეგობრობის, სიყვარულისა და ურთიერთპატივისცემის გრძნობის ჩამოყალიბებისათვის.

ასევე დაუვიწყარი იქნება ჩვენი ბიბლიოთეკის მკითხველებისათვის ის დღეც, როდესაც ქართული მწერლობის სულიერ ტაძარში – მწერალთა კავშირის შენობაში პოეტ ალიო მირცხულავას 100 წლის იუბილესათვის ლიტერატურული კომპოზიცია „გაზაფხულია ჩემს ქვეყანაში“ წარმოადგინეს.

პოეტის ეროვნულ ნიადაგზე აღმოცენებულ, თვითმყოფად და ორიგინალურ პოეზიას ავსებდა მწერალთა კავშირის თავმჯდომარის თ. წივწივაძის, მწერლების: რ. ჭეიშვილისა და მ. გონაშვილის მოგონებები, დიდი პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედების გაცოცხლებული სურათები.

* * *

საინტერესოდ წარიმართა ღონისძიებები: ლიტერატურული დილა „ეს სიყვარული საუბრობს ღმერთთან“ და მუსიკალური შოუ „იმღერე რამე“.





მოზარდმა უნდა იცოდეს, რომ სიყვარულს სამშობლო არ გააჩნია, რომ სიყვარული თავად არის ღმერთი, ყოველივე ეს კი ხელს გვიწყობს გავაღვივოთ მოზარდის სულში მოვალეობის, მეგობრობის, ღირსების ამაღლებული გრძნობა.

* * *

მრავალისმომცველი იყო წიგნის პრეზენტაცია „ქართული მითების სამყარო“.

მსმენელისათვის დიდად სასიამოვნო იყო ახალგაზრდა მკითხველის მსჯელობა უძველესი ქართული ღვთაებების შესახებ, ხალხის წარმოდგენებზე სამყაროსა და ღმერთებზე, ბოროტ ძალებსა და ბოროტ ძალებთან მებრძოლ ღვთისშვილებზე, გაგაკვირვებდათ მათი ღრმა ცოდნა ქართული წარმართული პანთეონისა და მითოლოგიის, საქართველოში ქრისტიანობის დამკვიდრებისა.

* * *

კვირეულის ბოლო აკორდი იყო ბიბლიოთეკაში საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის პრეზიდენტის ი. ღარიბაშვილის, საინფორმაციო ცენტრის აღმასრულებელი დირექტორის გ. მათირიშვილის, მ. გელოვანის სახელობის ახალგაზრდობის ბიბლიოთეკის დირექტორის ო. შოთაშვილის სტუმრობა.

სტუმრებმა საინტერესოდ მოუთხრეს (სლაიდებიც უჩვენეს) ბიბლიოთეკის მუშაკებს წამყვანი ქვეყნების აკადემიური ბიბლიოთეკების სამუშაო პირობებისა და ტექნიკური მიღწევების შესახებ.

მოსმენილისა და ნანახის შემდეგ გულისტკივილით უნდა აღინიშნოს: ნამდვილად დასანანია, რომ ჩვენი ინტელექტი იხარჯებოდეს შინა ეროვნული და სოციალური ჭიდილის ფონზე.

ლია ჩხარტიშვილი
თბილისის საბიბლ. გაერთიანების მეთოდისტი

# საბიბლიოთეკო კვირეული თბილისის საბავშვო ბიბლიოთეკებში

საბიბლიოთეკო კვირეული, რომელიც ტარდება დევიზით „თქვენი ბიბლიოთეკა" და რომელსაც საფუძველი გასული წლის აპრილში ჩაეყარა, წელს დიდი ენთუზიაზმით და შინაარსიანად იქნა ჩატარებული თბილისის საბიბლიოთეკო გაერთიანებაში შემავალ საბავშვო ბიბლიოთეკებში (გაერთიანების დირექტორი ციალა კალმახელიძე).

15 აპრილს მე-60 საბავშვო ბიბლიოთეკაში (გლდანის რ-ნი, გამგე ლ. კვინიკაძე) ჩატარდა ქართული ენის დღისადმი მიძღვნილი ლიტერატურული დილა „ენა დედაა ერისა". ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს ბიბლიოთეკის მკითხველებმა მე-160 და 167-ე სკოლის მოსწავლეებმა. მოწვეული იყო გაზეთ „ბავშვთა ქომაგის" რედკოლეგიის წევრი პოეტი მარიამ სიხარულიძე, რომელმაც წაიკითხა საკუთარი ლექსები. მკითხველებს მიესალმა და ქართული ენის შესახებ ესაუბრა სდსუ-ს დოცენტი სერგო რუხაძე.

21 აპრილს 63-ე საბავშვო ბიბლიოთეკამ (მუხიანი – გამგე მზია გურგენიძე) ჩაატარა ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიცია „იდიდე წიგნო, იდიდე" – მონაწილეობდნენ ბიბლიოთეკის აქტიური მკითხველები სკოლა-ლიცეუმ „გროს", 174-ე საშ. სკოლის, სკოლა-აკადემიის კულტ-საგანმანათლებლო ცენტრ „ჰარმონიის" მოწავლეები, რომლებმაც გამოხატეს დიდი სიყვარული კითხვისა და წიგნისადმი. მათ მომზადებაში ბიბლიოთეკის თანამშრომლებთან ერთად წვლილი მიუძღვით პედაგოგებს ნინო ტაბატაძეს და მანანა ჭოლაძეს.



ბიბლიოთეკაში მოწყობილი იყო გამოფენა „იდიდე წიგნო, იდიდე". ღონისძიებას ესწრებოდნენ თსგ-ის თანამშრომლები, მშობლები, პედაგოგები.

არასოდეს დაავიწყდებათ და ალბათ თბილად გაახსენდებათ 28-ე საბავშვო ბიბლიოთეკის (ისან-სამგორის რ-ნი, გამგე ლეილა კვინიკაძე) მკითხველებს 22 აპრილი. შეხვედრა მოუწყვეს პოეტებს ლიდა სტვილიას და ზოია ვაშაკიძეს. პატარების თქმით, მათ პირველად ნახეს „ცოცხალი" პოეტები. ნორჩმა მკითხველებმა, გიმნაზია „მოძღვრის" მოსწავლეებმა წაიკითხეს ლიდა სტვილიას და მისი მეუღლის აწ გარდაცვლილი, გიორგი წერეთლის ლექსები. ქ-ნმა ზოია ვაშაკიძემ ბავშვებს გააცნო პოეტ ლიდა სტვილიას შემოქმედება, მისი ბიოგრაფია, წაიკითხეს საკუთარი ლექსები. პოეტმა ლიდა სტვილიამ პატარებს მადლობა გადაუხადა გულთბილი შეხვედრისათვის და წაიკითხა ახალი ლექსები, რომლებიც ჯერ კიდევ არ დაბეჭდილა. შეხვედრას ესწრებოდნენ თსგ-ის თანამშრომლებიც.

17 აპრილს 55-ე საქალაქო ბიბლიოთეკის საბავშვო განყოფილებამ (ვარკეთილი, გამგე ც. გოგიჩაიშვილი) აღნიშნა პოეტ იოსებ ნონეშვილი დაბადების 85-ე წლისთავი – „წუთისოფელს კაცად შერჩე ბოლომდე, თურმე ესეც გმირობაა დიდი". ბიბლიოთეკის მკითხველებმა, 179-ე სკოლის მოსწავლეებმა ერთხელ კიდევ

გაიხსენეს პოეტის ცხოვრება და შემოქმედება, წაიკითხეს მისი ლექსები.

2 მაისს მე-14 საბავშვო ბიბლიოთეკამ (კრწანისის რ-ნი, გამგე რ. კუჭავა) 67-ე სკოლის ბიბლიოთეკასთან ერთად (ბიბლიოთეკის გამგე მანანა კენჭოშვილი, სკოლის პედაგოგები ნანა მამუკელაშვილი, მერი ცარციძე) მოაწყვეს ნოდარ დუმბაძის „HELAADOS"-ის განხილვა. განხილვაში მონაწილეობდნენ VI კლასის მოსწავლეები, რომლებიც გამოირჩეოდნენ აზროვნებით, საუბრობდნენ მოთხრობის პერსონაჟებზე, გამოყვეს დადებითი და უარყოფითი პერსონაჟები, სინანულით აღნიშნეს, რომ ადგილი, სადაც მოთხრობის პერსონაჟები არიან – სოხუმი, ეს ულამაზესი ქალაქი საქართველოსი, დროებით დაკარგულია. ღონისძიებას ესწრებოდნენ თბილისის საბიბლიოთეკო გაერთიანების მეთოდისტები ლ. გოგიტაშვილი, ლ. ჩხარტიშვილი.

7 მაისს ქართული ენის დღეს მიეძღვნა 49-ე საბავშვო ბიბლიოთეკის (ნაძალადევის რ-ნი, გამგე ლალი ჯავახიშვილი) ღონისძიება „ენა ბურჯია ერისა". თემის აქტუალობა გამოიწვია იმ მავნე ტენდენციამ, რომელიც ახლანდელ სამეტყველო ქართულშია გაბატონებული. ნორჩმა მკითხველებმა (113-ე სოლის დაწყებითი კლასის მოსწავლეებმა) შესანიშნავად წარმოაჩინეს ქართული ენის სიდიადე, სილამაზე, ტკბილხმოვანება – ლექსებით, სიმღერებით, ცეკვებით.

ღონისძიებას ესწრებოდნენ თბილისის საბიბლიოთეკო გაერთიანების მეთოდისტები. კვირეულის დღეები აღინიშნა მე-16 საბავშვო ბიბ-





ლიოთეკაში (საბურთალოს რ-ნი, გამგე ც. სიმონია). ბიბლიოთეკამ კვირეულს მიუძღვნა ღონისძიება „ჩვენი წიგნი, ჩვენი ენა ქართული", მონაწილეობდნენ პირველი ექსპერიმენტული სკოლის მოსწავლეები. ღონისძიებას ესწრებოდა უნივერსიტეტის ასტრონომიის კათედრის გამგე შალვა საბაშვილი, რომელიც მიესალმა მკითხველებს, ესაუბრა ქართული ენის შესახებ, წიგნზე, წიგნის ისტორიაზე.

22-ე საბავშვო ბიბლიოთეკამ (ისან-სამგორის რ-ნი, გამგე ნ. ქემოკლიძე) და 2-ე საქალაქო ბიბლიოთეკამ ერთობლივად მოაწყვეს მკითხველთა შემოქმედებითი საღამო. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ 84-ე, 85-ე სკოლის მოსწავლეები და სტუდენტი ახალგაზრდები. ნორჩმა პოეტებმა წაიკითხეს ლექსები. დები ავალიშვილიების მიერ შესრულებულ იქნა მუსიკალური ნაწარმოებები. მოწვეული იყო პოეტი ნინო გიორგაძე. მე-2 საქალაქო ბიბლიოთეკის გამგე ც. გოგიჩაიშვილმა წაიკითხა საკუთარი მოთხრობა-ჩანახატი.

ღონისძიებას ესწრებოდნენ თბილისის საბიბლიოთეკო გაერთიანების მეთოდისტები.

ყველა ღონისძიებამ დამსწრეთა დიდი მოწონება დაიმსახურა.

# ბიბლიოთეკა—წიგნი—მკითხველი

როგორც ერთი ანონიმური კორესპონდენცია გვატყობინებს, საბიბლიოთეკო კვირეული ხაშურის რაიონის სოფელ წრომის ბიბლიოთეკაშიც ჩატარებულა. ა. წ. 24 აპრილს აქ გამართულა საკმაოდ საინტერესო მკითხველთა კონფერენცია – „ბიბლიოთეკა – წიგნი – მკითხველი". ღონისძიებას უძღვებოდა ბიბლიოთეკის გამგე ქ. მიქელაშვილი, მონაწილეობას ღებულობდნენ პედაგ7ოგები: ლ. სარალიძე, მ. მექოშვილი, ე. მურადაშვილი და სხვ. საუბრები შეეხებოდა წიგნებს, ავტორებს, მკითხველებს, განსაკუთრებით იმას, თუ რა მნიშვნელობა აქვს ბიბლიოთეკას სკოლაში. მკითხველებმა ბევრი ლექსი წაიკითხეს, რომელიც წიგნისა და ცოდნის მიღების წყურვილს ეძღვნება. კონფერენციას ესწრებოდნენ რაიონის ცენტრიდან ჩამოსული სტუმრები: ხაშურის ცენატრალური ბიბლიოთეკის დირექტორი რუსუდან ენჯიბაძე, კულტურის განყოფილების გამგის მოადგილე მ. მახათაძე და სხვ.



ღონისძიების დასასრულს ბიბლიოთეკამ ყველა მონაწილეს მხატვრულად გაფორმებული წიგნის სანიშნები უსახსოვრა. საბიბლიოთეკო კვირეულმა დიდი მოწონება და გამოხმაურება ჰპოვა. ორგანიზატორებს სურათიც გადაუღიათ, რომელიც ჩვენთვის გამოუგზავნიათ.

ბოლოს კორესპონდენციის ანონიმური ავტორი გულანთებული უშუალობით გვთავაზობს თავის ლექსს, რომელიც გვსურს ხელუხლებლად გავაცნოთ ჩვენს მკითხველებს.

## წიგნის სიყვარული

გავუყვები წიგნის თაროს მომღიმარი მზერით,
— გამიფრთხილდით, შემინახეთ! — თითქოს წიგნი მღერის, —
აკაკის და იაკობის მე ვარ საგანძური,
ასო-ასო, ბგერა-ბგერა სიტყვით აკინძული.
ნურვინ იტყვის, რომ ეს წიგნი არის ძველისძველი,
ამ წიგნებით იზრდებოდნენ პოეტი თუ ბრძენი;
წიგნი სათქმელს მუდამ იტყვის,
თუმცა არ აქვს ენა...
მკითხველებო, ღმერთმა მოგცეთ ჯანლონე და სმენა.

რედაქცია

მარინა მოდებაძე
კულტურის სამინ. საბიბლიოთეკო ექსპერტი

# საბიბლიოთეკო დღეების აპოთეოზი

მიმდინარე წლის თითქმის მთელი აპრილი საბიბლიოთეკო დღეებს მიეძღვნა. ზოგან როდის და ზოგან როდის იმართებოდა ბიბლიოთეკის კვირეულები, რომლებიც გამოირჩეოდა შემოქმედებითი, ხალისიანი, შრომითი პათოსით აღსავსე საქმიანობით. საბიბლიოთეკო კვირეულები ეს მხოლოდ ზეიმი როდია, ეს არის მნიშვნელოვანი ღონისძიებები, შეხვედრები გამოჩენილ ადამიანებთან, დაახლოება მკითხველებთან, ბიბლიოთეკების პოპულარიზაცია, ერთგვარი ანგარიში საზოგადოების წინაშე.

საბიბლიოთეკო დღეებმა არნახული გამოცოცხლება გამოიწვია, ერთი მხრივ, საბიბლიოთეკო სპეციალისტებს შორის, მეორე მხრივ, ბიბლიოთეკების მომხმარებელთა შორის. ყველამ იგრძნო, რომ ბიბლიოთეკა კვლავ სისხლსავსე ცხოვრებას ეწევა. მიუხედავად უმძიმესი პირობებისა, ის კვლავინდებურად თავდაუზოგავად იღვწის არა მარტო თავის გადასარჩენად, არამედ მომხმარებელთა მომსახურების უზრუნველყოფისათვის. ამ დღეებმა ნათლად დაგვარწმუნა, რაოდენ დიდი მოთხოვნილებაა დღეს ბიბლიოთეკებზე, გაგვაგებინა, თუ რას მოელის ხალხი ამჟამად მისგან, რა მიმართულებით უნდა განვითარდეს მომავალში საბიბლიოთეკო საქმე. მხოლოდ უშრეტი ენთუზიაზმი თუ შეაძლებინებს ადამიანს ამ პირობებში თავდაუზოგავ, ერთგულ მუშაკობას, რაც ასე დამახასიათებელია ჩვენი ბიბლიოთეკებისათვის.

ამგვარი თავდადება დანახვასა და დაფასებას საჭიროებს. ეს უბრალო რამ არ არის, მას დიდი მნიშვნელობა აქვს. სწორედ ამიტომაც ფრიად ღირსშესანიშნავი მოვლენა იყო 2003 წლის 29 აპრილს საქართველოს კულტურის სამინისტროში საბიბლიოთეკო დღეების დახურვისადმი მიძღვნილი შეხვედრა, რომელსაც კულტურის მინისტრი ქალბატონი სესილი გოგიბერიძე უძღვებოდა. შეხვედრაზე მოწვეულნი იყვნენ საქართველოს ბიბლიოთეკების მოწინავე მუშაკები, საბიბლიოთეკო საქმის ხელმძღვანელები და ორგანიზატორები, მწერლები, ჟურნალისტები. სხდომას ესწრებოდნენ: საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის პრეზიდენტი ი. ღარიბაშვილი, ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი ლ. ზამბახიძე, თბილისის საბიბლიოთეკო გაერთიანების დირექტორი ც. კალმახელიძე, ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დირექტორი გ. სტურუა, ეროვნული ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკათმცოდნეობის ცენტრის უფროსი გ. თაყნიაშვილი, ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი ფონდებისა და დამუშავების დარგში ლ. თაქთაქიშვილი, საქართველოს ინფორმაციის სპეციალისტთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი გ. შათირიშვილი, ჟურნალ „საქართველოს ბიბლიოთეკის" მთავარი რედაქტორი ა. ლორია, მწერლები: გ. დოჩანაშვილი, ზ. სამადაშვილი, დ. ტურაშვილი, ლ.



ბიბლიოთეკის მუშაკთა და მწერლების შეხვედრა კულტურის მინისტრთან

ბულაძე, ს. კირვალიძე, სამინისტროს პასუხისმგებელი პირები.

კულტურის მინისტრმა ქ-ნ ს. გოგიბერძემ თავისი მისასალმებელი სიტყვის შემდეგ ილაპარაკა იმ მნიშვნელოვან ამოცანებზე, რომლებიც დღეს ჩვენი საბიბლიოთეკო საზოგადოების წინაშე დგას. დაასახელა მოწინავე ბიბლიოთეკები, მადლობა გადაუხადა საბიბლიოთეკო დღეების ორგანიზატორებს და დასასრულს ჯილდოები გადასცა შრომითა და საქმიანობით გამორჩეულ ბიბლიოთეკარებს. სიტყვით გამოვიდნენ მწერლები: გ. დოჩანაშვილი, დ. ტურაშვილი, ს. კირვალიძე. მადლიერების გრძნობები გამოხატეს თავიანთ გამოსვლებში ი. ღარიბაშვილმა, მ. შათირიშვილმა, გ. თაყნიაშვილმა. ჟურნალის მთავარმა რედაქტორმა ა. ლორიამ ილაპარაკა ჟურნალის მიერ გაწეულ საქმიანობაზე.

შეხვედრის მონაწილენი ლტაცებით შეხვდნენ ქ-ნ ს. გოგიბერიძის განცხადებას იმის შესახებ, რომ საქართველოს პრეზიდენტმა ხელი მოაწერა დოკუმენტს, რომლის ძალითაც საქართველოში 30 აპრილი გამოცხადებულია ბიბლიოთეკის დღედ.

თითქოს ყინული დაიძრა, დათბა, რაღაც იმედის სხივმა გამოაშუქა, რწმენა იკიდებს ფეხს, რომ საბიბლიოთეკო საქმის გაუმჯობესებისა და აღორძინების პოტენციური ძალა არსებობს და ის მომავალში უეჭველად სასიკეთოდ გამოვლინდება.

ი ს ტ ო რ ი ი ს   ფ უ რ ც ლ ე ბ ი დ ა ნ

ნინელი მელქაძე, ალექსანდრე ლორია

# ტფილისის საჯარო ბიბლიოთეკის მატიანე*
# (1868-1904)

როგორც ვიცით: 1865 წლის 2 ივნისს კავკასიის მეფისნაცვალმა მ.ნ. რომანოვმა კავკასიის მუზეუმის, როგორც დამოუკიდებელი დაწესებულების პროექტი დაამტკიცა. ამგვარად, კავკასიის მუზეუმი თითქოს ახალ ცხოვრებას იწყებდა. დირექტორმა გ.ი. რადემ, მიიღო რა რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიურ განყოფილებასთან არსებული მუზეუმის ექსპონატები, გააფართოვა საბუნებისმეტყველო კოლექცია და ფართობისა და დაფინანსების სიმცირის მიუხედავად, შეძლო მუზეუმის გახსნის დღეს – 1867 წლის 2 იანვრისათვის მუზეუმისთვის ევროპის საუკეთესო სტანდარტების შესაფერისი სახე მიენიჭებინა.

იმგვარ სამეცნიერო დაწესებულებას, როგორიც კავკასიის მუზეუმი იყო, არ შეიძლებოდა შესაფერისი ბიბლიოთეკა არ ჰქონოდა. ასეთად რადეს ტფილისის საჯარო ბიბლიოეთეკა წარმოედგინა და კავკასიის მუზეუმისა და ტფილისის საჯარო ბიბლიოთეკის შეერთებაზე ალაპარაკდა. იგი ირწმუნებოდა, რომ ამ გაერთიანების

(გაგრძელება. დასაწყისი იხ.: საქართველოს ბიბლიოთეკა – 2002. №3)

შედეგად მარადმწვანე კიპარისებიან ალექსანდრეს ბაღში ტფილისს ექნებოდა ისეთი დაწესებულება, როგორიც არც რუსეთსა და არც უცხოეთის ქვეყნებს არ ექნებოდა. რადე ოცნებობდა, ალექსანდრეს ბაღის მთელი ტერიტორია ბიბლიოთეკასა და მუზეუმს დათმობოდა.

1868 წელს ტფილისის საჯარო ბიბლიოთეკა და კავკასიის მუზეუმი ერთ დაწესებულებად გაერთიანდა და მის დირექტორად გ.ი. რადე დაინიშნა.

კავკასიის მეფისნაცვლის სამოქალაქო საქმეთა მმართველის ა.პ. ნიკოლაისთან თათბირზე გადაწყდა, რომ მუზეუმის და საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილე საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სპეციალისტი უნდა ყოფილიყო. ადმინისტრაციული საქმიანობის გარდა, მას სამეცნიერო მუშაობაც უნდა შეძლებოდა. ამ თანამდებობაზე აკადემიკოს თ. ბრანდტის ვაჟი — აგრონომიის მეცნიერებათა კანდიდატი თ.თ. ბრანდტი მიიწვიეს (1).

თბილისის სამეცნიერო საზოგადოება გაზეთ „Кавказ"-ის ფურცლებზე გამოქვეყნებული პუბლიკაციით მიესალმა ამ გაერთიანებას: „განვლილი 1870 წლის მეორე ნახევარში კავკასიის მუზეუმმა სოლოლაკიდან ქალაქის ცენტრში გადმოინაცვლა... მუზეუმზე საუბრისას არ შეიძლება რამდენიმე სიტყვა ჩვენს საჯარო ბიბლიოთეკაზე არ ითქვას, მუზეუმისა და ბიბლიოთეკის გაერთიანება შესანიშნავია. ერთი მეორეს დაეხმარება... ბიბლიოთეკის შენობა (სამწუხაროდ ჯერ არ გახსნილა) საკმაოდ მოხერხებულია. იგი დარბაზის, წიგნსაცავის, ბიბლიოთეკარის ოთახის, სამკითხველო დარბაზის და სპეციალისტებისათვის სამი ოთახისგან შედგება. ერთი მათგანი ქალთათვისაა განკუთვნილი. იმ სახსრებით, ჩვენს ბიბლიოთეკას რომ გააჩნია, მხოლოდ კავკასიის და წინა აზიის ქვეყნების კოლექციების შევსებაა შესაძლებელი, რადგან ეს მისი მთავარი დანიშნულებაა". (7)

გ. ი. რადე კავკასიის მუზეუმისა და ტფილისის საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორად 35 წლის განმავლობაში მუშაობდა.

თ.თ. ბრანდტმა კავკასიის მუზეუმის და ტფილისის საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილედ 1868 წლის 13 აპრილიდან იმუშავა და მხოლოდ ავადმყოფობის გამო დატოვა ეს ადგილი 1873 წლის ივნისს (2). იგი ამავე წელს შეცვალა ევალდ თეოდორეს ძე გერშელმანმა. ამ უკანასკნელის არყოფნის შემთხვევაში ბიბლიოთეკის გამგეობას დაქირავებული თანამშრომელი ანანოვი ეწეოდა.

1875 წლის სექტემბერში გერშელმანი გარდაიცვალა. გ.ი. რადემ მის ადგილზე ფილოსოფიის დოქტორი გუსტავ ივანეს ძე სივერსი მიიწვია, რომელსაც ეს ადგილი 1881 წლის სექტემბრამდე ეჭირა.

1869 წლიდან ბიუჯეტით წიგნების შესაძენად ბიბლიოთეკისათვის ყოველწლიურად 200 მანეთი ვერცხლით იყო გათვალისწინებული, რაც ბიბლიოთეკის ყოვლად მოკრძალებულ მოთხოვნებსაც ვერ აკმაყოფილებდა. რადეს ყოველი თხოვნა სუბსიდიის გაზრდაზე წარუმატებლად რჩებოდა და იგი იძულებული იყო მხოლოდ კავკასიასა და მის მოსაზღვრე ქვეყნების შესახებ არსებული ლიტერატურა შეეძინა. ბიბლიოთეკამ შეისყიდა ლეიბციგში დაცული სობოლევსკის კოლექციის ნაწილი, ბოტანიკოს ოვერინის ძვირფასი წიგნები, მეტეოროლოგიური ობსერვატორიის ყოფილი დირექტორის დორანდტის საბუნებისმეტყველო ლიტერატურა. ყოველწლიურ გამოცემებიდან ორ-ორ წიგნს კვლავაც აგზავნიდნენ კავკასიის საცენზურო კომიტეტი, შემოდიოდა მეცნიერებათა საიმპერატორო აკადემიისა და სახალხო განათლების სამინისტროს გამოცემები. თავის ზოგიერთ გამოცემას ისევ აგზავნიდა ვაშინგტონის სმითსონის ინსტიტუტი და ქრისტიანიის (ნორვეგია) საჯარო ბიბლიოთეკა (10), 1866-1881 წლებში დაკომპლექტების მთავარ წყაროს კავკასიის სამთო სამმართველოს შემოწირულებები წარმოადგენდა. ტფილისის საჯარო ბიბლიოთეკას მან 220 დასახელების 370 ეგზემპლარი აჩუქა; ნ.გ. ზეიდლიცმა — კავკასიის სტატისტიკური კომიტეტის 500 წიგნი და პერიოდული გამოცემები (10). 1880

წლის ბოლოს ბიბლიოთეკას შეემატა გენერალ-ლეიტენანტ ა.ი. ბართოლომეის წიგნებიდან შემდგარი კავკასიელ მოყვარულ არქეოლოგთა ბიბლიოთეკა. (ეს წიგნები „მოკლე კატალოგის" მეორე გამოცემაში არ შევიდა). გულუხვობით გამოირჩეოდნენ: მ.ნ. რომანოვი, ნ.მ. რომანოვი, ა.პ. ნიკოლაი, ხანიკოვი, გ. აბიხი, ა.მ. ბლიუმბერგი, ა.ვ. კომაროვი, თ.გ. ფონ-კოშკული, ი.ი. სტებნიცკი, პ.ფ. რერბერგი, მ.ნ. სმირნოვი, გ.ვ. სტრუვე, გ.ი. სივერსი, ა.პ. ბერჟე, კ.თ. ბროშნილოვსკი (10).

ტფილისის საჯარო ბიბლიოთეკის კოლექციებში კავკასიურ ენაზე გამოცემათა მომრავლების გამო, წიგნების დასამუშავებლად მოიწვიეს კ.დ. თათარაშვილი და ე.ი. ლალაიანცი (12).

1874 წ. კავკასიის მეფისნაცვლის მ.ნ. რომანოვის ბრძანებით, ბიბლიოთეკას ბრწყინვალე თავადების ნიკოლოზ და ალექსანდრე სერგეის ძე მენშიკოვების ცნობილი კოლექციის მნიშვნელოვანი ნაწილი გადაეცა. 50.000 ტომისაგან შემდგარი ეს კოლექცია სახელმწიფოს ვ.ა. მენშიკოვმა საჩუქრად გადასცა (4). მისი სისტემატური კატალოგის შედგენა ე.თ. გერშელმანს დაევალა. გერშელმანმა ტფილისის საჯარო ბიბლიოთეკისათვის 5.167 დასახელების 11.186 წიგნი და 571 რუკა გადაარჩია. გ.ი. სივერსის გადამოწმებამ ეს სია 250 დასახელების 350 ტომით შეამცირა. „ტფილისის საჯარო ბიბლიოთეკის მოკლე კატალოგის პირველი გაგრძელების" გამოსვლიდან 14 წლის შემდეგ მეორე გაგრძელების შედგენა აუცილებლობად იქცა. მენშიკოვების ბიბლიოთეკის 4.917 დასახელების 10.842 ეგზემპლარმა ყველა იმ გამოცემის ორი-მესამედი შეადგინა, რაც „მეორე გამოცემაში" შევიდა. 1866-1880 წლებში ბიბლიოთეკის ისტორიული, სამართლებრივი, პერიოდული განყოფილებები ძვირფასი გამოცემებით შეივსო, რომლებიც ენის მიხედვით ევროპული იყო. 1880 წელს ბიბლიოთეკაში 13.997 დასახელების 26.856 ტომი იყო დაცული (10).

1882 წ. მეფისნაცვლის ინსტიტუტის გაუქმების და სამხარეო მოწყობის გარდაქმნის შედეგად, ტფილისის საჯარო ბიბლიოთეკა და კავკასიის მუზეუმი განათლების სამინისტროს დაექვემდებარა, მათ სამეცნიერო მუშაობას მეცნიერებათა აკადემია კურირებდა, ხოლო დირექტორი განათლების მინისტრს ემორჩილებოდა. 1884 წელს ბიბლიოთეკისათვის გამოყოფილი თანხები წელიწადში 1200 მანეთს შეადგენდა ვერცხლით. ამან საგრძნობლად შეუწყო ხელი ბიბლიოთეკის კოლექციის გამდიდრებას და გაჩნდა საშუალება „მოკლე კატალოგის მესამე გაგრძელების" გამოცემისა (6). 1894 წ. ბიბლიოთეკაში 18.220 დასახელების 33.025 ტომია თავმოყრილი (8). მართალია, შეძლებისდაგვარად ბიბლიოთეკისათვის უნივერსალურ პროფილის ლიტერატურას იძენდნენ, მაგრამ ორიენტაცია კავკასიის შესახებ არსებულ ლიტერატურაზე იყო, როგორც კავკასიოლოგიური ინფორმაციის მქონე წიგნსაცავისა. მაგალითად, მხოლოდ 1892 წ. კავკასიის შესახებ 350 დასახელების წიგნი და ბროშურა შეიძინეს. „თბილისში კ.ნ. ბეგიჩევის რუსული წიგნვაჭრის" ძალისხმევით ბიბლიოთეკას 80 კავკასიოლოგიური ხასიათის წიგნი და ბროშურა შეემატა (9). 1890-იანი წლებიდან ბიბლიოთეკამ კავკასიოლოგიური კოლექციის შევსება პერიოდული გამოცემებიდან ამონაჭრებით დაიწყო და განყოფილება იმ მასალებითაც შეივსო, რაც ცალკე წიგნად არ გამოდიოდა (9). კვლავინდებურად აგზავნიდა წიგნებს კავკასიის საცენზურო კომიტეტი, საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემია და განათლების სამინისტრო. ბიბლიოთეკას არც შემოწირულებები აკლდა, ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ს.ი. მონასტირსკის კერძო მათემატიკური ბიბლიოთეკის შემომატება (6).

ტფილისის საჯარო ბიბლიოთეკამ, ვითარდებოდა რა, როგორც კავკასილოგიის ინფორმაციულმა ცოდნის დამაუნჯებელმა ბანკმა, წლების მანძილზე დიდი მნიშვნელობა შეიძინა, მაგრამ ადგილობრივ პრესაში ბიბლიოთეკის კოლექციის, დაკომპლექტებისა და სამუშაო რეჟიმის შესახებ სისტემატურად ქვეყნდებოდა მწვავე კრიტიკული შენიშვნები. მაგალითად, გაზეთ

„ნოვოე ობოზრენიეს“ მოწინავეში წერდნენ: „ტფილისის საჯარო ბიბლიოთეკამ ადგილობრივ საზოგადოებას იმ სარგებლობის მეათედიც კი ვერ მოუტანა, რისი იმედიც მის ბრძენ დამაარსებელს ჰქონდა. ქალაქის მესვეურები ტფილისის, როგორც კავკასიის ცენტრის მნიშვნელობის დაცემას რომ მისტირიან, თუკი მართლაც სურთ მისი მნიშვნელობა ამ სიმაღლემდე ასწიონ, თავისი ქალაქი იმ დაწესებულებებით უნდა შეაფასონ, რომელთა ერთიანობაც ამგვარი ცენტრების ღირსებას წარმოადგენს. ქალაქში, რომელსაც სამხარეო ცენტრის პრეტენზია აქვს, თავმოყრილი უნდა იყოს არა მხოლოდ მმართველობითი ორგანოები, არამედ ისეთებიც, ამ ცენტრებს გარდა რომ არსად არის, ასეთია საჯარო ბიბლიოთეკა, რომელიც იმ დაწესებულებათა რიგში დგას. ტფილისისადმი გამუდმებულ ინტერესს რომ აღივებს. სხვა ქვეყნის მცხოვრებნი, რომლებიც ვაჭრობით ალოცხლებენ ჩვენს ქალაქს და მას შემოსავლებს მატებენ, იქნებ კარგად დაკომპლექტებულმა ბიბლიოთეკამაც მიიზიდოს. ყოველ შემთხვევაში, საჯარო ბიბლიოთეკა იმგვარად უნდა გადაკეთდეს, რომ საჭირო გახდეს ყველა მეცნიერისა და პრაქტიკოსისათვის. თუკი ქალაქმა პირველდაწყებითი განათლების აუცილებლობა შეიგრძნო, იგი მოვალეა თავის განათლებულ საზოგადოებას შეძენილი ცოდნის გამოყენების და განვითარების საშუალება მისცეს“ (11).

ეს იყო ერთგვარი განმაზოგადებელი გამოსვლა, რომელსაც შეიძლებოდა სტიმულატორის თვისებები ჰქონოდა. საერთოდ კი, უამრავი მასალაა წარმოდგენილი პრესაში, რომელიც უარყოფითად აფასებს ხსენებულ ბიბლიოთეკის საქმიანობას. განსაკუთრებით ბევრი საყვედური გამოითქმის იმის გამო, რომ ტფილისის საჯარო ბიბლიოთეკა ვერ ასრულებდა საყოველთაო კულტურულ-საგანმანათლებლო როლს. ეს არც არის გასაკვირი, რადგანაც მისი არსებობა თავიდანვე ძირითადად სამეცნიერო ფუნქციებით შემოისაზღვრა უმთავრესად კავკასიოლოგიური მიმართულებით. თანდათან უფრო ძლიერდებოდა აქცენტი ამგვარ საქმიანობაზე და ცხადია, ის ვერ დააკმაყოფილებდა მასობრივი მკითხველის მოთხოვნილებებს.

პერიოდულად თავს იჩენდა მატერიალური მდგომარეობის დაქვეითება, არ იყო საკმარისი ფინანსები, რაც ხშირად განსჯის საგნად და გამოსავლის ძიების წყაროდ ქცეულა, თბილისის საკრებულოში გამოთქმული მოსაზრებით, დაკომპლექტების გასაუმჯობესებლად ტფილისის საჯარო ბიბლიოთეკა ქალაქის საზოგადოებრივ თვითმმართველობას უნდა გადასცემოდა. ამაზე პასუხად დაიწერა, რომ ტფილისის საჯარო ბიბლიოთეკის ფონდები, სავსებით გეგმიურად ივსება კავკასიასა და მის მოსაზღვრე ქვეყნების შესახებ არსებული ლიტერატურით, რაც მას სხვა მსგავსი ბიბლიოთეკებისაგან განასხვავებს. ამას ემატება ისიც, რომ მცირე დაფინანსების გამო (1884 წლამდე – 2000 მან. ვერცხლით, ხოლო შემდეგ – 1200 მან, ვერცხლით) ბიბლიოთეკა ვერ შეძლებს მრავალრიცხოვანი ქალაქის მოსახლეობის ზოგადსაგანმანათლებლო მოთხოვნილებები დააკმაყოფილოსო. ბიბლიოთეკის მესვეურთა აზრით, კოლექციების თემატური მრავალფეროვნება მხოლოდ უმდიდრეს ევროპულ ბიბლიოთეკებს თუ შეუძლიათ. იდეალისტური მსჯელობა იმაზე, რომ ბიბლიოთეკა წერა-კითხვის ახლახან დაუფლებულთა ინტერესების გაფართოებას უნდა ესწრაფოდეს და ამავე დროს, ვიწრო სპეციალისტებისთვისაც საინტერესო და მაღალკვალიფიციური იყოს, მხოლოდ დიდძალი დაფინანსების დროსაა შესაძლებელიო. (8).

ანალიზის შედეგად შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს იქნებ კიდეც მოხერხებულიყო, თუკი ქალაქი ბიბლიოთეკარის და კიდევ ერთი მოსამსახურის შტატებისათვის დამატებით გაიღებდა ხარჯებს, აგრეთვე შენობის ელექტროგანათებას უზრუნველყოფდა, წყალგაყვანილობას და სახანძრო ონკანების დაყენებას იკისრებდა, ამას გარდა, გამოყოფდა თანხებს პერიოდიკის გამოსაწერად. მაგრამ ქალაქის ხელმძღვანელობას ამის გაკეთება არ სურდა, რადგან ბიბლიოთეკის ხელმძღვანელობა უარს ამბობდა დაკო-

მპლექტების პოლიტიკის შეცვლაზე და კავკასიოლოგიას ანიჭებდა უპირატესობას. ამ უთანხმოების გამო ქალაქმა გადაწყვიტა ახალი საქალაქო საჯარო ბიბლიოთეკა დაეარსებინა. გადაწყვეტილება ამგვარი ბიბლიოთეკის დაარსებაზე პუშკინის საიუბილეო წელს მიიღეს (1899), მაგრამ განათლების სამინისტრომ ქალაქს არ დართო მშენებლობის ნება, რადგანაც გადაწყვეტილებაში არ იყო მითითებული, თუ რა სახსრებით აპირებდა ქალაქი ამის განხორციელებას (5). ეს შესაძლებელი გახდა 1904 წელს*.

გ. რადე, იცავდა რა ბიბლიოთეკის კავკასიოლოგიურ სპეციალიზაციას, წერდა, რომ ალჟირში ყოფნისას დაინტერესდა იქაური საჯარო ბიბლიოთეკით, რომელსაც ვიწრო მიზანი ჰქონდა – შეეგროვებინა ლიტერატურა ალჟირის შესახებ. ამ ბიბლიოთეკას არ ჰქონდა ფართო საგანმანათლებლო სამკითხველოს ხასიათი. რადე იზიარებდა დაკომპლექტების ამგვარ პოლიტიკას და ცდილობდა კავკასიოლოგიის შესახებ რაც შეიძლება სრულყოფილი წიგნსაცავი შეექმნა (8).

რადე კავკასიის შესახებ სრულყოფილი წიგნსაცავის შექმნის იდეას გამუდმებით განამტკიცებდა. ტფილისის საჯარო ბიბლიოთეკის ამგვარი მიმართულების გამო მომრავლებულმა საგაზეთო კრიტიკულმა წერილებმა იგი აიძულეს სპეციალური მოხსენება გაეგზავნა 1899 წლის 17 ნოემბერს სახალხო განათოების სამინისტროში თხოვნით, შექმნილიყო სპეციალური კომისია ბიბლიოთეკაში არსებული მდგომარეობის შესასწავლად და საარსებო პირობების გასაუმჯობესებლად. კომისიამ, რომელსაც კავკასიის სამხარეო სასწავლო მზრუნველი მ. ვ. ზავადსკი ხელმძღვანელობდა, 1900 წლის 2 ოქტომბრის დასკვნით აღიარა ბიბლიოთეკის დაკომპლექტების განსაკუთრებული ხასიათის მნიშვნელობა, აღნიშნა ისიც, რომ ბიბლიოთეკა სწორედ ასე იყო ჩაფიქრებული, ამასთან, მ. ზავადსკიმ იმ აუცილებელ სამუშაოებზეც მიუთითა, რომელთაც ბიბლიოთეკის პროფილის შეუფერებელი ლიტერატურა უნდა გამოევლინა სახალხო განათლების სამინისტროს სხვა დაწესებულებებისათვის გადასაცემად (3). ეს კი ერთგვარად განტვირთავდა მაინც ბიბლიოთეკის შენობას, თუკი საბოლოოდ ვერ შეძლებდა გადაეწყვიტა მის უნივერსალურ, კავკასიოლოგიურ პროფილთან დაკავშირებული პრობლემები.

ქალაქის მმართველობამ, ვერ მიაღწია რა ტფილისის საჯარო ბიბლიოთეკის დაკომპლექტების თემატურ მრავალფეროვნებას, პუშკინის საიუბილეო წელს მიღებული დადგენილების შესრულება გადაწყვიტა. მხოლოდ 1904 წლისთვის გახდა შესაძლებელი, დაძრულიყო ეს საქმე და კეთილადაც დასრულებულიყო.

1900-იანი წლების პოლიტიკურმა მოვლენებმა დედაქალაქის პრესის ყურადღება თავისთავად გადაიტანა აღმოსავლეთის საფუძვლიანად შესწავლაზე. სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის რეორგანიზაციის შემდეგ თ.ს. ლებედევის ინიციატივით 1900 წლის 5 ივნისს დაარსდა აღმოსავლეთის შემსწავლელი საზოგადოება ფილიალებით თბილისსა, ბაქოსა და ერევანში, თბილისი კი აღმოსავლეთმცოდნეობის ცენტრად დასახელდა, რაკი აქ შესაფერისი პროფილის საჯარო ბიბლიოთეკა არსებობდა. 1870-90-იან წლებში თავდასხმის ობიექტად ქცეული ტფილისის საჯარო ბიბლიოთეკის კავკასიოლოგიური ორიენტაცია ახლა სწორედ მის მთავარ ღირსებად იქნა მიჩნეული.

1903 წლის მარტში გ.ი. რადე გარდაიცვალა. კავკასიის მუზეუმისა და ტფილისის საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორად 1904 წლის 4 სექტემბერს დაინიშნა ალექსანდრე ნიკოლოზის ძე კაზნაკოვი – მოგზაური, აღმოსავლეთმცოდნე, არქეოლოგი, ეთნოგრაფი, კავკასიის მუზეუმისა და ბიბლიოთეკის დიდი მოამაგე, მისი ამ თანამდებობაზე მოღვაწეობა შეიძლება დახასიათდეს როგორც წინამორბედთა მიერ არჩეული გზის თანმიმდევრული განგრძობა, მათი ნააზრევების განუხრელი დაცვა და განვითარება.

* ამის შესახებ გამოკვლევა იხ. მომდევნო ნომერში.

1. საქართველოს მუზეუმის არქივი. – 1966/1967. – გვ. 201

2. საქართველოს მუზეუმის არქივი. – 1968. – გვ. 52

3. საქართველოს მუზეუმის არქივი. – 1905. – გვ. 65-66

4. Ивановский А. Каталог составлений Императорской публичной библиотеки: приложение к “Старине русской земли”. - Спб., 1871.

5. Кавказ. - 1899. - №181

6. Миллер П.Э. Третье продолжение краткого каталога Тифлисской Публичной библиотеки: (1881-1890). - Тифлис, 1895.

7. Надеждин Н. Несколько слов о Тифлисской публичной библиотеке //Кавказ. - 1871. 17/19 янв. - №18

8. Отчёт по Кавказскому музею и Тифлисской публичной библиотеке за 1893-1894 годы / сост. Г.И. Радде, П.Э. Миллер. - Тифлис., 1894.

9. Отчёт по Кавказскому музею и Тифлисской публичной библиотеке за 1897-1898 /сост. Г.И. Радде, П.Э. Миллер. - Тифлис, 1898.

10. Сиверс Г. И. Второе продолжение краткого каталога Тифлисской публичной библиотеки. - Тифлис, 1881

11. Тифлисская публичная библиотека // Новое обозрение. - 1887, - 26 сент. №1300

12. Узнадзе В. В. История Тифлисской публичной библиотеки (1846-1917). - Тбилиси, 1957. - 71с.


## კორესპონდენციები


ფირა გაჯიევა

თბ. №9 სკოლა-გიმნაზიის ბიბლიოთეკარი


# ჩვენი ბიბლიოთეკის ყოველდღიურობა

ჩვენი სკოლა 1937 წელსააშენეს. აქ ახლა ბინადრობს მე-9 სკოლა-გიმნაზია, რომელიც ა.ს. პუშკინის სახელს ატარებს. სკოლის ბიბლიოთეკა უკვე 65 წლისაა. ძველი წიგნები ნათლად ატარებს ნიშანს, რომლის მიხედვითაც შეგვიძლია განვსაზღვროთ მათი ასაკი.

ამჟამად ბიბლიოთეკაში 8.565 ეგზემპლარია დაცული. როგორც ყველგან, 1992 წლიდან ჩვენთანაც აღარ შემოდის ახალი წიგნები კოლექტორიდან, თუმცა ფონდი მაინც შესამჩნევად ივსება სხვადასხვა ორგანიზაციებისა და მოსახლეობის დახმარებით. მათ ბიბლიოთეკას მრავალი საინტერესო წიგნი გადმოსცეს. ასე მაგალითად, ქალაქის განათლების განყოფილებიდან და სხვა სკოლებიდან შემოგვივიდა დიდი რაოდენობის მხატვრული ლიტერატურა, აგრეთვე მეთოდიკური და სასწავლო წიგნები; საქართველოს ნაციონალური ბიბლიოთეკის გაცვლითი ფონდიდან მივიღეთ კლასიკური ქართული, რუსული და სხვა უცხოური გამოცემები, ქალაქ მოსკოვის მერმა ბ-ნ ი. ლუშკოვმა გამოგვიგზავნა



ახალი სასწავლო ლიტერატურა. დიდი დახმარება აღმოგვიჩინა ბიბლიოთეკის შევსების საქმეში რუსული საზოგადოების ფონდმა; უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში სასწავლო ლიტერატურით უზრუნველყოფს ჩვენს ბიბლიოთეკას რუსეთის ფედარაციის მთავრობა; ბერძნული საზოგადოება ბერძნულ ენაზე გვაწვდის წიგნებს საბერძნეთის შესახებ და ბერძნული ენის სახელმძღვანელოებს. სასწავლო წლის განმავლობაში ბევრი წიგნი მოსწავლეებს გადაეცემა უფასოდ. მიუხედავად ყოველივე ამისა, მძაფრად იგრძნობა გასაჭირი საბავშვო წიგნზე. საბავშვო ფონდი მოძველდა, მოძველდა იგი პოლიგრაფიული თვალსაზრისითაც, მოთხოვნილება კი მათზე სულ უფრო მეტად იზრდება.

უფასოდ ღებულობს ბიბლიოთეკა გაზეთებს: ,,ახალი განათლება", ,,Вечерний Тбилиси", ,,Российская газета".

ბიბლიოთეკამ დაასრულა წიგნების ინდექსაცია საკ-ს ცხრილების მიხედვით, მოახდინა ხელახალი ინვენტარიზაცია და წიგნების ახლებურად აფასება.

ბიბლიოთეკის მკითხველთა რაოდენობა 940-ს აჭარბებს, მოსწავლეთა გარდა არიან მასწავლებლები, ტექნიკური მუშაკები, მშობლები, ყოფილი მოსწავლეები, აგრეთვე სკოლის შენობაში განთავსებული უნივერსიტეტის ,,გაინათის" სტუდენტები და პედაგოგები.

სკოლის კონტინგენტი მრავალეროვნულია. აქ სწავლობენ რუსები, ქართველები, ოსები, ბერძნები, აზერბაიჯანელები, ბელორუსები, უკრაინელები, სომხები, ქურთები, ჩეჩნები, აგრეთვე ლტოლვილები აფხაზეთიდან.

ერთობლივი სასკოლო ცხოვრება აერთიანებს სხვადასხვა ენის, კულტურის ტრადიციების მქონე ბავშვებს და ზრდის მათ საქართველოს მოქალაქეებად. სავსებით ბუნებრივია მათი ინტერესები, რომ ურთიერთობა დაამყარონ ერთმანეთთან. და სკოლაში თავისთავად ჩამოყალიბდა ჰუმანიტარული მიმართულება ენების ღრმად შესწავლისა. აქ შეისწავლება რუსული, ქართული, ინგლისური, გერმანული, ბერძნული ენები ამ ხალხების ეროვნულ კულტურასთან ერთად. ენა ხომ ეს გზაა სხვა ხალხებისაკენ, ურთიერთგაგებისა და მეგობრობისაკენ. ბევრი საბიბლიოთეკო ღონისძიება სკოლაში ტარდება სხვადასხვა ენებზე, ცხადია, პედაგოგების დახმარებით. ასეთი იყო, მაგალითად, ინგლისურ ენაზე დადგმული ბერნარდ შოუს ,,პიგმალიონი", ბერძნულ ენაზე – ესქილეს ,,სპარსელები", იგავარაკები გერმანულ ენაზე; VIII-XI კლასების მიერ განხორციელებული დადგმა ,,დიადი გერმანელები", უმცროს კლასელების მიერ მომზადებული ,,წითელქუდა", ,,კვერი", ,,სახლაკი", მუსიკალური ზღაპრები ,,თორმეტი თვე", ,,ბრემენული მუსიკოსები"; ქართულ ენაზე წარმოდგეილ იქნა ,,ვეფხისტყაოსანი", ,,სიკეთით სძლიე შენს მტერსა", შემდგომ მისი განხილვით; რუსულ და ქართულ ენებზე ერთობლივად მოეწყო ლიტერატურული ღონისძიება ,,ცისფერყანწელთა მეგობრობა რუს პოეტებთან" (ტიციან ტაბიძე – ბორის პასტერნაკი), რომელსაც ესწრებოდა ტიციანის ქალიშვილი თინათინი, რომელმაც მსმენელებს გაუზიარა თავის მოგონებები მამაზე და მათი ოჯახის მეგობარზე – პასტენაკზე, რომელთანაც ბოლომდე არ გაუწყვეტია ურთიერთობა, ახლა კი მეგობრობს მის ვაჟთან. აი, რა დიდხანს ძლებს ნამდვილი მეგობრობა, როგორ გადადის ის თაობიდან თაობაზე. მეორე რუსულ-ქართულ ენოვანი ღონისძიება იყო ნიკოლოზ ბარათაშვილისადმი მიძღვნილი კომპოზიცია – ,,მირბის, მიმაფრენს ჩემი მერანი!" რუსულ ენაზე ჩატარდა მკითხველთა კონფერენცია ,,ესპანეთის სინდისის – ფედერიკო-გარსია ლორკას ცხოვრება და სიკვდილი". აგრეთვე ნოდარ დუმბაძის ,,მე ვხედავ მზეს" და ანატოლი პრისტავკინის ,,ათევდა ღამეს პაწია ღრუბელი ოქროსფერის" მიხედვით წარმოდგენილი დრამატული წარმოდგენა საერთო სათაურით ,,ომით დასეტყვილი ბავშვობა".

1999 წელს სკოლისათვის პუშკინის სახელის მინიჭების შემდეგ აქ გაიხსნა პოეტის სალონი,

სადაც აგროვებენ წიგნებს, საგნებს, მოსწავლეთა რეფერატებს დიდი პოეტის შესახებ, სალონის გახსნაზე საპატიო სტუმრებად იყვნენ სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოსული პოეტის შთამომავლები, პუშკინოლოგები რუსეთიდან, რომლებმაც დაუტოვეს ბიბლიოთეკას წიგნები თავიანთი ავტოგრაფებით.

სალონში სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში ტარდება პუშკინის ნაწარმოებთა კითხვები, იმართება შეხვედრები მწერლებთან, მხატვრებთან, ა.ს. გრიბოედოვის სახელობისა და მოზარდმაყურებელთა თეატრების მსახიობებთან, კონსერვატორიის მომღერლებთან და მუსიკოსებთან.

სკოლას დიდი ხნის მეგობრობის ტრადიცია აქვს იტალიელ პარტიზან-გარიბალდელებთან, წინააღმდეგობის ვეტერანებთან, რომელთა რიგებში იბრძოდა ჩვენი თანამემამულე – კახეთის სოფელ ქვემო მაჩხაანიდან, იტალიის ნაციონალური გმირი ფორე მოსულიშვილი, რომელიც იტალიაში დაიღუპა. ყოველ წელს ისინი გაზაფხულზე ჩამოდიან ჩვენთან, გვაქვს მიმოწერა, გვჩუქნიან წიგნებს, რომლებიც ჩვენი ბიბლიოთეკის თაროებს ამშვენებს.

სამწუხაროდ, მათი რიგები სულ უფრო და უფრო მცირდება. ამ ურთიერთობამ ჩვენში გამოიწვია ამ საოცარი ადამიანების ქვეყნისადმი დაუოკებელი ინტერესი. მათთან შეხვედრის დროს ეწყობა წიგნების გამოფენები იტალიის შესახებ, იმართება საღამოები, ვიქტორინები, მოსწავლეები ამზადებენ მოხსენებებს.

შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი სკოლის ბიბლიოთეკა, რომელიც ყველა ამ წამოწყების ორგანიზატორი და სულისჩამდგმელია, ნამდვილად სისხლსავსე ცხოვრებით ცხოვრობს, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის უკეთ წარმართვას.

თეა იოსავა
ბიბლიოთეკათმცოდნეობის ცენტრის მთავარი სპეციალისტი

# მიეძღვნა დიდ მწერალს

2003 წლის 18 აპრილს თბილისის ბიბლიოთეკების გაერთიანების ნაძალადევის რაიონის 25-ე და 41-ე ბიბლიოთეკებმა ერთობლივად ჩაატარეს ლიტერატურული საღამო, მიძღვნილი კონსტანტინე გამსახურდიას დაბადებიდან 110 წლისთავისადმი.



ღონისძიებას ესწრებოდნენ საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკათმცოდნეობის ცენტრის ხელმძღვანელი, საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი, ჟურნალ „საქართველოს ბიბლიოთეკის" რედაქტორის მოადგილე გურამ თაყნიაშვილი, ბიბლიოთეკების გაერთიანების მასობრივი ღონისძიების ხელმძღვანელი ლუიზა ქუმელაშვილი, მეთოდისტი ნელი ჯარიაშვილი, ბიბლიოთეკების გაერთიანების პროფკავშირების თავმჯდომარე თინა ჩაგანავა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ზოოლოგიის ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი ალექსი არაბული, გაზეთ „თვილისის" ჟურნალისტი ინეზა ლეკვეიშვილი, 25-ე და 41-ე ბიბლიოთეკის გამგეები, თანამშრომლები და მკითხველები.

25-ე ბიბლიოთეკის გამგემ ეთერ ქისიშვილმა დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა საპატიო სტუმრები და ღონისძიება გახსნილად გამოაცხადა. მან სიტყვა მისცა 25-ე ბიბლიოთეკის თანამშრომელს, ლიტერატურული საღამოს წამყვანს – ხათუნა ტულიაშვილს.

ლიტერატურული ღონისძიების დასაწყისში 25-ე ბიბლიოთეკის თანამშრომელმა ხათუნა ჯეჯელავამ წაიკითხა მოხსენება. განხილულ იქნა კ. გამსახურდიას ბიოგრაფია, საზღვარგარეთ მოღვაწეობის წლები, კომუნისტური რეჟიმის პერიოდში პატიმრობის ეპიზოდები, მწერლის შემოქმედებითი მიღწევები, კერძოდ, რომანები: „დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა", „დიონისეს ღიმილი", „მთვარის მოტაცება", „დავით აღმაშენებელი".

ლიტერატურულ საღამოზე 25-ე და 41-ე ბიბლიოთეკების მკითხველებმა დამსწრე საზოგადოებას წაუკითხეს ფრაგმენტები კ. გამსახურდიას რომანებიდან, მისი ლექსი, აგრეთვე ქა-



რთველი პოეტების ლექსები, რომლებიც ქართული პროზის დიდოსტატს ეძღვნება. მკითხველმა ნინო მოდებაძემ მსმენელებს მხატვრულად წაუკითხა ნაწყვეტი რომანიდან „მთვარის მოტაცება", გიორგი მოდებაძემ – შოთა ნიშნიანიძის ლექსი „დიდოსტატის ნაანდერძალი", ხოლო



41-ე ბიბლიოთეკის თანამშრომელმა მარიკა ბიბილეიშვილმა შოთა ნიშნიანიძის საყოველთაოდ ცნობილი ლექსი – „მცხეთის ქალაქს მირონი დუღს" აირჩია მსმენელებისათვის მოსასმენად. მხატვრული კითხვა განაგრძო მკითხველმა თეიმურაზ კაპანაძემ, რომელმაც მხატვრულად წარმოადგინა ნაწყვეტი გიორგი მეფის სიკვდილის სცენისა რომანიდან „დიდსტატის კონსტანტინეს მარჯვენა". მანვე წაიკითხა კ. გამსახურდიას საყოველთაოდ საყვარელი ლირიზმით სავსე ლექსი „ზღვისფერი გაქვს თვალები". დამსწრეთ მწერლისადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსი გააცნო 25-ე ბიბლიოთეკის თანამშრომელმა ხათუნა ჯეჯელავამ, ლექსის სათაურმაც კი – „პასუხად ბატონ კონსტანტინეს" დააინტერესა მსმენელები და თვით ლექსმაც მოწონება დაიმსახურა.

ღონისძიების დასასრულს ბიბლიოთეკის უხუცესმა მკითხველმა კ. გამსახურდიას თანამედროვემ, მისი ოჯახის მეგობარმა კონსტანტინე მგალობლიშვილმა დამსწრეთ ისეთი დეტალები გააცნო, რომელსაც ნაკლებად, ან სულაც არ იცნობს ჩვენი საზოგადოება.

გამსახურდიას შესახებ მკითხველებს ცნობები მიაწოდა აგრეთვე ლიტერატურული სალამოს ერთ-ერთმა სტუმარმა ალექსი არაბულმა. მან მოიგონა ეპიზოდები მწერლის ცხოვრებიდან, რომლებიც ნადირობით გატაცებასთან იყო დაკავშირებული.



დასასრულს, სიტყვით გამოვიდნენ საღამოს სტუმრები: გ. თაყნიაშვილი, ლ. ქუბულაშვილი, ნ. ჯარიაშვილი და თ. ჩაგანავა. დამსწრეთა მიერ გამოითქვა დიდი კმაყოფილება ამ საინტერესო ღონისძიების ჩატარების გამო.

# კარგი წიგნი ადამიანის უახლოესი მეგობარია

თბილისის 146-ე საშუალო სკოლის ბიბლიოთეკა საყვარელი ადგილია მოსწავლეებისა თუ მასწავლებლებისთვის. იგი 34 წელია ფუნქციონირებს. სკოლის გახსნის დღიდან ბიბლიოთეკის გამგედ მუშაობს ქალბატონი ნათელა თეთვაძე. იგი ჩვეული ღიმილით ეგებება და ემსახურება ყველას, ვინც წიგნისადმი სიყვარულს ავლენს. თავისი საქმის კარგად მცოდნე, დაუზარელი ქალბატონი ახალბედა მკითხველების გზის გამკვლევი და მრჩეველია.



ბიბლიოთეკაში მრავალი საუკეთესო წიგნია დაცული. სათანადოდ აღნუსხული და ლამაზად განლაგებული. ბიბლიოთეკის სანიმუშო მუშაობაზე მიუთითებს სტენდები, გამოფენები, კედლის გაზეთები, რომლებსაც ამ ბიბლიოთეკაში ნახავთ, ის სისუფთავე და სიწყნარე, რომელიც აქ სუფევს. ბიბლიოთეკას შეძლებისდაგვარად ეხმარება სკოლის დირექტორი რ. დანიელიძე, მოადგილე აღმზრდელობით დარგში ი. ძამაშვილი და ორგანიზატორი ე. მხითარიანი.

წიგნი ადამიანის უახლოესი მეგობარია, ცოდნის წყაროა, ზნეობრივი ამაღლების საწინდარია – ეს კარგად იცის ამ სკოლის ყველა მოსწავლემ. ბიბლიოთეკით სისტემატურად სარგებლობენ პედაგოგებიც.

სკოლაში ხშირად ეწყობა ლიტერატურული საღამოები, ვიქტორინები, სხვადასხვა დღესასწაულებთან თუ მწერალთა შემოქმედებასთან დაკავშირებული ღონისძიებები, რომლებშიც აქტიურად მონაწილეობას იღებს სკოლის ბიბლიოთეკა.

ერთ-ერთი დაუვიწყარი ღონისძიება მიმდინარე სასწავლო წლის 21 მაისს გაიმართა. ამ სკოლის III$^{ბ}$ კლასის მოსწავლეებმა იგი წიგნს მიუძღვნეს. კლასის ხელმძღვანელია ბონდარევა ლუბა ალექსანდრეს ასული. სცენაზე ერთმანეთს სცვლიდნენ პატარები, ცეკვავდნენ, მღეროდნენ, ლექსებს წარმოთქვამდნენ. ბოლოს თავიანთი აქტიორული შესაძლებლობებიც უჩვენეს მრავალრიცხოვან სტუმრებს, წარმოადგინეს ზღაპარი „წითელქუდა“.

ღონისიებას ესწრებოდნენ: განათლების განყოფილების წარმომადგენელი ელბაქიძე, დახელოვნების ინსტიტუტიდან ნ. კოჭლამაზაშვილი, ეროვნული ბიბლიოთეკიდან გ. თაყნიაშვილი, ქალბატონი თ. იოსავა და 182-ე საშუალო სკოლის ბიბლიოთეკის გამგე ნ. ასთავიშვილი.

146-ე საშუალო სკოლის ბიბლიოთეკა კვლავ მრავალი საინტერესო ღონისძიებით გაახარებს ნორჩ მკითხველებს და პედკოლექტივს.

მოსწავლეთა ჯგუფი

ინგა ფილაური-ლორია
ბიბმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის კათედრის დოცენტი

# პროგრამა გრძელდება

ამერიკაში ქართველი სპეციალისტების მასაჩუსეტსის შტატში სტაჟირების პროგრამა ითვალისწინებდა არა მარტო ამერიკული გამოცდილების გაცნობას, არამედ სამშობლოში დაბრუნებული ბიბლიოთეკის მუშაკების მიერ მიღებული ცოდნის დანერგვისათვის მოღვაწეობას. ყველა ჩვენთაგანი მოვალედ თვლიდა თავს, ადგილზე ჩაეტარებინა ისეთი ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობდა ახალი ტექნოლოგიების პოპულარიზაციასა და მათი დანერგვისათვის დაუცხრომელ მოქმედებას, ეს თითქოს პროგრამის ერთგვარ გაგრძელებას წარმოადგენდა. სწორედ ამ ნიშნით საქართველოში გვეწვივნენ ამერიკული პროგრამის ორგანიზატორები — ბატონები სტივენ ჯონსი, ტერი პლამი და ქ-ნ ბონი იზმანი. მათ აინტერესებდათ, რა მდგომარეობაა საქართველოს ბიბლიოთეკებში, როგორ ხდება კადრების მომზადება და როგორ ხორციელდება მათ მიერ ორგანიზებული პროგრამა. ისინი ჩამოსვლისთანავე ეწვივნენ საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას, დაათვლიერეს ქალაქი, სტუმრად იყვნენ ოჯახებში. ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართა სემინარი, რომელზედაც ბონი იზმანმა და ტერი პლამმა ჩაატარეს თეორიულ-პრაქტიკული მეცადინეობა. თითქმის მთელი დღე გრძელდებოდა მათთან ჩვენი სპეციალისტების შეხვედრა,

პროგრამის თანახმად, ამერიკელი სტუმრები გაეცვნენ ეროვნულ ბიბლიოთეკას, იყვნენ ახალგაზრდობისა და ბავშვთა სახელმწიფო ბიბლიოთეკებში. სტივენ ჯონსი და ბონი იზმანი დასავლეთ საქართველოში გაემგზავრნენ — ქუთაისსა, ზუგდიდსა და ფოთში, იქაური ცენტრალური ბიბლიოთეკების მიწვევით, რომელთა წარმომადგენლები ამერიკაში იმყოფებოდნენ სტაჟირებაზე. ტერი პლამი თბილისელი კოლეგების თანხლებით თელავისა და გორის ცენტრალურ ბიბლიოთეკას ეწვია. ვიდრე ამერიკელი სტუმრები დასავლეთ საქართველოდან დაბრუნდებოდნენ, ტერი პლამი, როგორც სტუდენტების სწავლების სპეციალისტი, თბილისში ეცნობოდა უმაღლეს სასწავლებლებს, რომლებიც საბიბლიოთეკო კადრებს ამზადებენ.

პირველად იგი ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის კულტურისა და ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტს ეწვია. დაათვალიერა უნივერსიტეტში მოწყობილი საეკლესიო მხატვრობის სპეციალობის სტუდენტთა გამოფენა, ინახულა ბიბლიოთეკა, სადაც მას დარგის სპეციალისტები და სტუდენტები ელოდებოდნენ. ტერი პლამმა ჩვეული ოსტატობით წაუკითხა ლექცია სტუდენტებს, მრავალ შეკითხვაზე გასცა პასუხი და გამოთქვა თავისი აზრი ნანახსა და განცდილზე. აქედან სტუმარი სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ უნივერსიტეტს ეწვია. ხანგრძლივი საუბარი ჰქო-



ტერი პლამი ქართველ კოლეგებთან

ნდა უნივერსიტეტის რექტორთან პროფ. ვ. სართანიასთან და სხვა ხელმძღვანელ პირებთან. ამის შემდეგ ის გაეცნო კათედრის წევრებსა და ბიბლიოთეკის თანამშრომლებს, შემდეგ ბიბლიოთეკაში შეკრებილ სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს ესაუბრა საბიბლიოთეკო საქმის ძირეულ პრობლემებზე, ამერიკულ გამოცდილებაზე. სასიამოვნოდ გაკვირვებული დარჩა ჩვენი სტუმარი, სტუდენტები ინგლისურ ენაზე რომ აძლევდნენ შეკითხვებს. სამწუხაროდ, შეზღუდული დროის გამო, იგი იძულებული იყო შეეკვეცა აქ მისი ყოფნის დრო. არადა, ძალიან უნდოდა უფრო დიდხანს დარჩენილიყო ახალგაზრდებთან, რომლებმაც მათზე კარგი შთაბეჭდი-



**კულტურისა და ხელოვნების უნივერსიტეტელებს შორის**

ლება მოახდინა. სტუდენტებიც ძალიან დაინტერესდნენ მისი მონათხრობით და თვით ამ პიროვნებით,

ტერი პლამთან ურთიერთობით ბევრი საინტერესო რამ გავიგეთ და გავარკვიეთ, განსაკუთრებით, რაც სასწავლო გეგმებსა და პროცესებს შეეხებოდა. იმავე დღეს თბილისიდან ტერი პლამი ქართველ კოლეგებთან ერთად გორში გაემგზავრა რეგიონის ცენტრალური ბიბლიოთეკის დირექტორის ნანა კამკამიძის მიწვევით, რომელიც ასევე იყო სტაჟირებაზე შეერთებულ შტატებში.

გვიან სალამოს სტუმრებმა ისევ თბილისში მოიყარეს თავი. არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ისინი ფრიად კმაყოფილნი იყვნენ ნანახით,



**პედაგოგიურ უნივერსიტეტში შეხვედრაზე**

როგორც ბიბლიოთეკის დათვალიერებით, ისე კულტურული პროგრამით. ერთხმად აღნიშნეს, რომ მიუხედავად მძიმე მდგომარეობისა, ნათლად შეიმჩნევა სწრაფვა სიახლისადმი, მიდრეკილება რეფორმისადმი, რაც საწინდარია მდგომარეობის გაუმჯობესებისა.

ამერიკელი კოლეგების სტუმრობა, აქ გამართული შეხვედრები, აზრთა ურთიერთგაზიარება მეტად სასარგებლო მუხტია ჩვენთვის, მეტი სითამამითა და შემართებით ვიმოქმედებთ. რაც მთავარია, ეს ყოველივე არის საფუძველი ჩვენი პროფესიული ურთიერთობის შემდგომი განმტკიცებისა.

სასიამოვნოა იმ ფაქტის აღნიშვნა, რომ ჩვენს შორის კონტაქტები, რომელიც შესანიშნავად ხდებოდა ქ-ნ ლელა ნანუაშვილის თარჯიმნობის მეშვეობით, ზოგ ჩვენს ახალგაზრდა სპეციალისტსა თუ სტუდენტს არ სჭირდებოდა, რაც ნათლაც მეტყველებს, რაოდენ დაინტერესებულია ჩვენი



**კულტურისა და ხელოვნების უნივერსიტეტის ინტერიერში**

ახალგაზრდები, დაეუფლონ უცხო ენას. სასიამოვნოა იმის აღნიშვნაც, რომ ყოველივე ეს დაემთხვა საქართველოში გამართულ საბიბლიოთეკო დღეებს, რომელთა გამოძახილი საკმაო ხანს გრძელდებოდა საზეიმო კვირეულის შემდეგაც.

აგრეთვე საიმედოა ისიც, რომ ურთიერთგაცვლის პროგრამა არამც თუ დამთავრდა, პირიქით, გრძელდება და კიდევ ახალ-ახალ ღონისძიებათა განხორციელებას გვპირდება.



პედაგოგიურ უნივერსიტეტში

დარეჯან კოტეტიშვილი
ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის კათედრის უფროსი მასწავლებელი

# საბიბლიოთეკო პრობლემები საერთაშორისო ასპექტით (ანგარიში)

დიდი შრომითი აქტივობა სუფევდა მიმდინარე წლის 21 მაისს თბილისის ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის კულტურისა და ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტში. აქ ტრანსნაციონალური დანაშაულისა და კორუფციის საერთაშორისო ცენტრის თბილისის ოფისის ინიციატივით გაიმართა კონფერენცია თემაზე „ბიბლიოთეკების გარდაქმნა და თანამედროვე საბიბლიოთეკო სკოლა: პრობლემები და პერსპექტივები". კონფერენციის მთავარი კოორდინატორი იყო ლელა ნანუაშვილი, სამოქალაქო განათლების პროექტის ლექტორი თბილისის კულტურისა და ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტში, ამერიკის უნივერსიტეტის ტრანსნაციონალური დანიშნულებისა და კორუფციის კვლევის ცენტრის თბილისის ოფისის მთარგმნელი და ბიბლიოთეკარი, რომელსაც ბიბლიოთეკათმცოდნის სპეციალობა მიღებული აქვს შეერთებულ შტატებში.

ხსენებული ცენტრის საქართველოს ოფისი წარმოადგენს სამეცნიერო-კვლევით ორგანიზაციას, რომელიც აერთიანებს სპეციალისტებს, პოლიტიკოსებს, მკვლევარებს, აგრეთვე სხვადასხვა არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზციების წარმომადგენლებს. საქართველოს ოფისი ახორციელებს ერთობლივ პროექტებს და აწარმოებს ინფორმაციის გაცვლას სხვადასხვა ქვეყნების სამეცნიერო, სამთავრობო და დამოუკიდებელ ორგანიზაციებთან. მისი საქმიანობა დაკავშირებულია ე.წ. „სამოქალაქო განათლების პროექტთან" (CEP), რომლის ინიციატივითა და ხელშეწყობით გაიმართა აღნიშნული სემინარი.



სემინარის მონაწილეებს მიესალმა კულტურისა და ხელოვნების უნივერსიტეტის რექტორი პროფ. თემურ ძლენტი. მისალმებით გამოვიდნენ აგრეთვე ამერიკის საბჭოს გაცვლითი პროგრამების კურსდამთავრებულთა კოორდინატორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი თინა ბოჭორიშვილი.

კონფერენცია ორ ნაწილად (პანელად) იყო გაყოფილი. პირველი შეეხებოდა ისეთ საკითხებს, როგორიცაა: საბიბლიოთეკო სკოლის და ბიბლიოთეკის პრობლემები; თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვა ბიბლიოთეკებში; საბიბლიოთეკო სკოლის სასწავლო პროგრამების განახლება ახალი დისციპლინების ჩათვლით თანამედროვე ბიბლიოთეკის მოთხოვნების შესაბამისად. პირველი პანელის მოდერატორი იყო ლელა ნანუაშვილი.

ამ საკითხებზე მოხსენებით გამოვიდნენ: სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიური უნივერსიტეტისა და კულტურისა და ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი ალექსანდრე ლორია; კულტურისა და ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორი დოც. ნუგზარ შავგულიძე; საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ინფორმატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი თემურ ჩხენკელი; საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის პრეზიდენტი, საქართველოს წიგნის სახელმწიფო პალატის დირექტორის მოადგილე ირაკლი ღარიბაშვილი; საქართველოს პარლამენტის ბიბლიოთეკათმცოდნეობის ცენტრის უფროსი გურამ თაყნიაშვილი; ამერიკის უნივერსიტეტის ტრანსნაციონალური დანაშაულისა და კორუფციის კვლევის ცენტრის თბილისის ოფისის დირექტორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ქეთი როსტიაშვილი.

დისკუსიაში მონაწილეობა მიიღეს: სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედუნივერსიტეტის დოცენტმა ოთარ ოსაძემ, კულტურისა და ხელოვნების უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დირექტორმა, ამავე უნივერსიტეტის ლექტორმა ლალი ყაულაშვილმა, ამავე უნივერსიტეტის სტუდენტმა სოსო კაპანაძემ, სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედუნივერსიტეტის სტუდენტებმა: ნინო კობახიძემ, ნინო ძნელაძემ და ნინო ხაბულიანმა.

პირველი ნაწილი შეაჯამა საბიბლიოთეკო ასოციაციის პრეზიდენტმა ი. ღარიბაშვილმა.

მეორე პანელის მოდერატორი იყო ინგა ფილაური-ლორია. ამ ნაწილში იხილებოდა საკითხები: საქართველოს ბიბლიოთეკების გარდაქმნა; ამერიკული სასწავლო პროგრამების მონაწილეთა შთაბეჭდილებები; მათი იდეები საქართველოს ბიბლიოთეკების განვითარების შესახებ; შესაბამისი რესურსების მოძიების გზები; კონკრეტული მიზნების დასახვა.

მოხსენებით გამოვიდნენ: სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედუნივერსიტეტისა და კულტურისა და ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი ინგა ფილაური-ლორია; გორის რეგიონის საბიბლიოთეკო ქსელისა და ქალაქის ცენტრალური ბიბლიოთეკის დირექტორი ნინო კამკამიძე; თბილისის სა-



ხელმწიფო უნივერსიტეტის ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკის ავტომატიზაციის განყოფილების გამგე ავთანდილ ჩხენკელი; ახალგაზრდობის ბიბლიოთეკის დირექტორი ომარ შოთაშვილი; დასავლურ ენათა და კულტურათა სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დირექტორი გულნარა სტურუა; პირველი პანელის მოდერატორი ლელა ნანუაშვილი; დისკუსიაში მონაწილეობდნენ აგრეთვე: თელავის რეგიონის საბიბლიოთეკო ქსელის ცენტრალური ბიბლიოთეკის დირექტორი მაყვალა წიკლაური; ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის კათედრის გამგე ზემფირა ტყაბლაძე. ამ განყოფილებაში გამოსვლები შეაჯამა ეროვნული ბიბლიოთეკის ინფორმატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა თემურ ჩხენკელმა.

დასასრულ გაიმართა საერთო დისკუსია, რომელმაც დაადასტურა, რაოდენ მნიშვნელოვანი და სასარგებლო იყო ეს ღონისძიება.

განსაკუთრებით გვინდა აღინიშნოს კულტურისა და ხელოვნებისა სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელმძღვანელთა და თანამშრომელთა ღვაწლი, რომლებმაც ყოველმხრივ შეუწყვეს ხელი კონფერენციის წარმატებით ჩატარებას.

სანამ ნერსესოვა
თბილისის №104 სკოლის ბიბლიოთეკარი

# საბიბლიოთეკო ფონდების შევსების ერთ-ერთი გზა

ჩვენ ვიცით, რომ სკოლის ბიბლიოთეკარი ვალდებულია, უპირველეს ყოვლისა, დაიცვას სკოლის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი. გარდა დაცვისა, მან უნდა გამონახოს საშუალებები ფონდის გაზრდისათვის. ჩემი ხანგრძლივი მუშაობის გამოცდილების შედეგად შემიძლია რამდენიმე სიტყვა ვთქვა წიგნადი ფონდის შევსების შესახებ სავსებით მარტივი გზით.

ტრადიციად გადაიქცა ის, რომ ყოველ სასწავლო წლის ოქტომბერში მეორე კლასის ბავშვებს ვღებულობთ ბიბლიოთეკაში. ეს დღე ზეიმად იქცევა ხოლმე. თემა ზეიმისა არის „რა მოგცათ თქვენს მიერ შარშან შესწავლილმა ანბანმა“.

ყველა მეორე კლასელი თავისი ნებით სკოლის ბიბლიოთეკას ერთ წიგნს ჩუქნის წარწერით – სკოლის ბიბლიოთეკას. ისინი ლექსს ამბობენ, მღერიან, ცეკვავენ. ზეიმს ესწრებიან მშობლები, კლასის ხელმძღვანელი და ორგანიზატორი. ზეიმი ბიბლიოთეკაში ტარდება.

პირადად მე გულმოდგინედ ვემზადები. ვიცი, რომ ბიბლიოთეკის მუშაობაში წვრილმანი არ არსებობს. ამიტომაც კიდევ ერთხელ ვათვალიერებ ფონდებს, ვცდილობ, ჩემი პირველი შეხვედრა მეორე კლასელებთან იყოს შინაარსიანი, საინტერესო და მიმზიდველი. წინასწარ ვამზადებ მკითხველების ფორმულარებს, ვარჩევ ისეთ წიგნებს, რომლებსაც, ვიცი, რომ ბავშვები ხალისიანად წაიკითხავენ.

მეორე კლასის ფორმულარებს ვინახავ XI კლასამდე. იზრდება ბავშვი, გადადის კლასიდან კლასში, ივსება ფორმულარები. მკითხველთა ფორმულარებს არ ვაუქმებ, ყოველი სასწავლო



წლის ბოლოს ვაკეთებ ანალიზს, ვახდენ მკითხველთა შესწავლას. სკოლის დამთავრების შემდეგ ფორმულარებს კონვერტით გადავცემ კურსდამთავრებულ მკითხველებს, რაც ჩემი ინიციტივით ხდება.

წესად მაქვს შემოღებული: II, III, IV კლ. ბავშვებს ხმამაღლა სხვების დასწრებით ვაკითხებ 15-20 სტროფს, ვაფასებ წაკითხულს და ფორმულარში ვწერ ნიშანს (5, 4, 3). ამით ვახალისებ ბავშვებს. მათ უყვართ კითხვაც და შეკითხვების დასმაც.

წელიწადში ერთხელ პედსაბჭოს სხდომაზე ან მშობელთა კრებაზე ვაკეთებ მოხსენებას, ვაანალიზებ კლასგარეშე ჩატარებული კითხვის შედეგებს.

გარდა ამისა, ჩვენმა მკითხველმა იცის, რომ სკოლის დამთავრების შემდეგ ბიბლიოთეკას ჩუქნიან 1-2 წიგნს წარწერით, გასულ წელს, მაგალითად, ასეთი შედეგი მივიღეთ:

II კლ – 25

XI[1] კლ – 24

XI[2] კლ – 20

სულ 69 წიგნი, რაც ჩვენი ბიბლიოთეკისათვის დიდი შენაძენია სხვა შენამატთან ერთად.

ჩემი აზრით, ვინც წუწუნებს, რომ აკლია საბავშვო წიგნები, ან არ გვაქვს კრიტიკული ლიტერატურა მაღალკლასელებისთვისო, მას არავითარი გამართლება არა აქვს. ჩემი მუშაობის გამოცდილება სულ სხვას მეტყველებს: თუ ეძებ, იპოვი კიდეც, ,,დააკაკუნე – გაგიღებენ კარს“.

სულ მარტივი გზით, უბრალოდ, არც გადარიცხვით, არც ბრძანებით ჩვენი სკოლის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი სისტემატურად ივსება ახალ-ახალი წიგნებით. წიგნების მიღების საბუთები ინახება ბიბლიოთეკაში. ჩვენი სკოლის ბავშვები კარგად ლაპარაკობენ და კითხულობენ ქართულად. დედა ენის დღეს აქტიური მონაწილეობა მიიღეს.

ყოფილი გურამიშვილის ბიბლიოთეკიდან გამოტანილი მაქვს 300-ზე მეტი მხატვრული საბავშვო ლიტერატურა ქართულ ენაზე, რომელიც სულ ბრუნვაშია.

ყოველივე ამასთან ერთად, მინდა ჩემი მოსაზრებები გამოვხატო, თუ რას უნდა მიექცეს მთავარი ყურადღება სასკოლო ბიბლიოთეკაში:

1. სკოლის ბიბლიოთეკა უნდა იყოს ლამაზად გაფორმებული და მოწყობილი, მას სკოლაში უნდა დაეთმოს ყველაზე გამორჩეული ადგილი.

2. მასწავლებლებსა და ბიბლიოთეკარს შორის უნდა იყოს მჭიდრო კონტაქტი. ყველა საგნის მასწავლებელმა უნდა იცოდეს, თუ რა წიგნები არის ბიბლიოთეკაში მისი საგნის შესაფერისი და როგორია მათი ბრუნვა.

3. ბიბლიოთეკარმა უფრო მეტად უნდა მიაქციოს ყურადღება კითხვის ტექნიკას (II-IV კლ.).

4. ბიბილიოთეკარი კარგად უნდა იცნობდეს თავის მკითხველს. ამიტომ სისტემატურად უნდა შეისწავლოს თავის კონტინგენტი.

5. ის ბიბლიოთეკარი, რომელსაც არა აქვს ბიბლიოთეკაში მუშაობის საკმაო გამოცდილება და საბიბლიოთეკო პროფესიული ცოდნა, კარგი იქნება, თუკი გაიგზავნება საბიბლიოთეკო მინიმუმის შესასწავლად სათანადო კურსებზე.

სასკოლო ბიბლიოთეკებისადმი ამგვარი დამოკიდებულება კიდევ უფრო აამაღლებს სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი საქმიანობის საერთო დონეს.

# წაუკითხეთ პატარებს

ლია (ელენე) ბექანიშვილი ათეული წლებია, რაც რუსთავის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში მოღვაწეობს. სკოლა მშობლიურ სოფელში – ლამისყანაში დაამთავრა და სწავლა თბილისის საბიბლიოთეკო სასწავლებელში განაგრძო, რომელიც 1968 წელს დაასრულა. ამავე წელსვე მუშაობა დაიწყო რუსთავის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში რიგით ბიბლიოთეკარად, ხოლო შემდეგ გახდა ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილების სტუდენტი. უმაღლესი სასწავლებელი 1977 წელს წარჩინებით დაასრულა ისე, რომ შრომითი საქმიანობისათვის თავი არ მიუნებებია. დღეს ის რუსთავის ცენტრალური ბიბლიოთეკის დარბაზის გამგეა. განსაკუთრებული გულისყურით მოსწავლე ახალგაზრდებთან მუშაობს. უყვარს ბავშვებთან ურთიერთობა, რაზედაც მისი ლექსებიც მეტყველებს. იგი ლექსებს მოსწავლეობიდან წერს. ბევრი გამოქვეყნებული აქვს პერიოდულ ორგანოებში. რუსთავის 50 წლისთავთან დაკავშირებით გამოცემულ კრებულში „ვარ რუსთაველი" დაბეჭდილია საბავშვო ლექსები. რამდენიმე ახალ ნიმუშს ჩვენს მკითხველებსაც ვთავაზობთ.

ლია ბექანიშვილი

### მურიკელა მასწავლებელი

მურიკელა სიზმარში
სუფთა წერას ატარებს.
იხვმა კარგად დაწერა –
თვალსა და გულს ახარებს,
ბატმა სული გადარია
თავის ბატიფეხურით,
ასოები აცეკვა
განდაგანა-ფერხულით.
ამიტომაც გაწკეპლეს
ჯღაბნია და ფუტკინო,
ახლა მოდგეს, მინდორში
რამდენიც სურს – ფუტკინოს.

### ლოყა მზეზე დასწვია

წითელ ვაშლებს იხუტებს
ეკა გოგო პაწია,
ბებოს უნდა ვაჩვენო,
ლოყა მზეზე დასწვია.

### ბრძენი დამრიგებელი

– კაპა დამილაქავდა,
გადამესხა მელანი, –
აღრიალდა სოფიკო,
მასთან გავჩნდით ყველანი.
– თავს ნუ იკლავ, დაიკო, –
არიგებდა ომარი, –
ლაქის ამოსაჭრელად
მაკრატელი ხომ არი?

### ცუგა ეძებს პატრონს

მთელი თვეა ვერ იპოვა
ცუგამ ცელქი ვახო,
გულში მაინც იმედი აქვს
იქნებ სადმე ნახოს.
ოი, როგორ მოენატრა
დაკარგული ბიჭი,
თვითონ ისე პატარაა,
არ აქვს პოვნის ნიჭი.

— ნეტავ მალე გავიზარდო, —
ნაღვლიანად ნატრობს, —
დედამიწას შემოვივლი
და ვიპოვი პატრონს.

## ქურდბაცაცა

მურიკელამ ბოსტანში
მოიყვანა სტაფილო,
უთვალთვალა ბაჭიამ
და როცა შინ არ იყო,
მოსავალის აღება
პატრონს აღარ აცალა
და სტაფილო ბოსტნიდან
ერთიანად გაცალა.
იბუზღუნა მურიამ,
დაექადნა ნაცარას,
მერე ჯავრი გულიდან
ყეფა-ყეფით დაცალა.

## ლევანი და ოლია

— ლევანიკო, სკოლაში
წაიყვანე ბროლია,
გაკვეთილს გიკარნახებს,
არ მიიღებ ორიანს.
— გთხოვ თავი დამანებო,
ნუ მაბრაზებ, ოლია,
შენი ფრიადოსნობა
დიდი რამე გგონია.

## ბატი-ბატუსას

სადმე გადაიმალე,
გეხვეწები, ბატუსა,
ხვალ, ბებოსგან შევიტყვე,
არ აგცდება გატუსვა.

# გადარჩენილი ფურცლები

ვინ იცის, რომელ წიგნს რა ბედი ელის – ვის ხელში მოხვდება იგი. არის მკითხველი, რომელიც სათუთად ელოლიავება ყოველ ფურცელს, და არის მკითხველი, ვის ხელშიც წიგნი წამების საგნად იქცევა ხოლმე.

„არის მკითხველი მშვენიერ წიგნის,
და არის მხოლოდ გადამკითხველი...
ის ფურცლავს, ნიშნავს, ადარებს, ჩიჩქნის,
მაგრამ ვინაა აქ გამკითხველი?“ (გ. ტაბიძე)

ეს კიდევ რაა! ვაი, რომ უარესი ბედი რგებია ბევრ მათგანს; რაღაც იღბალია, რომ გალილეის ნაწერები შემორჩა კაცობრიობას. როგორც ცნობილია, გალილეი 1642 წელს გარდაიცვალა. მან ხელნაწერები თავის მოწაფეს – ვანინის დატოვა და დაავალა, დრომდე არ გამოექვეყნებინა, რომ ეკლესიას არ გაენადგურებინა ისინი. თითქმის 100 წლის შემდეგ მეცნიერები ლამი და ნელი სასადილოდ რომ ეშურებოდნენ, გზად ძეხვეული იყიდეს უცნაურ ხელნაწერ ქაღალდში გახვეული, რომელზედაც ნელიმ გალილეის ხელმოწერა შენიშნა, მაგრამ მეგობრისათვის დათავდაპირველად არ გაუმხელია. ცხვირსახოცით გაწმინდა ქაღალდი, უბეში შეინახა და მაშინვე მეძეხვესთან გაეშურა. გამოირკვა, რომ მეძეხვე ქაღალდს ფუთობით იძენდა ერთი ვინმე ვაჭრისაგან, რომელსაც ხშირად მოჰქონდა მასთან ამგვარი საქონელი. ნელიმ მეძეხვეს სხვა ქაღალდებიც გამოართვა, დაელოდა ვაჭრის გამოჩენას და დანარჩენი ქაღალდებიც შეიძინა მისგან. ასე შემთხვევით გადაურჩა გალილეის ნაშრომი სრულ განადგურებას.

საერთოდ, წიგნების გაყიდვა უტილიტარული მიზნით საკმაოდ გავრცელებული იყო მსოფლიოში და მათ შორის საქართველოშიც. მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში თბილისში ცნობილი ვანქის ბაზარში წონით იყიდებოდა წიგნები, რომლებსაც ნოქრები საქონლის შესახვევად იძენდნენ.

ჯერ კიდევ 1888 წელს „ივერია“ იტყობინებოდა, რომ ცნობილ მეცნიერს მ. საბინინს ერთ-ერთი მეწვრილმანისაგან წიგნები შეუძენია და პეტერბურგში წაუღიაო. საინტერესოა ზაქარია ჭიჭინაძის მონათხრობი წიგნში „პლატონ იოსელიანი“, რომელშიც ის წერს: „პლატონ იოსელიანს ხელნაწერი წიგნები მცირე ჰქონდა, გუჯრები კი ძლიერ ბევრი, სამ ფუთამდე. მისი სიკვდილის შემდეგ ეს გუჯრები დ. ბაქრაძეს ჰქონია დროებით და მალე ისევ პ. იოსელიანის მეუღლეს დაუბრუნა კუთვნილებისამებრ. არ გავიდა მცირე ხანი, რომ განსვენებულის დანარჩენი წიგნები 40 ფუთამდე მეწვრილმანეებისათვის მიეყიდნათ, ქაღალდის ფასად. ამ წიგნებიდან რამდენიმე ფუთის წიგნები მე ვიყიდეო.“

წიგნების წონით ყიდვაზე პოეტური სტრიქონებით გველაპარაკება იოსებ გრიშაშვილი:

„ქვევით ბაზარზე, კვირადღით, ვანქთან,
მტვრიან ქუჩებში, დამპალ ჰავაზე,
წონით ვიყიდე ექვსი გირვანქა:
შოთა, აკაკი და ჭავჭავაძე“

ვანქის ბაზარზე ყოველგვარ „ხარახურას“ ყიდდნენ, რაც კი შეიძლებოდა გაყიდულიყო. წიგნებიც იყიდებოდა წონით თუ ცალობით. ზედ ქუჩაში ჭილობზე იყო გაშლილი საქონელი, ზოგან გაზეთებსაც გაჰფენდნენ. არავის მოუვიდოდა მაშინ აზრად, ეს გაზეთები დღეისდღისათვის რა ფასს შეიძენდა. ასეა: რასაც არ ვაფასებთ დღეს, ხვალ იგი დაუფასებელი ხდება, განსაკუთრებით

ჟურნალ-გაზეთები. ეს მხედველობაში უნდა მიიღონ ჩვენმა რედაქციებმა, რომლებიც არ ზრუნავენ, მათ მიერ გამოცემული ეგზემპლარები ჩვენს დიდ ბიბლიოთეკებში დაავანონ.

## ქაღალდის ნაირსახეობანი

რაკი ქაღალდზე ჩამოვარდა ლაპარაკი, ბარემ ისიც ვთქვათ, რამდენად მრავალფეროვანი არის ის. მოყოლებული მე-2 საუკუნიდან, როცა ჩინეთში ქაღალდის წარმოებას ჩაეყარა საფუძველი – დღემდე მრავალი სახისა და დანიშნულების ქაღალდი შეუქმნიათ. ჩვენს მკითხველებს ვთავაზობთ ქაღალდის სახელწოდებათა მოკლე ლექსიკონს, რომელიც გვიჩვენებს, რაოდენ ფართო ასორტიმენტი არსებობს მისი და რამდენგვარად არ გამოიყენება იგი. აი, როგორ ასახელებენ ქაღალდს:

ავტოგრაფიული ქაღალდი – თეთრი, გადასაყვანი ქაღალდი.

აფიშის ქაღალდი – თეთლი ან ფერადი, მტკიცე, სინოტივის მიმართ მედეგი.

ბარიტირებული ქაღალდი – წარმოადგენს ფოტოქაღალდის საფუძველს. სქელი და გამძლე.

ბომბიცინი – უძველესი წარმოშობის ქაღალდი, დამზადებული ჩვრებისაგან, ხოროში, ხორკლიანი, მტკიცე და გამძლე.

ვატმანი – ამზადებენ ხელით, გამოირჩევა სითეთრით. უმეტესად გამოიყენება ხაზვისათვის. მისი ნაირსახეობაა ხალხში საკმაოდ ცნობილი „ალექსანდრიული“.

ველენის ქაღალდი – უმაღლესი ხარისხის საწერი ქაღალდი. იყენებენ აგრეთვე მინიატურების, ფერწერული ნამუშევრების, გრაფიკული გამოცემებისათვის.

ვერჟე – თეთრი ან ფერადი, მზადდება სუფთა ცელულოზისაგან, შედგება უვიწროესი ერთმანეთთან მჭიდროდ შეკრული ზოლებისაგან. გამოიყენება უმეტესად ძვირფასი სასაჩუქრო გამოცემისათვის, ასევე სუპერყდისათვის.

იაპონური ქაღალდი – თხელი, რბილი, კრიალა, მსუბუქი და გამძლე. ამზადებენ თუთის ხის ხრალისაგან.

კალკის ქაღალდი – თხელი, სპეციალურად დახაზული ნახაზების გადასაყვანად ან ტექსტის გადასაღებად.

კარტოგრაფიული ქაღალდი – მკვრივი, სინესტისა და სიმშრალის მიმართ მდგრადი, მკვეთრი სითეთრის.

კრეფტი – უხეში ქაღალდი, სხვადასხვა მუქი ფერის, გამოიყენება საქონლის შესახვევად.

ლითოგრაფიული ქაღალდი – მაღალხარისხოვანი, სქელი ქაღალდი, გამოიყენება ილუსტრაციებისა და ტექსტის ლითოგრაფიულად ბეჭდვისათვის.

მარმარილოს ქაღალდი – შეფერილია მარმარილოსფრად, მტკიცე, სქელი ქაღალდია, პრიალა. გამოიყენება გარეკანისათვის.

მაროკენი – მსხვილი ტვიფრული ქაღალდი, უმთავრესად ყდისათვის.

ოფსეტური ქაღალდი – ტენის ამტანი, რბილი, უმტვერო ქაღალდი.

პაპირუსის (ჭილის) ქაღალდი – ძველეგვიპტური ქაღალდი, ამზადებენ სპეციალური ჯიშის ჭაობის მცენარისაგან.

პაპიროსის ქაღალდი – სახელწოდება მიღებულია პაპირუსისაგან. თხელი, გამჭვირვალე, მსუბუქი ქაღალდი. გამოიყენება წიგნში ილუსტრაციებზე დასაფენად.

საგაზეთო ქაღალდი – შედარებით მდარე და მუქი შეფერილობის, სინოტივის სუსტად ამტანი, გამოიყენება გაზეთებისა და მასობრივი გამოცემებისათვის.

სადოკუმენტო ქაღალდი – სპეციალური მტკიცე ქაღალდი დამზადებული უმეტესად ბამბის ბოჭკოსაგან, მდგრადი მექანიკური ზემოქმედების მიმართ, გამოიყენება ფულადი ნიშნებისა და ფასიანი ქაღალდების დასამზადებლად („ფულის ქაღალდი“).

საეტიკეტო ქაღალდი – მტკიცე, პრიალა ქაღალდი, სინოტივის ამტანი.

საკოპირო ქაღალდი („კოპიროვკა“) – შავი ან ფერადი სპეციალური მასით დაფარული

თხელი ქაღალდი, გამოიყენება გამოსახულების გადასაყვანად, ასლების მისაღებად, ძირითადად საბეჭდ მანქანაზე.

სპილოს ქაღალდი – მაღალი ხარისხის სპილოს ძვლისფერად შეფერილი ქაღალდი.

ტყავისებური ქაღალდი – სქელი, ტყავისფერი ქაღალდი. ხმარობენ ყდებზე გადასაკრავად. უწოდებენ „ტყავის ქაღალდს“.

ფილიგრანული ქაღალდი – სპეციალური, ჭვირნიშნიანი ქაღალდი.

ფორბაის ქაღალდი – იგივე, რაც საეტიკეტო ქაღალდი.

შაგრენის ქაღალდი – მიაგავს შაგრენის ტყავს, უმეტესად ხმარობენ ყდაზე გადასაკრავად.

ჩინური ქაღალდი – თხელი, მაგრამ მაგარი ქაღალდი, გამოირჩევა სიმტკიცით. ძირითადად იყენებენ ილუსტრაციების დასაფარავად.

ცარცის ქაღალდი – არის ცალმხრივი და ორმხრივი, ზედაპირი გლუვი აქვს, პრიალა და განსაკუთრებით გამოირჩევა სითეთრით, შედარებით სქელია და იყენებენ გარეკანად.

ცვილა ქაღალდი – ცვილით დაფარული თხელი ქაღალდი, გამოიყენება ტექსტის გასამრავლებლად.

## ქრონიკა

# საქართველოს საბიბლიოთეკო ცხოვრების ქრონიკა: მოვლენები, ფაქტები

2 აპრილს გოეთეს ინსტიტუტში (თბილისი) ჩატარდა ლექციების ციკლი ელექტრონული სამეცნიერო ჟურნალების უფასო ხელმისაწვდომობის საკითხებზე. ლექციები წაიკითხეს: პეტერ ჰელფერიხმა (ბერლინი/მოსკოვი), ტატიანა ჩეპურნაიამ (ჰანოვერი), დაგმარ ლაგრგმა (ბერლინი), რაინჰარდ შულკემ (ბერლინი), შეხვედრა – სემინარის მუშაობაში მონაწილეობდნენ: საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია, საქართველოს ახალგაზრდა მეცნიერთა ასოციაცია, საქართველოს სამეცნიერო საგანმანათლებლო კომპიუტერული ქსელის ასოციაცია, საქართველოს ინფორმაციის სპეციალისტთა ასოციაცია.

19 აპრილს თბილისის №1 გიმნაზიაში საზეიმოდ გაიხსნა საქართველოს ბიბლიოთეკების კვირეული. გახსნას დაესწრნენ: საქართველოს კულტურის მინისტრი სესილი გოგიბერიძე, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორი ლევან ბერძენიშვილი, მასმედიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ბიბლიოთეკრები; კვირეულის მიზნებსა და ამოცანებზე ისაუბრეს ს. გოგიბერიძემ, ლ. ბერძენიშვი-

ლმა, ი. ღარიბაშვილმა, გ. სტურუამ, ა. ლორიამ და სხვებმა.

23 აპრილს აღინიშნა წიგნის საერთაშორისო დღე. ეროვნული ბიბლიოთეკის წინ, გუდიაშვილის ქუჩაზე მოეწყო სხვადასხვა გამომცემლობათა პროდუქციის გამოფენა-გაყიდვა.

29 აპრილს კულტურის სამინისტროში საქართველოს კულტურის მინისტრი სესილი გოგიბერიძე შეხვდა საბიბლიოთეკო აქტივს, მწერლებსა და გამომცემლობათა ხელმძღვანელობას. თათბირზე მინისტრმა მადლობა გამოუცხადა და ფასიანი საჩუქრები გადასცა ბიბლიოთეკართა ერთ ჯგუფს.

30 აპრილი საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით ოფიციალურად გამოცხადდა საქართველოს ბიბლიოთეკართა პროფესიულ დღედ.

30 აპრილს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში მოეწყო საბიბლიოთეკო კვირეულის საზეიმო დახურვა. საქართველოს კულტურის მინისტრმა სესილი გოგიბერიძემ ფასიანი საჩუქრები გადასცა საბიბლიოთეკო დარგის ღვაწლმოსილ და ამაგდარ ბიბლიოთეკარებს. ამავე დღეს გემანული კულტურის ცენტრმა (გოეთეს ინსტიტუტი) უფასოდ გადასცა ბიბლიოთეკებს გერმანულენოვანი საბავშვო ლიტერატურა.

17-22 მაისს საქართველოში საბიბლიოთეკო პრაქტიკის გასაცნობად იმყოფებოდა ბიბლიოთეკართა 7-კაციანი ჯგუფი ლიტვიდან. სტუმრები თბილისის გარდა ეწვივნენ გორს, ქუთაისს, ფოთს, ბათუმს, მათ დაათვალიერეს ცენტრალური რესპუბლიკური და სხვ. სპეციალური ბიბლიოთეკები. ბიბლიოთეკართა ჯგუფს ახსნა-განმარტებას აძლევდა და მეგზურობას უწევდა საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის გამგეობის წევრი მზია რაზმაძე.

21 მაისს თბილისის კულტურის და ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდა კონფერენცია თემაზე „ბიბლიოთეკების გარდაქმნა და თანამედროვე საბიბლიოთეკო სკოლა: პრობლემები და პერსპექტივები". კონფერენცია ჩატარდა აშშ-ის საბჭოს გაცვლითი პროგრამის ფარგლებში.

23-24 მაისს საქართველოს სახელმწიფო წიგნის პალატაში ფინელმა სპეციალისტმა ტუულა ჰაავატომ წაიკითხა ლექცია საავტორო უფლებების დაცვის საკითხებზე.

3 და 4 ივნისს ამერიკელი სპეციალისტები: სტივენ ჯონსი, ტერი პლამი და ბონი იშმანი ეწვივნენ ქართველ კოლეგებს. მათ მოინახულეს თბილისის, გორის, ქუთაისის, ზუგდიდის, ფოთის, თელავის, ბათუმის ბიბლიოთეკები. შეხვდნენ და ესაუბრნენ აშშ-ში მიმდინარე წლის იანვარში ნამყოფ ქართველ სპეციალისტთა ჯგუფს.

2-6 ივნისს ეროვნულ ბიბლიოთეკაში სემინარები გამართა ფრანგმა სპეციალისტმა კორინ ჟოლივიემ.

10 ივნისს საქართველოს სახალხო დამცველის ოფისში გაიმართა სემინარი თემაზე „ადამიანის უფლებები და ბიბლიოთეკა", სემინარი ჩატარდა გაეროს განვითარების პროგრამის ფინანსური მხარდაჭერით.

ივნისში თბილისში იმყოფებოდნენ და სემინარები ჩაატარეს ლიტველმა სპეციალისტებმა ვიტა მოზურაიტემ და აუდრონე გლოსიენემ.

25 ივნისს თბილისის ი. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფუნდამენტალურ ბიბლიოთეკაში გაიმართა თბილისის უმაღლესი სასწავლებლების ბიბლიოთეკების კონფერენცია თემაზე „უმაღლესი სასწავლებლების ბიბლიოთეკები: მდგომარეობა, პერსპექტივები". სემინარის მუშაობაში მონაწილეობდა უნივერსიტეტის რექტორი აკად. რ. მეტრეველი.

# ორიოდე სიტყვა ჩვენი სკოლების ნამეტანი „აქტივობის“ შესახებ

საქართველოს სკოლების ბიბლიოთეკები რა „აქტიურადაც“ მოღვაწეობენ, ჩვენს ერთ-ერთ ნომერში შევეცადეთ გვეჩვენებინა თქვენთვის ჩვენი გამოფენის მეშვეობით. ახლა კიდევ „უკეთესს“ გეტყვით: გასულ წელს საქართველოს განათლების სამინისტრომ, მწიგნობართა და საბიბლიოთეკო ასოციაციებმა გამოაცხადეს საქართველოს სასკოლო ბიბლიოთეკების დათვალიერება-კონკურსი. პირობის თანახმად, ყველა სკოლის ბიბლიოთეკას წინასწარ გამოცხადებულ კითხვებზე პასუხების გაცემით, ფაქტობრივად, ანგარიში უნდა წარედგინა განათლების სამინისტროსთვის ამ ბოლო ორ წელში გაწეული მუშაობის შესახებ. პირობები და კითხვარი თავის დროს გამოცხადებული იყო გაზეთ „ახალ განათლებაში“; ამას გარდა, სამინისტროს შესაბამისმა სამსახურმა გააფრთხილა სკოლის დირექტორები როგორც ზეპირად, ისე წერილობით, ამის თაობაზე აგრეთვე განცხადებები გაკეთდა თბილისის რაიონების სკოლების ბიბლიოთეკათა შეხვედრა – სემინარზე და ამდენად, ვერავინ დაიჩივლებს ინფორმაციის უქონლობას. ორგანიზატორთა ჩანაფიქრით, კითხვებზე პასუხების მიხედვით, წინასწარ შეირჩეოდა უკეთესი ბიბლიოთეკები და მოხდებოდა მათი დათვალიერება ადგილზე სპეციალისტთა მივლინებით.

კაცმა რომ თქვას, სასიკეთოს ჩვენ პირადად არაფერს მოველოდით, მაგრამ ამგვარ „აქტივობას“ თუ გამოიჩენდნენ ჩვენი სკოლები და მათი ბიბლიოთეკები, ნამდვილად არ მეგონა. გასული წლის ბოლოს ნაცვლად, მასალების წარმოდგენის ვადა ამ წლის აპრილამდე გაგრძელდა და, გეფიცებით, ზუსტად ის სურათი დაიხატა, რაც შეესატყვისება ჩვენი სკოლების ბიბლიოთეკების საქმიანობის დღევანდელ დღეს. სულ ამ ღონისძიებას 8 რეგიონი და თბილისი გამოეხმაურა. ახლა არ იტყვით, ვინ არიან ესენი და ყოველი რეგიონიდან რამდენმა სკოლამ მიიღო მონაწილეობა? მივყვეთ ანბანური რიგით: ბაღდადიდან – 2 სკოლა, გორიდან – 2, თბილისიდან – 4, თეთრწყაროდან – 1, რუსთავიდან – 4, სამცხე-ჯავახეთიდან – 2, ფოთიდან – 1, ქუთაისიდან – 5, ყაზბეგიდან – 2; სულ 23 სკოლის ბიბლიოთეკა აღმოჩნდა საქართველოში, რომლებსაც იმედი აქვთ, რომ მათ საქმიანობას, ასე თუ ისე, წარმატებულად შეაფასებენ. ეტყობა, სხვებს გამოსაჩენი პირი არა აქვთ.

ერთი რამეა საინტერესო ამასთან დაკავშირებით: საერთოდ, თავიანთი სკოლის ხელმძღვანელებს თუ მაინც აბარებენ ანგარიშებს სკოლის ბიბლიოთეკები? ალბათ არა. ვინ იცის, სკოლის დირექტორებს იქნებ კიდეც აწყობს ეს – განა არ ჯობია არაფერი ითქვას არაფერს რომ არ აკეთებ, ვიდრე გამოამზეურო რომ არაფერს აკეთებ? ჰოდა, წაიყრუეს აქეთ ბიბლიოთეკარებმა, იქეთ დირექტორებმა და არიან არხეინად. ჩვენ ნუ შეგვეხებიან და, ჩვენ რა, გიჟები ვართ, ჩვენივე სურვილით ჩავკრათ ფეხი მღულარეში? უმჯობესია არავინ შეგვნიშნოს, გვერდი აგვიარონ, არ შევახსენოთ თავი, ვიდრე შეგვნიშნონ და დაგვინახონ, რა ბედოვლათებიცა ვართ.

სხვისი არ ვიცი, მე კი მგონია, სკოლას, რომელშიც ბიბლიოთეკა ცუდად მუშაობს, სათანადოდ ვერ ფუნქციონირებს ან, საერთოდ, სულაც არ არსებობს, არავითარი ღირსება არ აქვს და აქ ყოველგვარ თანამედროვე სწავლების მეთოდების დანერგვაზე ლაპარაკიც ზედმეტია. ჰოდა, მოდით, ჩვენც ნულა ვილაპარაკებთ მეტს.

**კლუბის წევრები**

**კონწარას მინაწერი ბიბლიოთეკარებისთვის, რომლებიც ჩვენს ჟურნალს ღებულობენ:** ძვირფასო კოლეგებო, ნუ დაიზარებთ, ეს ჩვენი მოსაზრებები იქნებ გააცნოთ სკოლის ბიბლიოთეკარებსაც, რომლებიც სულ იმას ჩივიან, ჩვენ არავინ არაფრად გვაგდებსო.









# საბიბლიოთეკო კვირეული საქართველოში

